178
1972/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჯარო სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1972 1

საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი—თებერვალი

1972 წელი

გამოცემის XIX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო

ორთვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გაზეთ „კომუნისტის“ 50 წლისთავისათვის

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „კომუნისტის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ 3

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას 3

ვ. მაისურაძე — იუსტიციის ორგანოების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე . . . 4

მ. თოფურიძე — მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის . 13

ო. გამყრელიძე — პასუხისმგებლობა თანაამსრულებლობისათვის 19

ა. ხოშტარია — ანონიმური წერილებით ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ 26

ო. ყავლაშვილი — კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია — საბჭოური კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდია 32

გ. თავაძე — ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის ზოგიერთი საკითხი 42

სასამართლო პროცესების ისტორიიდან

ვ. სიდამონიძე — დირიჟორ ს. ა. სტოლერმანის გასამართლება 47

ოფიციალური მასალა 59

ბიბლიოგრაფია 95

11884

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

К ПЯТИДЕСЯТИЛЕТИЮ ГАЗЕТЫ «КОМУНИСТИ»

Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР о награждении газеты «Комунисти» Почетной грамотой Президиума Верховного Совета Грузинской ССР 3

Редакции газеты «Комунисти» 3

В. Майсурадзе — Задачи органов юстиции на современном этапе 4

М. Топуридзе — Улучшить социальное обеспечение граждан 13

О. Гамкрелидзе — Ответственность за соисполнительство 19

А. Хоштария — Об ответственности за клевету путем анонимных писем . . . 26

О. Кавлашвили — Криминалистическая фотография — научно-технический метод Советской криминалистики 32

Г. Тавадзе — Некоторые вопросы преодоления пережитков прошлого в сознании людей 42

ИЗ ИСТОРИИ СУДЕБНЫХ ПРОЦЕССОВ

В. Сидамонидзе — Суд над дирижером С. А. Столерманом 47

Официальный материал 59

Библиография 95

შეკვ. № 506
ტირაჟი 19.850
უე 01 746

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩახია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 11/II-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II-72 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „კომუნისტის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი. 1971 წლის 28 დეკემბერი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ჟურნალ „საბჭოთა სამართალის“ სარედაქციო კოლეგია მხურვალედ ულოცავს საბჭოთა საქართველოს პრესის ფლაგმანს — გაზეთ „კომუნისტს“ სახელოვან ორმოცდაათ წლისთავს.

ორმოცდაათი წელია გაზეთ „კომუნისტს“ მაღლა უჭირავს ლენინის პარტიის ძლევამოსილი დროშა, მთელ ძალღონეს ახმარს იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დგას ქართველი კომუნისტების, საბჭოთა პრესის წინაშე. გაზეთი თავისი არსებობის მანძილზე შეუპოვრად ზრდიდა რესპუბლიკის მშრომელებს პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, პირნათლად ასრულებდა საპატიო ამოცანას — შეჰქონდა განათლება, პარტიის მართალი მგზნებარე სიტყვა მასებში, იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მებრძოლი თანაშემწე როგორც მშვიდობიანი მშენებლობის, ისე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ბრძოლის საქმეში. „კომუნისტი“ შთამაგონებლად მოუწოდებს ქართველ ხალხს თავდადებული შრომისაკენ, იგი ინიციატორია მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის არაერთი წამოწყებისა, მის ფურცლებზე გამოჩენილა პირველად ბევრი ახალი შუქურა, კომუნისტური შრომის დამკვრელი, განთავისუფლებული შრომისა და ახალი ყოფაცხოვრების არაერთი შემოქმედი.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, მომავალშიც დაუღალავად გეშრომოთ საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, გემრავლებინოთ თქვენი გაზეთის სახელოვანი ტრადიციები, შეგეტანოთ დიდმნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ჟურნალ „საბჭოთა სამართალის“ სარედაქციო კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსტიციის ორგანოების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე

ვ. მაისურაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დასახულია მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის გაფართოებისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა მთავრობა უკანასკნელ ხანს ენერგიულ ზომებს იღებს სამართლებრივი ბერკეტების როლის ასამაღლებლად სამეურნეო-ეკონომიურ სფეროში, მოხდა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა და დემოკრატიზაცია.

მშრომელთა ფართო მასების მიერ განხილვის შედეგად მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი კანონები, სამართლის ცალკეულ დარგებში საფუძვლები და კოდექსები, რომლებიც აწესრიგებენ ისეთ რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, როგორიცაა მაგალითად მიწის, შრომის, საოჯახო და საქორწინო, შრომა-გასწორების, ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხები.

შემუშავდა სპეციალური კანონი მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის თაობაზე და სხვა.

პარტიის XXIV ყრილობის განსახილველად წარდგენილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას, განაცხადა, რომ საანგარიშო პერიოდში მათი მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მართლაც პარტიის დაუღალავი ზრუნვის შედეგად სისტემატურად იზრდება ადმინისტრაციული ორგანოების — სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის ავტორიტეტი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა მათი კავშირი ხალხთან, საზოგადოებრიობასთან.

სწორედ საზოგადოებრიობის მოთხოვნით, მშრომელთა წინადადებების გათვალისწინებით მიღებულ იქნა ახალი კანონები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებები — მიმართული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილება „დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

პარტია, ხელმძღვანელობდა რა შესაბამისი პერიოდის ამოცანებით შემდეგშიც დიდ ყურადღებას უთმობდა კანონმდებლობის განვითარებას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „კანონი არის პოლიტიკური ღონისძიება, თვითონაა პოლიტიკა.

კანონები ადრეც ცოტა როდი გვქონდა, მაგრამ საჭირო იყო მათი სერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოზული კორექტირება, რადგან ისინი ძველდებოდნენ, ყოველთვის არ პასუხობდნენ ცხოვრებას, არ იყვნენ ყველა მოქალაქისათვის ადვილად გასაგები.

ეს ძნელი ამოცანა დღესაც გადასაწყვეტია და იგი შეუძლებელია განხორციელდეს პრაქტიკული იურიდიული დაწესებულებების, მეცნიერული ძალების და გამოცდილების გამოყენების გარეშე.

დღეს იურიდიული მეცნიერება ველარ დაკმაყოფილდება მარტოოდენ მოქმედი კანონების განმარტებით და წინადადებათა წამოყენებით მათი სრულყოფისათვის. იგი მოწოდებულია ივარაუდოს თუ როგორ უნდა განვითარდეს, როგორი უნდა იყოს კანონი 10, 15, 20 წლის შემდეგ.

პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული დირექტივების შესაბამისად საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულება აყენებს საკითხს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების შესახებ.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის ხარისხის ამაღლება.

ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ, გამოდიოდა რა ქ. მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ „ამჟამად წარმოებისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის იურისტს ერანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ინჟინერს, აგრონომს, ეკონომისტს“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის № 149 დადგენილებაში „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის № 1025 დადგენილების შესაბამისად, ნათქვამია, რომ ეკონომიური რეფორმის განხორციელების პირობებში სახელმწიფო-საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით აუცილებელია სახალხო მეურნეობაში გადაჭრით გაუმჯობესდეს იურიდიული სამსახური, რომელიც სწორი ორგანიზაციის პირობებში არსებით ზეგავლენას მოახდენს სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებაზე.

დადგენილება განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი მუშაობის როლის ამაღლების კონკრეტულ მიმართულებებს.

საქმიანობის ამ უბნის არა ამომწურავმა გაცნობამაც კი გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ მცირე როდია შემთხვევები, როდესაც საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთა სამეურნეო საქმიანობა სახელშეკრულებო საწყისებზეა დაფუძნებული, არა მარტო არა ყავთ შტატში იურისტები, არამედ საერთოდ არ სარგებლობენ მათი მომსახურებით.

იურიდიული სამსახური მიჩნეულია მეორე ხარისხოვან საქმედ და იგი მინდობილი აქვთ ცალკეულ მუშაკებს კადრების განყოფილებიდან, ბუღალტერიიდან და ა. შ. ე. ი. პირებს, რომელთაც არა აქვთ სპეციალური მომზადება. ხოლო იქ, სადაც შტატით იურისტი გათვალისწინებულია, მათ უსაფუძვლოდ სამუშაოდანაც კი ათავისუფლებენ.

იმ სერიოზული მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც სოფლის მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობაში ენიჭება იურიდიულ სამსახურს, მისი სათანადო დონეზე დაყენება გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული.

საეჭვო როდია, რომ ყაზბეგის რაიონი ტიპიური სასოფლო-სამეურნეო რაიონია და იურისკონსულტის საქმიანობისათვის აქ ასპარეზი დიდია, ამ რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელობამ კი შეამცირა იურისკონსულტის თანამდებობა და მის ადგილზე ინჟინერი აიყვანა.

იურიდიული სამსახურის მნიშვნელობის უგულებელყოფის სხვა შემთხვევებიც მრავალია. თბილისის ლუდის № 2 ქარხანაში არსებობს იურისკონსულტის ნახევარი შტატი, რომელზეც თითქმის სამი წელია იურისკონსულტი არ მუშაობს. ეს მდგომარეობა კი ქარხნის ხელმძღვანელობას სრულიადაც არ აწუხებს.

იურიდიული სამსახურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში უარყოფით გავლენას ახდენს სამეურნეო ხელშეკრულების გაფორმებაზეც კი.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ყოველწლიურად იხილავენ უამრავ სამეურნეო დავებს და სახელმწიფო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის მხარეებს ჯარიმის მოზრდილ თანხებს ახდევინებენ. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები არბიტრაჟში საქმეთა განხილვისათვის მონაწილეობის მისაღებად აგზავნიან თავიანთ მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს, რაზეც დიდძალი სახელმწიფო თანხები იხარჯება.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არცერთი სამრეწველო თუ სოფლის მეურნეობის საწარმო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაცია არ დარჩეს იურიდიული მომსახურების გარეშე. სწორი იურიდიული სამსახური ხელს უწყობს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას და სერიოზული სამეურნეო ხარვეზების თავიდან აცილებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ გააანალიზა ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგიან სახალხო მეურნეობაში არსებული მდგომარეობა და სათანადო წერილით შევიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

დაყენებულია საკითხი იურიდიული სამსახურის კადრების მომზადებისა და განაწილების მდგომარეობის სრულყოფის აუცილებლობის შესახებ. ამ წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ რესპუბლიკის ისეთ მნიშვნელოვან სამინისტროებსა და კომიტეტებსაც კი, როგორიცაა კულტურის, განათლების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო და მრავალს სხვას, არა ჰყავთ შტატში იურისკონსულტის თანამდებობაც კი, და რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სჭირდება სულ ცოტა 300-ზე მეტი კვალიფიციური იურისტი.

მთავრობის დავალებით სამინისტროები და უწყებები სწავლობენ დაქვემდებარებულ ობიექტებში იურისტის საჭიროების საკითხს და იმედია საქმის ინტერესებიდან გამომდინარე ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

იუსტიციის ორგანოები, სასამართლოს ყველა მუშაკი ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლოს საქმიანობის სწორი ორგანიზაცია, ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების უნაკლოდ განხორციელებას. საქმეთა განხილვისას კანონიერების განუხრელად დაცვით აუცილებელია უზრუნველვყოთ მთავარი საპროგრამო მოთხოვნა: დანაშაულის ყოველ ჩამდენს მიეზღას შესაბამისი სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯელი და არც ერთი უდანაშაულო არ იქნას სამართალში მიცემული და მსჯავრ-დებული. ამ მხრივ მდგომარეობა უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების ბრძოლის გაძლიერება დამნაშავეობასთან თავის ასახვას პოულობს დასჯითი პრაქტიკის სწორად განხორციელებაში. 1966 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდებულთა 48,4 პროცენტს, 1967 წელს — 51,7-ს, 1968 წელს — 52,6-ს, 1969 წელს — 55-ს, ხოლო 1970 წელს — მსჯავრდებულთა 58,4 პროცენტს.

1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების გამოყენებამ გავლენა მოახდინა დასჯით პრაქტიკაზე. პირთა გარკვეულ ნაწილს, რომელთაც სხვა დროს სასჯელის ზომად ეფარდებოდათ თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების კოლონიებში მოხდით, ამჟამად ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების და პიროვნების გათვალისწინებით თავისუფლების აღკვეთა ენიშნებათ პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით. ამან გარკვეულად შეცვალა 1970 წლის მეორე ნახევრისა და 1971 წლის დასჯითი პრაქტიკის მონაცემები.

მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა ეს კანონიერების შემდგომი განმტკიცების საფუძველია.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბება მჭიდრო კავშირშია კანონის პატივისცემის დანერგვასთან, დანაშაულობის შემცირების და აღმოფხვრის პრობლემა პირდაპირ კავშირშია მასთან.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა რომ: კომუნისტური პარტიის, როგორც ავანგარდის, ძირითადი ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ დაეხმაროს შშრომელ მასებს აღზრდა-განათლებაში, რათა მათ გადალახონ ის მოძველებული ჩვევები და წესები, რაც მემკვიდრეობით დაგვრჩა ძველი წყობისაგან.

ეს საქმიანობა ბოლო წლებში გამოცოცხლდა. ბევრი კარგი ღონისძიებები ჩატარდა სასამართლო და იუსტიციის ორგანოების ხაზით, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით.

უფრო საქმიანი გახდა კონტაქტი პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან, საზოგადოება „ცოდნასთან". რესპუბლიკის მთელ რიგ საშუალო სკოლებში გადაიდგა პირველი ნაბიჯები, რათა მოსწავლეებმა შეისწავლონ საბჭოთა სამართლის საფუძვლები.

XXIV ყრილობამ თავის რეზოლუციაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომუნისტური სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანის აღზრდას, მიუთითა, რომ საზოგადოებრივი აზრი უფრო მტკიცედ უნდა წარმართოთ შრომის დისციპლინის დარღვევის, მომხვეჭელობის, მუქთახორობის, გატაცების, მექრთამეობის, ლოთობის წინააღმდეგ, საჭიროა განვაგრძოთ ბრძოლა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის ყველა გადმონაშთის დასაძლევად.

სასამართლოებს შეუძლიათ და მოვალენიც არიან წარმართონ საზოგადოებრივი აზრი ამის მისაღწევად, შეიტანონ ამ საქმეში თავიანთი წვლილი კარგად ჩატარებული პროცესებით, კერძო განჩინების გამოტანით, საანგარიშო მოხსენების ჩატარებით, სახალხო მსაჯულებთან მუშაობით, სასამართლო პროცესებში საზოგადოებრიობის ჩაბმით.

ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების 20-იან წლებში, აკრიტიკებდა რა იუსტიციის სახალხო კომისარიატს აღმზრდელობითი საქმიანობის ნაკლოვანებათა გამო, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „უდიდესია სასამართლოთა აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სად არის ჩვენთან ამაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრუნვა, სად არის რეალური შედეგების აღნუსხვა? ეს არ გვაქვს, თუმცა ეს იურიდიული საქმიანობის ანბანია".

1971 წლის პირველ ნახევარში ამ მხრივ არ გვქონდა კარგი მაჩვენებლები. ზოგიერთი მონაცემები ერთგვარად გაუარესდა. ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო ბევრი ახალი სახალხო მოსამართლის არჩევით, აგრეთვე სახალხო სასამართლოებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის შესუსტებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 27 ივლისის ცნობილი დადგენილების ცხოვრებაში გატარების შემდეგ სურათი ბევრად შეიცვალა.

მაგალითად, მეორე კვარტალთან შედარებით გაიზარდა განაჩენების დაყვანა სათანადო კოლექტივებამდე, თითქმის ორჯერ გაიზარდა კერძო განჩინებათა შესრულების შემოწმება, სათანადო ორგანოებში შეტანილია თითქმის სამჯერ მეტი წარდგინება, გაუმჯობესდა სახალხო მსაჯულებთან მუშაობა, მოსამართლეები უფრო ხშირად გამოდიან ამომრჩევლებთან საანგარიშო მოხსენებებით, მეტი დახმარება ეწევა ამხანაგურ სასამართლოებს და სახალხო რაზმეულებს. საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობაში სამართლებრივ თემებზე წაკითხულ ლექცია-მოხსენებების რაოდენობა და ამაღლდა მათი ხარისხი. ამას ხელი შეუწყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინათ მიღებულ დადგენილებების ამხანაგურ სასამართლოთა რესპუბლიკური საბჭოს შექმნისა და სახალხო რაზმეულთა რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ ცხოვრებაში გატარებამ ყველა ადმინისტრაციული ორგანოებისა და მათ შორის სასამართლოების მხრივ.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვას, რომელთა რაოდენობა შეადგენს სასამართლოში საერთოდ განხილულ საქმეთა დაახლოებით 70 პროცენტს. მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით მთელ რიგ რაიონებში მკვიდრდება კარგი ტრადიცია მეზობლური თუ სხვა სახის გამწვავებული საყოფაცხოვრებო დავების სასამართლოს სხდომამდე მოგვარებისა. ამ მხრივ საინტერესო მუშაობას ეწევა მაგალითად, ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლო, რომელმაც მარტო მიმდინარე წელს ადგილზე მისვლით, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატთა აქტივის დახმარებით, სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობით შეძლო მოეგვარებია ოცი ისეთი საკმაოდ რთული დავა მოქალაქეთა შორის, რაც შეიძლება ცუდი შედეგით დამთავრებულიყო.

სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აკონტროლებენ და წარმართავენ სახალხო სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს კანონთა გამოყენებას ზემდგომი სასამართლოების საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციები. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ზემდგომ სასამართლოებს.

კანონიერების განმტკიცებაში თავისი წვლილი შეაქვთ იუსტიციის სხვა დაწესებულებათა მუშაკებსაც: ადვოკატებს, აღმასრულებლებს, ნოტარიუსებს, აგრეთვე მმაჩის ორგანოების მუშაკებს. სსრ კავშირში ადვოკატის საპატიო პროფესიას ემსახურება 15 ათასი ადვოკატი, საქართველოს სსრ-ში კი — 600-ზე მეტი.

საბჭოთა ადვოკატურის წინაშე დიდი ამოცანები დგას. საჭიროა ამაღლდეს სასამართლო პროცესებზე ადვოკატთა გამოსვლების ხარისხი, გაუმჯობესდეს მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებათა იურიდიული მომსახურება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველმხრივ გაძლიერდეს ადვოკატთა მონაწილეობა საბჭოთა კანონების პროპაგანდაში, დანაშაულის პროფილაქტიკაში. ეს მათი პროფესიული მოვალეობა — მორალურ მოთხოვნილებათაც უნდა იქცეს.

რესპუბლიკის სანოტარო კანტორებს მარტო 1970 და 1971 წლებში სანოტარო მოქმედებისათვის მიმართა თითქმის მილიონ ნახევარმა მოქალაქემ. სანოტარო კანტორების მუშაკები მოვალენი არიან სანიმუშოდ მოემსახურონ მოსახლეობას, გამოიჩინონ მაღალი კულტურა როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვის დროს.

მმაჩის ორგანოების მუშაკებმა არა მარტო მნიშვნელოვნად უნდა აამაღლონ მოსახლეობის მომსახურების კულტურა, არამედ სრულყონ თავიანთი საქმიანობის ფორმებიც.

ბოლო ხანს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის 1970 წლის 30 ივლისის დადგენილება სასამართლო პროკურატურის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებით გაუქმდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების იურიდიული კომისიები და შეიქმნა საკავშირო-რესპუბლიკური იუსტიციის სამინისტროები.

საგულისხმოა, რომ ჩვენმა მტრებმა უცხოეთში დიდი ხმაური ატეხეს, რათა დაემახინჯებიათ საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტროს შექმნის ფაქტი. მასობრივი ინფორმაციის ორგანოების საშუალებით ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ თავიანთი მსმენელები თითქოს საბჭოთა კავშირში დამნაშავეთა წინააღმდეგ შემოღებული იქნებოდა დასჯა არა სასამართლო წესით, არამედ იგი განხორციელდებოდა განსაკუთრებული სათათბიროების, საგანგებო კომისიების სამეულებისა და სხვა საშუალებით.

მოხდა კი პირიქით, ამ აქტით განხორციელდა საბჭოთა სასამართლო წარმოების შემდგომი დემოკრატიზაცია.

ახალი კანონპროექტების შემუშავება და მიღება ან მათი სრულყოფა იწვევს მუშაობას იმ მოძველებული საკანონმდებლო აქტების გაუქმებისათვის ან შეცვლისათვის, რომლებიც აღარ პასუხობენ დღევანდელ პირობებს, დემოკრატიზაციის პროცესებს.

პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ, მთლიანად გაუქმებულია საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები დაახლოებით 20 ათასი, ხოლო ცვლილება შეტანილია 21 ათასზე მეტ საკანონმდებლო აქტში.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად მარტო 1972-76 წლებში უნდა გამოიცეს საერთო კანონმდებლობის კრებულები სახალხო მეურნეობის მუშაკებისათვის. საკავშირო იუსტიციის სამინისტროს ნავარაუდევი აქვს საბჭოთა სახელმწიფოს 60 წლისთავისათვის ასევე გამოსცეს კრებულები სახელმწიფო და სოციალურ-პოლიტიკურ მშენებლობაზე, ე. ი. გათვალისწინებულია ამ დროისათვის მთელი კრებულის გამოცემის დამთავრება.

იუსტიციის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს იურიდიულ ლიტერატურის და ნორმატიული აქტების მომზადების, სისტემატიზაციის და გამოცემის საქმეს.

უკანასკნელ პერიოდში მომზადდა საკანონმდებლო ცნობარი მშრომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაკთათვის. გასული წლის აგვისტოში გამოიცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გამოსაცემად გადაცემულია სხვა კოდექსები და კომენტარები, ასევე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულები, საქართველოს სსრ მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატული აქტების 1941—1950 წლების ქრონოლოგიური კრებული. მაგრამ საკანონმდებლო აქტების გამოცემის საქმე ჯერ კიდევ მოითხოვს გაუმჯობესებას და აუცილებელია მას მეტი ყურადღება მიექცეს.

კანონიერების შემდგომი განმტკიცება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის დონეზე. მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის ფართოდ გაშლის აუცილებლობა ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე.

„პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი, თქვა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ კანონების უმკაცრესად დაცვა, გაუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა... სამართლის, კანონის პატივისცემა, თითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს“.

მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების პრობლემა არ ამოიწურება მარტოოდენ ლექციების, საუბრების, გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების, სატელევიზიო და რადიოგადაცემათა რაოდენობის გადიდებით. ეს საქმე კი უნდა წარმოებდეს ინტენსიურად, მაგრამ ამასთან ერთად მიზანსწრაფულად, კვალიფიციურად და იმავდროს მთელი პასუხისმგებლობით.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსათვის ისევე როგორც სხვა უწყებებისათვის საპროგრამო დოკუმენტად იქცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 27 ივლისის დადგენილება „სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება საბჭოთა კავშირის კპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად“.

სამინისტროს კოლეგიამ ამ დადგენილების შესაბამისად მიიღო სათანადო დადგენილება, მომზადდა და ადგილებზე დაიგზავნა საინსტრუქციო წერილი დანაშაულის აცილებისა და პროფილაქტიკური მუშაობის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

დამნაშავეობის პროფილაქტიკისადმი საზოგადოებრივი აზრის მობილიზების კარგ ღონისძიებას წარმოადგენდა სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა საბჭოების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც გასული წლის 15 ოქტომბერს ჩავატარეთ.

ამ თათბირ-სემინარს ყოველ სახალხო სასამართლოში წინ უძღოდა სახალხო მსაჯულთა სემინარები. სემინარის მონაწილეებს სახალხო მოსამართლეებმა დაწვრილებით გააცნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 27 ივლისის დადგენილება და მსაჯულთა როლი ამ საქმეში, რომ სასოფლო საბჭოებსა და სოფლებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ყველა დასახლებულ პუნქტში შექმნილია კანონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, გამარჯვებულთათვის დაწესებულია რაიონული მასშტაბის გარდამავალი დროშები.

რესპუბლიკაში ჩატარდა ზონალური თათბირები, რომელზეც იმსჯელეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო და სადაბო საბჭოების ჩატარებულ მუშაობაზე დანაშაულის და სამართლის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

სამართალდარღვევათა აცილების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის მობილიზებულ იქნენ აგრეთვე რესპუბლიკის ადვოკატთა, ნოტარიატის და მმართველობის ორგანოების მუშაკები, რომლებიც ასევე ეხმარებიან სასოფლო და სადაბო საბჭოებს კანონიერების სწორად გატარებაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ახდენს რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებათა მიერ სამართლის პროპაგანდის ხაზით წარმოებული მუშაობის კოორდინაციას.

ამ მიზნით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან გასული თვის სექტემბერში შეიქმნა სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდური საბჭო, დამტკიცდა მისი დებულება და შემადგენლობა.

დიდი მოწონებით სარგებლობს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეგადაცემა „იურიდიული ცოდნა მასებს", რომლის შექმნის ინიციატორია იუსტიციის სამინისტრო. გადაცემაში მონაწილეობენ მეცნიერ-თანამშრომლები, რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები. ფართო აღიარება ჰპოვა აგრეთვე ტელეგადაცემებმა რუბრიკით „კანონი და კანონიერება".

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტრომ და რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გაერთიანებულ კოლეგიაზე განიხილეს საკითხი რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებლებში სამართლის საფუძვლების სწავლების შემოღებისა და ამ მიზნით კომიტეტისათვის სათანადო პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევის შესახებ.

მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა რთული საქმეა. ჩვენს პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებში ჯერ კიდევ იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როდესაც სამართლებრივ თემაზე მოსახლეობისათვის განკუთვნილი მასალა არ არის დაზღვეული უზუსტობისაგან. ამ უზუსტობისათვის პასუხისმგებლობას რა თქმა უნდა იუსტიციის სამინისტრო ვერ მოიხსნის. სამინისტროს შესაბამისი სამმართველო უფრო ახლოს რომ იდგენს რედაქციებთან, წინასწარ ეცნობოდეს იურიდიულ თემებზე გამოსაქვეყნებულ მასალებს, შეცდომებს თავიდან ავიცილებდით, მკითხველები კი სწორ, კვალიფიციურ ინფორმაციას მიიღებდნენ.

მაყურებელმა უკვე ნახა სამი დოკუმენტური კინოჟურნალი „ადამიანი და კანონი". ამჟამად მზადდება სრულმეტრაჟიანი პოპულარულ-დოკუმენტური ფილმის „გამომძიებლის დღიურის" გადაღება.

საზოგადოება „ცოდნას" თბილისის განყოფილებასთან ერთად იმ ლექტორებისათვის, რომლებიც იურიდიულ თემებზე კითხულობენ ლექციებს, ჩატარდა ორდღიანი სემინარი თემაზე — „სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე".

რესპუბლიკაში შექმნილია 36 სამართლისმცოდნეობის უნივერსიტეტი, აქედან მარტო უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა 9 სახალხო უნივერსიტეტი.

1971 წლის 9 თვეში რესპუბლიკის იუსტიციისა და სასამართლო ორგანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების მუშაკებმა ჩაატარეს 7.698 ლექცია-საუბარი, კითხვა-პასუხის საღამო და თეორიული კონფერენცია.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შემუშავდა სათანადო პროგრამა, შეირჩა საჭირო ლიტერატურა კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლის უზრუნველსაყოფად.

კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილია ლექტორთა სკოლა, აქ საბჭოთა სამართლის თეორიის, აგრეთვე მეთოდურ საკითხებზე ლექციებით გამოდიან მეცნიერები და ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს განათლების სამინისტროს გავუწიეთ პრაქტიკული დახმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატური კურსის პროგრამის შედგენასა და სწავლების მეთოდიკის შემუშავებაში. რეკომენდებულია ამ კურსის შესწავლა სკოლებში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული კადრების საერთო პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის დონის შემდგომ ამაღლებას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ. რესპუბლიკებში კი გათვალისწინებული იყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შექმნა. საქართველოს სსრ-ში 1971 წლის დეკემბერში უკვე დაიწყო მუშაობა ამ კურსებმა.

იუსტიციის ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მტკიცე კოორდინაციაზე მათ ერთობლივ ბრძოლაზე სამართალდარღვევათა და დანაშაულთა წინააღმდეგ.

იუსტიციის ორგანოების მუშაკები პარტიულ ორგანოების დახმარებით და ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის

მ. თოფურიძე,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ახორციელებენ ღონისძიებებს, რაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის სრულყოფისა და გაუმჯობესებისაკენ.

ამის დადასტურებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1956 წლის 14 ივლისს მიღებული კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, 1964 წლის 15 ივლისს მიღებული კანონი კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარებების შესახებ და სხვ.

განვლილ ხუთწლედში განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, რამაც გამოიწვია მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება. მოხუცებულობით დანიშნული სახელმწიფო პენსიების საშუალო ოდენობა გაიზარდა 20 პროცენტით; თითქმის 45 პროცენტით გადიდდა საკოლმეურნეო პენსიების საშუალო ოდენობა. სამამულო ომის 28 ათას ინვალიდს 25-35 პროცენტით გაუდიდდა პენსიები. შემოღებულ იქნა იმ ინვალიდების მატერიალური უზრუნველყოფა, რომლებიც ბავშვობიდან გახდნენ I ან II ჯგუფის ინვალიდები და მიაღწიეს 16 წლის ასაკს.

სამამულო ომის ინვალიდებისათვის მოხუცებულობით პენსიაზე გადასვლის შემთხვევაში 5 წლით შემცირდა საპენსიო ასაკი. ამასთან მათ უნარჩუნდებათ ყველა ის შეღავათები, რაც დაწესებულია ომის ინვალიდებისათვის.

კოლმეურნეობის წევრები, კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის ხარჯზე, იღებენ დახმარებას დროებითი შრომის უუნარობის გამო, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს, აგრეთვე სოციალური დაზღვევის სხვა სახეებს.

კოლმეურნეობას საერთო კრების დადგენილებით, თავის ხარჯზე შეუძლია დააწესოს დანამატი ყველა სახის პენსიაზე, რაც დაწესებულია კოლმეურნეობის წევრებისათვის; ასევე უფლება აქვს დაუწესოს პერსონალური პენსიები საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანებს და პირებს, რომლებსაც კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში აქვთ განსაკუთრებული დამსახურება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამამულო ომის ინვალიდების ტრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა. გასულ ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში სამამულო ომისა და სამხედრო სამსახურის 2861 ინვალიდმა უფასოდ მიიღო ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“, რაზეც დაიხარჯა 3 მილიონ 800 ათასი მანეთი.

მარტო გასულ წელს 465 სამამულო ომის ინვალიდმა უფასოდ მიიღო ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“, ხოლო 40 ინვალიდმა ახალი მოდელის მოტოციკლი. მიმდინარე წელს 650 ინვალიდი მიიღებს უფასოდ ხელით სამართავ მსუბუქ ავტომანქანა „ზაპოროჟეცს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათ, სამამულო ომის ინვალიდებს ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანები ეძლეოდათ 10 წლის ვადით. 1972 წლის 1 იანვრიდან კი ეს ავტომანქანები მიეცემათ 7 წლის ვადით. უფასოდ ეძლევათ ინვალიდებს ველოტლები, სმენის აპარატები, საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმი და სხვა.

საქართველოში განვლილ მერვე ხუთწლედში პენსიებისა და ყოველთვიური დახმარების მიმღებთა რიცხვი 203 ათასით გაიზარდა, იმავე პერიოდში პენსიებისა და ყოველთვიური დახმარების გაცემაზე დაიხარჯა 326 მილიონ მანეთით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში.

მეცხრე ხუთწლედში, 1971—1975 წლებში, პენსიებისა და ყოველთვიური დახმარებების გასაცემი თანხები 1 მილიარდ 691 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს ანუ გასული მერვე ხუთწლედის ხარჯებს 465 მილიონ მანეთით გადააჭარბებს.

განსაკუთრებული შეღავათებია დაწესებული საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიების დასანიშნავად საბჭოთა კავშირის გმირებისა და სოციალისტური შრომის გმირებისათვის.

საბჭოთა კავშირის გმირებსა და სოციალისტური შრომის გმირებს უფლება აქვთ წელიწადში ერთხელ უფასოდ იმგზავრონ რკინიგზის რბილი ვაგონით, საზღვაო და სამდინარო გემების პირველი კლასის კაიუტით, თვითმფრინავით, აგრეთვე საქალაქთაშორისო ავტოტრანსპორტით. მათვე უფასოდ ეძლევათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლის საგზურები.

საქართველოში დღეისათვის 836 ათასამდე ადამიანია სოციალურად უზრუნველყოფილი, მათ შორის 470 ათასზე მეტი იღებს სახელმწიფო პენსიას ან ყოველთვიურ დახმარებას, 294 ათასზე მეტი კოლმეურნე — საკოლმეურნეო პენსიას, 71 ათასამდე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედა ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას, ხოლო 872 მოხუცი და ინვალიდი იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მათთვის განკუთვნილ სახლ-ინტერნატებში.

ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველი მეხუთე მოქალაქე იღებს პენსიას ან ყოველთვიურ დახმარებას, ან იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

საქართველოში 8781 პერსონალური პენსიონერია, მათ შორის 937 საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რომელთა შორის 54 საბჭოთა კავშირისა და 549 სოციალისტური შრომის გმირია; 5509 რესპუბლიკური მნიშვნელობის, ხოლო 2335 ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

პერსონალური პენსიონერებისათვის დაწესებულია შეღავათები — ისინი კომუნალური მომსახურებისათვის იხდიან მისი ღირებულების 50 პროცენტს. იქიმების მიერ გამოწერილი წამლების ღირებულებიდან იხდიან მხოლოდ 20 პროცენტს, უფასოდ იღებენ მათთვის საჭირო საპროთეზო-ორთოპედიულ ნაწარმს.

საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერებს, რომლებიც პენსიას იღებენ პირადი დამსახურებით და აქვთ სულ მცირე 30 წლის პარტიული სტაჟი, ყოველწლიურად უფასოდ ეძლევათ სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის საგზური, ან მათი სურვილით საგზურის მაგიერ ფულადი კომპენსაცია 100 მანეთის ოდენობით.

ამავე კატეგორიის პერსონალურ პენსიონერებს, რომლებსაც აქვთ სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე 50 წლის პარტიული სტაჟი, ყოველწლიურად ეძლევათ ფულადი დახმარება დანიშნული 2 თვის პენსიის ოდენობით; 30 წლიდან 50 წლამდე პარტიული სტაჟის მქონეებს — თვენახევრის პენსიის ოდენობით, ხოლო ყოფილ პოლიტკატორღელებს და პოლიტპატიმრებს, როგორც პარტიის წევრებს, ისე უპარტიოებს, ერთი თვის პენსიის ოდენობით. მათვე მინიჭებული აქვთ უფლება უფასოდ ისარგებლონ ქალაქის ყველა სახის ტრანსპორტით—ტროლეიბუსით ტრამვაით, მეტროპოლიტენით და ავტობუსით (გარდა ტაქსისა).

მომუშავე პერსონალურ პენსიონერებს შეუძლიათ მთლიანად მიიღონ პენსია, უკეთუ ხელფასისა და პენსიის საერთო ჯამი არ აღემატება 300 მანეთს, ხოლო საკავშირო მნიშვნელობის პენსიონალურ პენსიონერებს, რომელთაც პენსია დანიშნული აქვთ საკავშირო მთავრობის ცალკე დადგენილებებით — პენსიისა და ხელფასის საერთო ჯამი არ აღემატება 500 მანეთს.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ პენსიონერებმა თავიანთი ჯანმრთელობის მიხედვით მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. ამით აიხსნება, რომ საქართველოში დღეისათვის 133 ათასზე მეტი პენსიონერი მუშაობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა კავშირში მოხუცებულობით პენსიის დასანიშნად დაწესებულია მამაკაცისათვის — 60 წელი, ქალებისათვის კი — 55 წელი, ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის კი უფრო დაბალი ასაკი.

იმ მიზნით, რომ შრომისუნარიან მოხუცებულობით პენსიონერებს აუმაღლონ მატერიალური დაინტერესება, რათა მათ პენსიის დანიშვნის შემდეგ გააგრძელებინონ მუშაობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1969 წლის 21 დეკემბრის № 995 დადგენილებით მომუშავე მოხუცებულობით პენსიონერებისათვის დააწესა სახელმწიფო პენსიების გაცემის შესაბამისი წესი.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში უკვე განხორციელდა იმ ღონისძიებების ნაწილი, რაც დასახული იყო პარტიის XXIV ყრილობის მიერ მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

გასული წლის 1 ივლისიდან მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობით სახელმწიფო პენსიის მინიმალური ოდენობა 30 მანეთიდან გადიდდა 45 მანეთამდე, ხოლო საკოლმეურნეო მოხუცებულობით პენსიის მინიმალური ოდენობა 12 მანეთიდან 20 მანეთამდე.

გაიზარდა კოლმეურნეთა ინვალიდობით და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების ოდენობაც. კოლმეურნეებზე გავრცელდა პენსიის ოდენობის გამოანგარიშების წესი, რაც დადგენილია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

იმ კოლმეურნეთათვის, რომლებიც მუშაობდნენ უკიდურეს ჩრდილოეთში ან მასთან გათანაბრებულ ადგილებში, მოხუცებულობით პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკი შემცირდა 5 წლით და სხვ.

ამ ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით საქართველოში პენსიები გადაეანგარიშა 337 ათასამდე პენსიონერს, რის შედეგადაც მიმდინარე წლის ბოლომდე პენსიების გაცემაზე დამატებით დაიხარჯა 13 მილიონ მანეთამდე.

მუდმივად სოფელში მცხოვრები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესდა სოფლის მეურნეობასთან კავშირის განსაზღვრის ახალი წესი, რაც გავლენას ახდენს მათი პენსიის ოდენობაზე.

ახლა მუდმივად სოფელში მცხოვრები მუშები და მოსამსახურეები სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობასთან დაკავშირებულად ითვლებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედიან მეურნეობის შემადგენლობაში, რომელსაც აქვს მიწის ნაკვეთი 0,15 ჰექტარზე მეტი ან სხვა უფრო დიდ ნორმაზე მეტი, რაც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით სათანადო კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეებზე გავრცელდა პენსიის ოდენობის გამოანგარიშების წესი, რაც დადგენილი იყო მუდმივად სოფელში მცხოვრები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, კოლმეურნეებსა და მათს ოჯახებს პენსიები (მინიმალურის გარდა) ენიშნებათ მუშებისა და მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული ნორმების 100 პროცენტის ოდენობით, თუ მეურნეობას, რომლის შემადგენლობაშიც შედის პენსიონერი, არა აქვს საკარმიდამო ნაკვეთი ანდა ეს საკარმიდამო ნაკვეთი არ აღემატება 0,15 ჰექტარს, ხოლო კოლმეურნეებს, რომლებიც შედიან მეურნეობაში, რომელთა შემადგენლობაში შედის კოლმეურნე, აქვს საკარმიდამო ნაკვეთი 0,15 ჰექტარზე მეტი, პენსიის ოდენობა განესაზღვრება 15 პროცენტით ნაკლები.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად დაუახლოვდა კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფა მუშებისა და მოსამსახურეების სოციალურ უზრუნველყოფას.

ჩვენს ქვეყანაში 1973 წელს გათვალისწინებულია პენსიები გაუდიდდეთ იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს. 1974 წელს კი საშუალოდ ერთი მესამედით გაიზრდება ომისა და შრომის ინვალიდების პენსიების ოდენობა და 20 პროცენტით იმ ოჯახების პენსიებია ოდენობა, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს.

საპენსიო კანონმდებლობა გამოხატავს მუშებისა და მოსამსახურეების ინტერესებს. სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 122 პუნქტის თანახმად პენსიის გამოსაანგარიშებლად, საშუალო თვიური გამომუშავების დასადგენად აღებულ უნდა იქნას უკანასკნელი 12 თვის გამომუშავება და ამ დროის გამომუშავების საერთო თანხა გაიყოს თორმეტზე. ამასთან ის თვეები, რომელთა განმავლობაში მუშაკი საპატიო მიზეზით ფაქტიურად არ მუშაობდა ან არასრული რაოდენობით გამოიმუშავა სამუშაო დღეები (ავადმყოფობა, შვებულებაში ყოფნა, დათხოვნა და ა. შ.) უნდა შეცვლილ იქნას სხვა თვეებით, რომლებიც უშუალოდ წინ უძღოდენ.

უკეთუ მუშაობის შეწყვეტამდე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (ხოლო იმათთვის, ვინც მუშაობას განაგრძობს პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე), მუშაკმა საერთო ჯამით 12 სრულ თვეზე ნაკლები იმუშავა, იანგარიშება ფაქტიურად ნამუშევარი ყველა სრული თვის გამომუშავებიდან გამოყვანილი საშუალო თვიური გამომუშავების მიხედვით. ამისათვის აღნიშნული თვეების გამომუშავების საერთო თანხა იყოფა ამ თვეების რიცხვზე.

იმავე დებულების 123 პუნქტი ითვალისწინებს, რომ პენსიის მთხოვნელის სურვილით პენსიის გამოსაანგარიშებლად აღებულ უნდა იქნას საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავება ყოველი 5 წლისა ზედიზედ იმ უკანასკნელი 10 წლიდან, რაც გავიდა პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე.

ამის მიხედვით მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ პენსიის დასანიშნავად წარადგინონ ხელფასის ის ცნობა, რომლიდანაც დაინიშნება უფრო მაღალი პენსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპენსიო კანონმდებლობის ამ ჰუმანურ დებულებას ბოროტად იყენებს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მოქალაქე. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

რ. ა. ტაბიძე წლების მანძილზე მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პროორექტორის თანამდებობაზე, სადაც მისი თვიური ხელფასი შეადგენდა 120 მანეთს. მოხუცებულობით პენსიაზე გადასვლის წინა წელს რ. ა. ტაბიძე გაფორმდა აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშად, საიდანაც წარმოადგინა ცნობა, რომლის საფუძველზედაც მისმა საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 243 მანეთი და 56 კაპიკი.

თბილისში მცხოვრები მიკრობიოლოგი თ. ნ. კრავეიშვილი 1960 წლამდე მუშაობდა თავის სპეციალობით ღვინის ქარხნებში, სადაც მისი თვიური ხელფასი არ აღემატებოდა 114 მანეთს. 1960 წლიდან 1968 წლამდე ის არსად არ მუშაობდა. მოხუცებულობის ასაკის მიღწევის წინ თ. ნ. კრავეიშვილმა 1968 წლის 1 აპრილიდან 1968 წლის 18 ივნისამდე იმუშავა მცხეთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში ამკინძველის თანამდებობაზე, საიდანაც წარმოადგინა ხელფასის ცნობა, რომლის საფუძველზე მისმა საშუალო თვიურმა გამომუშავებამ შეადგინა 231 მანეთი. ეს მაშინ, როცა თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატ „თბილექსპრესის“ მონაცემებით, ამკინძველის სატარიფო განაკვეთი შეადგენს 65 მანეთს, ხოლო საშუალო თვიური გამომუშავება არ აღემატება 131 მანეთს.

თბილისელი კოსმეტოლოგ ნ. ს. დევდარიანის საშუალო თვიური გამომუშავება გასულ წლებში არ აღემატებოდა 130 მანეთს. მიუხედავად ამისა. მან პენსიის დასანიშნავად წარმოადგინა 1969 წლის ივლისიდან 1970 წლის ივლისამდე ხელფასის ცნობა, რომლის მიხედვითაც მისმა საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 254 მანეთი. ამ ცნობაში აღნიშნული იყო, თითქოს ნ. ს. დევდარიანმა 1970 წლის თებერვალში გამოიმუშავა 354 მანეთი, აპრილში — 373 მანეთი, მაისში — 365 მანეთი და ა. შ.

ჩვენს რესპუბლიკაში საპენსიო კანონმდებლობა ძირითადად სწორად ხორციელდება და ამ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხების გამოყენება ხდება დანიშნულებისამებრ.

11889

მიუხედავად ამისა, გასულ წელს ქალაქებისა და რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში ჩვენი რევიზორების მიერ გამოვლინებულ იქნა 360 შემთხვევა, როცა პენსია იცემოდა მეტი ოდენობით, ვიდრე კანონით ეკუთვნოდათ, და ზედმეტად გაიცა 71 ათას მანეთზე მეტი. ადგილი ჰქონდა პენსიების ნაკლები ოდენობით გაცემის შემთხვევებსაც.

ჭიათურაში მილიციის ორგანოების მიერ დაპატიმრებული იყო ვინმე ა. მ. აბაშიძე. ძიების პროცესში დადგინდა, რომ ა. მ. აბაშიძე, დაწყებული 1960 წლიდან, ამზადებდა ყალბ დაბადების მოწმობებს და ჰყიდდა მათ არაკეთილსინდისიერ ადამიანებზე, რომლებიც ცდილობდნენ სახელმწიფო პენსიის ვადაზე ადრე მიღებას.

ამის შედეგად, დაწყებული 1960 წლიდან 1970 წლამდე 32 მოქალაქემ ა. მ. აბაშიძის მიერ შექმნილ ყალბ დაბადების მოწმობების გამოყენებით, ვადაზე ადრე უკანონოდ მიიღო მოხუცებულობის პენსია და სახელმწიფოს 70 ათასამდე მანეთი წაგლიჯა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რევიზორებმა გამოავლინეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გარდაბნის რაიონშიც იყო ყალბი საბუთებით პენსიის მიღების შემთხვევები, სადაც ამ გზით უკანონოდ წაგლიჯეს სახელმწიფოს 38 ათას მანეთზე მეტი.

მეტად სამწუხარო ამბავი გამოვლინდა გორის საქალაქო სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში.

კავშირგაბმულობის გორის საქალაქო კვანძის მესამე საფოსტო განყოფილების გამგემ გ. მ. არუწევმა, გორის საქალაქო სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ბუღალტერმა ვ. კ. შარიქაძემ და უფროსმა მოანგარიშემ ე. ქარელმა, ურთიერთშეთანხმებით მიითვისეს 74 ათასამდე მანეთი. ბოროტმოქმედნი დაპატიმრებული არიან.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაკებს მართებთ მეტი სიფხიზლის გამოჩენა, რათა არ მისცენ საშუალება არაკეთილსინდისიერ ადამიანებს უკანონოდ მიიღონ პენსია ან ყოველთვიური დახმარება.

რესპუბლიკის იუსტიციისა და საგამოძიებო ორგანოებს კი შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაკებს საპენსიო კანონმდებლობის სწორად განხორციელების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისმგებლობა თანაამსრულებლობისათვის

ო. გამყრელიძე

სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში თანამონაწილეობას განიხილავენ ფართო და ვიწრო აზრით. თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით ანუ, როგორც იტყვიან, რთული თანამონაწილეობა გულისხმობს როლების დანაწილებას ცალკეულ მონაწილეთა შორის (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). თანამონაწილე, იქნება ის ორგანიზატორი, წამქეზებელი თუ დამხმარე, დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ თვითონ არ ასრულებს. შემადგენლობას უშუალოდ ანხორციელებს მხოლოდ ამსრულებელი, ხოლო დანარჩენები მონაწილეობენ ამსრულებლის მოქმედებაში. თანამონაწილეობა ფართო აზრით თანაამსრულებლობასაც მოიცავს. თანაამსრულებლობის დროს ცალკეულ მონაწილეთა შორის როლების დანაწილება არ ხდება. ამიტომ მას ზოგჯერ მარტივ თანამონაწილეობასაც უწოდებენ.

თანაამსრულებლობის ცნებას მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს. „საფუძვლების“ მე-17 მუხლში მოცემულია მხოლოდ უშუალო ამსრულებლის ცნება. ამ მუხლის თანახმად, ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც **უშუალოდ** ჩაიდენს დანაშაულს. ამ განსაზღვრებაზე დაყრდნობით სისხლის სამართლის თეორიაში თანაამსრულებლად მიიჩნევენ იმას, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს განზრახი დანაშაულის ჩადენაში.[1] თანაამსრულებლობა არსებითად იგივე ამსრულებლობაა; ამიტომ თანაამსრულებელი არ იქნება ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობას არ ახორციელებს. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანაამსრულებელი თანამონაწილის, სახელდობრ, დამხმარისაგან. ორი ან მეტი პირის უშუალო ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში ნიშნავს იმას, რომ თვითეული მათგანი უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას.

რაკი თანაამსრულებლობა უცილობლად გულისხმობს შემადგენლობის განხორციელებას, საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ შემადგენლობის რა ნაწილს უნდა ასრულებდეს თვითეული მათგანი. როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში ერთხმად არის აღიარებული, რომ ყოველი თანაამსრულებელი შემადგენლობას უნდა ასრულებდეს ან მთლიანად ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ისეთ დელიქტებში, როგორიცაა, მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება და სხვ., სადაც ძალადობა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, თანაამსრულებლობისათვის საკმარისია, თუ პირმა შემადგენლობის მხოლოდ ეს ნიშანი შეასრულა. როგორც სწორად შენიშნავს მ. კოვალიოვი, „...განზრახი მკვლელობის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც მსხვერპლს მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა, არამედ ისიც, ვნც აკავებდა დაზარალებულს, ვიდრე სხვა თანამონაწილენი მას მომაკვდინებელ დარტყმებს აყენებდნენ“.[2]

---

[1] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 132; В. Сергеев, Соисполнительство по советскому уголовному праву, «Советская юстиция», 1970, № 18, стр. 5.

[2] М. И. Ковалев, Соучастие в преступлении. Часть вторая, Свердловск, 1962; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლის მე-2 ნაწილით სხეულის მძიმე დაზიანების (რომელმაც სიკვდილი გამოიწვია) თანაამსრულებლებად სცნო მამა-შვილი გ. გ. და მ. გ.. როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების დროს დადასტურდა, რომ გ. გ.-მ პირადი უსიამოვნების ნიადაგზე უკანიდან ხელი ჰკრა თავის მეზობელს ს. გ.-ს, რომელიც წაბარბაცდა. ამის შემდეგ გ. გ.-მ ხელები დაუჭირა ს. გ.-ს. ამ დროს შემთხვევის ადგილზე მივიდა გ. გ.-ს ვაჟი მ. გ., რომელიც მიეშველა მამას და მუშტებით დაუწყო ცემა ს. გ.-ს მუცელში, რის შედეგად მან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, გაუსკდა სწორი ნაწლავი და გარდაიცვალა. ამ კვალიფიკაციას დაეთანხმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმიც.

მაგრამ ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომებიც. საგულისხმოა ამ მხრივ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება (№ 239) ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოს 1969 წლის 12 დეკემბრის განაჩენთან დაკავშირებით. თ. ა.-მ, ს. ა.-მ და ე. დ.-მ ერთობლივად წააქციეს ა. ს. და მოკვლის მიზნით ე. დ. ყელში უჭერდა ხელებს, ს. ა. თავში ურტყამდა ქვას, ხოლო თ. ა.-მ ამოიღო ჯაყვა და მსხვერპლს გადაუჭრა მარცხენა მუხლის ფოსო და წვივის არე ხუთ ადგილას, შემდეგ გადაუჭრა ვენები, რის გამოც მსხვერპლი სისხლის დენისაგან ადგილზევე გარდაიცვალა. ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ ამსრულებლად ცნო მხოლოდ თ. ა., ე. ი. ის, ვინც უშუალოდ მოკლა მსხვერპლი და დააკვალიფიცირა მისი ქმედობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105 მუხლით. ხოლო დანარჩენები ჩათვალა დამხმარეებად და მათი ქმედობა სისხლის სამართლის კოდექსის მე-19—105 მუხლებით დააკვალიფიცირა. ამ კვალიფიკაციას დაეთანხმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიაც. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ხსენებულ დადგენილებაში ამ საქმის გამო აღნიშნულია, რომ „სამივე მსჯავრდებული მოქმედებდა ა. ს.-ს მოკვლის განზრახვით. დამდგარი შედეგი, ა. ს.-ს სიკვდილი, მათი ერთობლივი მოქმედების პროდუქტია და ამდენად მათი დანაშაულებრივი ქმედობა სასამართლოს განაჩენით სწორად არის დაკვალიფიცირებული“. ჩვენი აზრით, მცდარია პრეზიდიუმის მტკიცება, თითქოს განაჩენით მოცემული კვალიფიკაცია სწორი იყოს. სახალხო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ს. ა. და ე. დ. დამხმარეებად. სინამდვილეში ისინიც ამსრულებლები იყვნენ. მკვლელობის ამსრულებელი მარტო ის კი არ იყო, ვინც მსხვერპლს ვენები გადაუჭრა, არამედ ისიც, ვინც ყელში ხელს უჭერდა და ვინც თავში ქვას ურტყამდა. აქ ადგილი ჰქონდა მკვლელობის თანაამსრულებლობას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთ დადგენილებაში პირდაპირაა მითითებული, რომ „პირთა ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის დროს დანაშაულის ამსრულებლებად უნდა ჩაითვალონ არა მარტო ის პირები, რომელთა მოქმედებამაც უშუალოდ გამოიწვია სიკვდილი, არამედ ისინიც, ვინც განზრახ მონაწილეობდა თვით დანაშაულის აღსრულების პროცესში თავისი მოქმედებით, რომელიც მიმართული იყო აღნიშნული მიზნის მისაღწევად“.[3]

[3] Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР 1924—1970, М., 1970, стр. 445.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო ინტერესს იწვევს ამ თვალსაზრისით გაუპატიურების შემადგენლობა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლით გაუპატიურება არის ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერა ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. პრაქტიკაში იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ერთობლივად მოქმედი რამდენიმე დამნაშავიდან მხოლოდ ერთ-ერთი ახორციელებს სქესობრივ აქტს, ხოლო დანარჩენები მსხვერპლისადმი ფიზიკური ძალადობის გამოყენებით ეხმარებიან და ხელს უწყობენ თავიანთ თანამზრახველს სქესობრივი აქტის შესრულებაში. ასეთი პირები ერთი შეხედვით თითქოს დამხმარეები არიან. მაგრამ არსებითად ისინიც აღსრულებით მოქმედებას სჩადიან, ვინაიდან ახორციელებენ შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს — ფიზიკურ ძალადობას. ამიტომ მსგავსი შემთხვევები თანაამსრულებლობად უნდა დაკვალიფიცირდეს. ამ გარემოებაზე სასამართლოების ყურადღება გაამახვილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1964 წლის 25 მარტის № 2 დადგენილებით, სადაც ვკითხულობთ: „...იმ პირთა მოქმედებები, რომლებსაც პირადად არ ჩაუდენიათ ძალადობითი სქესობრივი აქტი, მაგრამ დაზარალებულისადმი ძალადობის გამოყენებით ხელი შეუწყვეს სხვებს მის გაუპატიურებაში, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის მე-3 ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით როგორც ამ დანაშაულის თანაამსრულებლობა და არა როგორც დახმარება“.[4]

ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი პირი სქესობრივ აქტს უშუალოდ ახორციელებს, დანარჩენები კი ემუქრებიან მსხვერპლს და აიძულებენ მას დაემორჩილოს მოძალადეს. ის, ვინც მუქარას ახორციელებს, იქნება თანაამსრულებელი და არა დამხმარე, ვინაიდან მუქარაც გაუპატიურების შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია.

გაუპატიურების შემადგენლობის ნიშანია აგრეთვე სქესობრივი კავშირის დაჭერა „მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“. უმწეო მდგომარეობაში მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. მაგრამ შესაძლოა დამნაშავემ თვითონ ჩააგდოს იგი უმწეო მდგომარეობაში მისი შემდგომი გაუპატიურების მიზნით. ასეთ შემთხვევაში თვით ფაქტი, მსხვერპლის უმწეო მდგომარეობაში ჩაგდებისა, უკვე ნიშნავს, რომ განხორციელდა შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი. ამიტომ თუ ერთი პირი მსხვერპლს განზრახ ჩააგდებს უმწეო მდგომარეობაში, ხოლო მეორე მას გააუპატიურებს, ორივენი იქნებიან გაუპატიურების თანაამსრულებლები.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება თანაამსრულებლობა ორაქტიან დელიქტებში. ამის ნიმუშია სპეკულაცია. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165 მუხლით სპეკულაციად ითვლება საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით. ამრიგად, ეს შემადგენლობა შესდგება ორი აქტისაგან: 1) შესყიდვა და 2) გადაყიდვა. ცალკე აღებული არც შესყიდვა და არც გადაყიდვა არ არის დანაშაული. მხოლოდ ამ ორი აქტის შეერთება (სხვა მომენტებთან ერთად) ქმნის სპეკულაციის დამთავრებულ შემადგენლობას. ამიტომ თუ ერთი პირი შეისყიდის საქონელს, ხოლო მეორე გაყიდის

[4] Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1970, М., 1970, стр. 456.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგების მიზნით, საქმე გვექნება თანაამსრულებლობასთან. თვითეული მათგანი იქნება სპეკულაციის თანაამსრულებელი[5].

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს სპეციალური მიზანი წარმოადგენს. მაგალითად, მითვისების მიზანი ქურდობის დროს, საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზანი სახელმწიფო დანაშაულებში და სხვ. შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ თანაამსრულებლობაზე იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთ მონაწილეს ეს მიზანი არა აქვს? ვთქვათ, ქურდობის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ერთობლივად ახორციელებს ორი პირი, რომელთაგან ერთს აქვს მითვისების მიზანი, მეორეს კი — არა. იქნება ეს უკანასკნელი თანაამსრულებელი თუ დამხმარე — თანამონაწილე? ჩვენი აზრით, დასახელებული დელიქტების თანაამსრულებელი შეიძლება იყოს ისიც, ვინც, მართალია, სპეციალური მიზნით არ მოქმედებს, მაგრამ სხვასთან ერთად ასრულებს შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. მაგალითად, ქურდობის თანაამსრულებლობისათვის სავსებით საკმარისია, თუ რამდენიმე მონაწილიდან ერთ-ერთს მაინც აქვს მითვისების მიზანი, ხოლო დანარჩენებმა კი ეს იციან[6]. უფრო მეტიც: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქურდობის თანაამსრულებლობასთან გვექნება საქმე მაშინაც, როცა ნივთის ფარული გატაცება ხდება სხვისთვის გადასაცემად.

გამიზვნითი დელიქტებიდან ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ქალის მოტაცება მასთან **ქორწინების მიზნით**, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლით. ამ შემადგენლობის თავისებურება ის არის, რომ რამდენი კაციც არ უნდა მონაწილეობდეს ქალის მოტაცებაში, მასთან ქორწინების მიზანი მხოლოდ ერთ მათგანს შეიძლება ჰქონდეს. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ის, ვისაც ქალთან ქორწინების მიზანი აქვს, ქალის ფაქტიურ მოტაცებაში არც კი მონაწილეობდეს. თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიას თუ დავუჯერებთ, ამ შემთხვევაში ქალის ფაქტიური მომტაცებლები უნდა დაისაჯონ როგორც დამხმარეები, ამსრულებელი კი იქნება ის, ვისაც ქორწინების მიზანი ჰქონდა. მიზანი რომ გამიზვნითი დელიქტების ამსრულებლობის აუცილებელი ნიშანი იყოს, მაშინ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების თანაამსრულებლობა, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, ეს მიზანი მხოლოდ ერთ პირს უნდა ჰქონდეს. მაგრამ ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს თანამონაწილეობის ობიექტური გაგებიდან, რომელიც საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაშია გაბატონებული. ობიექტური თეორიის თანახმად, ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების თანაამსრულებლობა ისევე შესაძლებელია, როგორც მკვლელობის, გაუპატიურების და სხვა დელიქტების თანაამსრულებლობა. სავსებით სწორად შენიშნავს ნ. დურმანოვი, რომ „ქალის მოტაცება დამოუკიდებელი დანაშაულია; ამიტომაც ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ის პირი, რომელსაც გამიზნული აქვს მოტაცების გზით ქალთან დაქორწინება, ისე მისი ნათესავები ან პირები, რომლებიც გასამრჯელოს გამო დათანხმდნენ მოტაცებაში მონაწილეობაზე“[7].

---

[5] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 139.

[6] Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allg. Teil, Berlin, 1959, S. 459.

[7] Н. Д. Дурманов, Преступления, составляющие пережитки родового быта, М., 1938, стр. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკა უარყოფს ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების თანაამსრულებლობას. პრაქტიკაში ამსრულებლად თვლიან მხოლოდ იმას, ვისაც აქვს ქალთან ქორწინების მიზანი. ზ. დ.-მ წინადადება მისცა თ-ს ცოლად გაყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ მამა-შვილი ზ. დ. და გ. დ. დაუხვდნენ გზაზე მიმავალ თ-ს, აიყვანეს იგი ხელში და ასე ხელში აყვანილი მიიყვანეს სამანქანო გზასთან. მიუხედავად ქალის წინააღმდეგობისა, ძალით შესვეს ის ცხენზე, უკან ქალს მიუჯდა ზ. დ. (ე. ი. საქმრო), ხოლო გ. დ.-მ და სხვა პირებმა ხელი მოკიდეს დაზარალებულს ხელებზე და ასე ატარეს დაახლოებით 7—8 კილომეტრი. შემდეგ გადმოსვეს ცხენიდან, ჩასვეს ავტომანქანაში და მიიყვანეს საქმროს სახლში. მესტიის რაიონის სახალხო სასამართლომ ამსრულებლად ცნო მხოლოდ ზ. დ., ე. ი. ის, ვისაც ჰქონდა ქორწინების მიზანი და დააკვალიფიცირა მისი ქმედობა სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლით. რაც შეეხება ზ. დ.-ს მამას — გ. დ.-ს, რომელმაც მეტად აქტიური როლი შეასრულა სარძლოს მოტაცებაში, სასამართლომ ის ჩათვალა დამხმარედ და დასაჯა სსკ მე-19—134 მუხლებით, მაშინ, როცა მისი ქმედობაც უნდა დაკვალიფიცირებულიყო მხოლოდ 134 მუხლით, როგორც ამსრულებლობა.

თანაამსრულებელი არსებითად დანაშაულის ამსრულებელია. ამიტომ არ შეიძლება კერძო პირი იყოს სპეციალური დელიქტის თანაამსრულებელი. მაგალითად, სამხედრო დანაშაულის თანაამსრულებელი აუცილებლად სამხედრო მსახური უნდა იყოს. ეს იმიტომ, რომ სპეციალური დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს მოქმედების ფაქტიურ ნიშნებთან ერთად მიეკუთვნება აგრეთვე ის მოვალეობაც, რომელიც მხოლოდ სპეციალურ პირს შეიძლება ჰქონდეს დაკისრებული.

თანაამსრულებლობა სუბიექტური მხრივ განზრახი მოქმედებაა. თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარისათვის ორი რამ არის დამახასიათებელი: 1) განზრახი ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივი შედეგისადმი და 2) იმის შეცნობა, რომ პირი დანაშაულს სჩადის სხვასთან ერთად. თანაამსრულებლობა არ გვექნება, თუ ერთ-ერთი ეს მომენტი არ არის. მაგალითად, თუ პირმა იცის, რომ მოქმედებს სხვასთან ერთად, მაგრამ არ იცის, რომ მათ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი შედეგი, იმ შემთხვევაში, თუ ეს შედეგი ნამდვილად განხორციელდა, ისინი პასუხს აგებენ არა როგორც თანაამსრულებლები, არამედ როგორც ერთპიროვნული ამსრულებლები. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა შეცდომით თანაამსრულებლობად დააკვალიფიცირეს, რაც შემდეგ ზემდგომი სასამართლოს მიერ გასწორებული იქნა.

ტისულის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ კარაულოვი და შირშოვი გასამართლებული იქნენ რსფსრ სსკ 106 მუხლით (გაუფრთხილებლობითი მკვლელობა). კარაულოვმა დილით ადრე მდინარის მეორე ნაპირზე შენიშნა ბუჩქების რხევა, გალანდა შავი სილუეტი და გაიგონა ტოტების ლაწა-ლუწი. მან იფიქრა, რომ ეს იყო დათვი, გაიქცა და შეატყობინა შირშოვს. კარაულოვმა და შირშოვმა მოიტანეს სანადირო თოფები, რომლებიც ერთნაირი ტყვიებით იყო დატენილი და თითქმის ერთი და იმავე მანძილიდან, ერთსა და იმავე დროს ესროლეს ბუჩქებში „დათვს“. მაგრამ ბუჩქებში დათვის ნაცვლად აღმოჩნდა კოპილოვი, რომელიც მოკლული იქნა. კოპილოვს, მართალია, ორივე ტყვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხვედროდა, მაგრამ ერთ მათგანს მხოლოდ გაეკაწრა. მაშასადამე, მკვლელობა ჩადენილი იყო ერთი პირის მიერ, თუმცა გაურკვეველი დარჩა, თუ ვისმა ტყვიამ მოკლა კოპილოვი.

რსფსრ პროკურორის მოადგილემ ამ საქმის გამო პროტესტი შეიტანა კემეროვოს საოლქო სასამართლოში და მოითხოვა საქმის შეწყვეტა ორივე პირის მიმართ ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. კემეროვოს საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა ხსენებული პროტესტის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ „კარაულოვის და შირშოვის მოქმედებები გაერთიანებულია განზრახვის ერთიანობით, რომელიც მიმართულია ერთი მიზნის განხორციელებისაკენ. მათი გაუფრთხილებლობითი ბრალი ერთობლივი განზრახი მოქმედებებით გამოწვეული, საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ წარმოადგენს **თანაამსრულებელთა ბრალს**“ (ხაზი ჩემია, ო. გ.). ამიტომ, დასძენს შემდეგ პრეზიდიუმი, ისინი სწორად არიან მსჯავრდებული გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა საკასაციო კოლეგიამ ეს განაჩენი გააუქმა. კოლეგიამ მიუთითა, რომ თანამონაწილეობა, რომლის ერთ-ერთ ფორმას თანაამსრულებლობაც წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მაშინ, როცა განსახილველი საქმე შეეხება გაუფრთხილებლობით მკვლელობას, რისთვისაც პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ მას, ვინც კონკრეტულად მიაყენა ზიანი, რაც ამ შემთხვევაში ვერ დადგინდა[8].

კემეროვოს საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის მოსაზრება შერეული ბრალის იმ მცდარ კონცეფციაზეა დაფუძნებული, რომელიც ამჟამად გავრცელებულია საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში. ამ კონცეფციის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგ შემთხვევაში ბრალი ცალ-ცალკე უნდა დადგინდეს მოქმედებისა და შედეგის მიმართ. სახელდობრ, მოქმედების მიმართ პირს შეიძლება ჰქონდეს განზრახვა, შედეგის მიმართ კი — გაუფრთხილებლობა. ამრიგად, ერთი შემადგენლობა ხორციელდება ბრალის ორივე ფორმით. ამიტომ, როდესაც ორი ან მეტი პირი მოქმედებს, თანაამსრულებლობისათვის საკმარისია, თუ მათ შეგნებული აქვთ, რომ 1) მოქმედებენ ერთობლივად და 2) მათი მოქმედება მიმართულია ერთი საერთო მიზნისაკენ, ე. ი. განზრახვა მათ აქვთ არა დანაშაულებრივი შედეგის მიმართ, არამედ მოქმედების მიმართ. არსებითად ეს გაუფრთხილებლობითი თანაამსრულებლობის (თანამონაწილეობის) აღიარებას ნიშნავს. ლიტერატურაში სწორად იყო გაკრიტიკებული შერეული ბრალის ამგვარი გაგება.[9] მართლაც, ყოვლად მიუღებელია ბრალის ფორმის დასადგენად მოქმედებისა და შედეგის ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტით შეფასება. ეს ავტორები, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული ლიტერატურაში, მოქმედების შეგნებულ განხორციელებას მის ბრალეულ განხორციელებასთან აიგივებენ. ბრალის მსჯელობა მოითხოვს, რომ მოქ-

---

[8] Бюллетень Верховного суда СССР, 1966, № 5, стр. 24—26.

[9] იხ. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961, გვ. 175—6; უ. კობიაშვილი, ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1969, № 3, გვ. 22—23; მ. უგრეხელიძე, ორმაგი ანუ შერეული ბრალი სისხლის სამართალში, „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1, გვ. 160—161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედება და შედეგი მთლიანობაში იქნეს განხილული და ბრალის ფორმის (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) დასადგენად საბოლოოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეს დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულებრივი შედეგისადმი.

რაკი თანაამსრულებლები ერთსა და იმავე დანაშაულს სჩადიან, დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები თვითეული მათგანის მიმართ ერთნაირად უნდა გადაწყდეს. თუმცა ზოგჯერ გვხვდება სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევებიც, მაგრამ ეს თანაამსრულებლობის არსს არ ეწინააღმდეგება. კვალიფიკაციის ერთიანობა ამ დროს ჩადენილი დანაშაულის „მატერიალური ერთგვაროვნობით“ (ტრაინინი) გამოიხატება. მაგალითად, როდესაც ერთი თანაამსრულებლის ქმედობა დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სსკ 104 მუხლით, მეორესი კი — 105 მუხლით, კვალიფიკაციის ერთიანობა გამოიხატა იმით, რომ ისინი განზრახი მკვლელობის თანაამსრულებლები არიან. ერთნაირად უნდა გადაწყდეს აგრეთვე კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც (მცდელობა, მომზადება და ა. შ.).

მაგრამ ერთნაირი კვალიფიკაცია არ ნიშნავს პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულვებელყოფას თანაამსრულებლობის დროს. საქართველოს სსრ სსკ მე-19 მუხლის მოთხოვნა, რომ „სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენაში ყოველი თანამონაწილის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი“, გარკვეული ზომით თანაამსრულებელთა მიმართაც ვრცელდება. სასჯელის ინდივიდუალიზაციას თანაამსრულებლობის დროს ორგვარი საფუძველი აქვს: ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ თვითეულმა თანაამსრულებელმა მეორისაგან განსხვავებით ობიექტურად შეიძლება მეტი ან ნაკლები წვლილი შეიტანოს დანაშაულებრივი შედეგის წარმოქმნაში. მაგალითად, თუ ერთმა დამნაშავემ მსხვერპლი მხოლოდ გააკავა, მეორემ კი — მოკლა ან გააუპატიურა, სასამართლო სხვა თანაბარ პირობებში პირველს ნაკლებს მიუსჯის, მეორეს კი — მეტს. სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე სუბიექტური მხრივ ზეგავლენას ახდენს აგრეთვე ბრალის ის ხარისხი, რომელიც თვითეულმა თანაამსრულებელმა ჩააქსოვა დანაშაულებრივი შედეგის წარმოქმნაში. ერთ პირს შეიძლება მეტი ბრალი მიუძღოდეს ამ შედეგის წარმოქმნაში, მეორეს — ნაკლები. სასჯელის ზომაც ამის მიხედვით განისაზღვრება. სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის ზოგჯერ მნიშვნელობა ეძლევა დამნაშავის პიროვნების დამახასიათებელ ნიშნებს. მაგალითად, ის გარემოება, რომ ერთი თანაამსრულებელი რეციდივისტია, მეორე კი — არა, როგორც წესი, გავლენას ახდენს სასჯელის სახისა და ზომის შერჩევაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანონიმური წერილებით ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

ა. ხოშტარია,
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

პიროვნების პატივისა და ღირსების ხელმყოფელ დანაშაულთა შორის უფრო ხშირად სახეობაა ცილისწამება, რომელიც ზოგიერთი მრქალაქის შეგნებასა და ქცევაში ვლინდება როგორც წარსულის გადმონაშთი და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებას.

ამის გამო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავენ მუხლებს, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის.

ამ ნორმის არსებობას დიდი საერთო-გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს და, როგორც მართებულად შენიშნავს პროფესორი პ. ე. ნედბაილო, „ბევრნი თავს იკავებენ სისხლის სამართლის ნორმით აკრძალული ქმედობის ჩადენისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს ასეთი აკრძალვის ფაქტი, რომლის დარღვევა გამოიწვევს სასჯელს“[1].

ამგვარად უკვე არსებობა სისხლისსამართლებრივი ნორმისა, რომელიც კრძალავს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას — ცილისწამებას და ითვალისწინებს მისი ჩადენისათვის სანქციებს სასჯელის სხვადახვა ზომის სახით, ხელს უწყობს ჩადენილი დანაშაულის ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნების განხორციელებას.

ამასთან ერთად ეს ნორმა, რომელიც მისი დარღვევის მომენტამდე არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ხასიათის იძულების ელემენტს, გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითს ზეგავლენას ახდენს არამტკიცე ადამიანებზე. სამართლებრივი პროპაგანდისა და კანონის პატივისცემის სულისკვეთებით მასების აღზრდის მრავალმხრივ ფორმებთან ერთად იგი ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის კომუნისტური შეგნებისა და მორალის ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი ხაზგასმულია, რომ „კომუნისტური მორალი ვერ გაიმარჯვებს, თუ მტკიცე ბრძოლა არ გამოუცხადა მის ისეთ ანტიპოდებს, როგორიც არის მომხვეჭელობა, მექრთამეობა, მუქთახორობა, ცილისწამება, ანონიმური წერილების წერა“[2].

ამასთან დაკავშირებით შეიმჩნევა ის გარემოება, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ანონიმური წერილით ცილისწამებისათვის.

ყაზახეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის გარდა (118 მუხლის პირველი ნაწილი) არცერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს შესაბამისი მუხლების დისპოზიციაში პირდაპირ მი-

---

[1] **П. Е. Недбайло.** «Применение советских правовых норм», М., Госюриздат, 1960 г., стр. 104.

[2] **ლ. ი. ბრეჟნევი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1971 წ., გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითებას ანონიმური წერილით ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და მით უფრო არ მიიჩნევს ასეთ ქმედობას, როგორც მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველს.

საყურადღებოა ისიც, რომ ანონიმური განცხადებებით ცილისწამებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომას ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118 მუხლის პირველი ნაწილი უკავშირებს იმ პირობას, თუ ხსენებული ქმედობა ჩადენილია მას მერე, რაც ამხანაგურმა სასამართლომ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა შეუფარდა დამნაშავეს.

ხოლო ამ მუხლით დაწესებული სანქცია ითვალისწინებს სასჯელის მხოლოდ ერთ და თანაც ჩვენი აზრით არათანაზომიერ ღონისძიებას — გამასწორებელ სამუშაოებს ვადით 6 თვემდე.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია შეტანილ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების დისპოზიციაში დამატება, რომ ანონიმური წერილებით და განცხადებებით ცილისწამება სისხლის სამართლის კანონით ისჯება.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში ხსენებული დამატების შეტანა უფლებას მისცემს დაზარალებულს მოსთხოვოს პროკურატურის ორგანოებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა დადგინდეს ცილისმწამებლური ანონიმური წერილის შემსრულებლის (და ავტორის) ვინაობა, რათა იგი შემდგომ მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საკითხის ამგვარი გადაჭრა რეალურად დაიცავს პიროვნებას ანონიმური წერილებით ცილისწამების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და ამავე დროს დადებით როლს შეასრულებს იმ პირთა გამოვლინებასა და დასჯაში, ვისაც მსგავსი ანონიმური წერილების წერა ხელობად გაუხდია.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში ანონიმური წერილებით ცილისწამების დასჯადობის შესახებ დამატების შეტანას ის გარემოებაც მოითხოვს, რომ ხშირად ცილისმწამებლურ მონაჭორზე აგებული ანონიმური წერილების ავტორები გამოუმჟღავნებელნი რჩებიან და მართლმსაჯულების ორგანოები კანონზე დამყარებულ რეაგირებას ვერ ახდენენ ასეთი წერილების მიმართ, ე. ი. ფაქტიურად არ ხდება ამ ფორმით ცილისწამების გავრცელებაში დამნაშავე პირთა ვინაობის გამორკვევა და დასჯა, ეს კი მოწმობს ანონიმური წერილების ავტორთა ქმედობის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას.

განიხილავს რა ანონიმური წერილებით ცილისწამებას როგორც ისეთ ქმედობას, რომელიც გაცილებით უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე ცილისწამების აშკარა გავრცელება, ი. ს. ნოი გამოთქვამს აზრს, რომ საჭიროა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ იქნას ნორმა, რომელიც გაითვალისწინებს მომეტებულ პასუხისმგებლობას ანონიმური წერილების საშუალებით ცილისწამებისათვის. ი. ს. ნოის მიაჩნია, რომ „ასეთი ნორმის დაკანონება დადებით გავლენას იქონიებს ანონიმური წერილების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში“[3].

---

[3] **И. С. Ной.** «Охрана чести и достоинства личности в Советском уголовном праве», Изд. Саратовского университета, 1959 г., стр. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, ცილისმწამებლური წერილის ან განცხადების ანონიმური ხასიათის გამო მისი ავტორის გამომჟღავნება გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული და ზოგჯერ მოითხოვს ხანგრძლივ დროს და კვალიფიციურ მიდგომას შენიღბული ცილისმწამებლის დაძებნისათვის, მაგრამ ამან, ჩვენი აზრით, მართლმსაჯულების ორგანოებს არ უნდა ააღებინოს ხელი გამოიყენონ არსებულ საშუალებათა მთელი არსენალი ისეთ საპასუხისმგებლო სახელმწიფო საქმის შესასრულებლად, როგორიც არის სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივ პრინციპებთან და ნორმებთან შეუთავსებელი ცილისწამებისა და ანონიმური წერილების ლიკვიდაცია.

ამ შემთხვევაში მართებული იქნება იმის თქმა, რომ კეთილშობილური მიზანი საშუალებით გაამართლებს საშუალებებსა და დროს, რაც დაიხარჯება ცილისმწამებლის გამომჟღავნებისათვის.

არ უარყოფენ რა პრინციპულად სისხლის კანონმდებლობაში ამ ნორმის შეტანის მიზანშეწონილობას, ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი ეჭვს გამოთქვამს ანონიმური წერილების ავტორთა მოძებნის ეფექტიანობის შესახებ და აყენებს კითხვას, თუ პრაქტიკულად ვინ უნდა გაუძღვეს მას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე კერძო ბრალდებით არის აღძრული.

ანონიმური წერილების საშუალებით ცილისწამებისათვის ნორმის შემოღების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი **მოსაზრებანი:**

ჯერ ერთი, თვით ხერხი ანონიმური წერილის საშუალებით ცილისწამების ჩადენისა ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა ამ ქმედობას მივცეთ კვალიფიციური დანაშაულის სახე.

მეორე, ანონიმური წერილების ავტორთა (შემსრულებელთა) მოძებნის ტექნიკა ჩვენს დროში იმდენად სრულყოფილია, რომ აღარ წარმოადგენს რთულსა და გადაუჭრელ პრობლემას.

თანამედროვე კრიმინალისტიკის მეთოდები, ანონიმური წერილის სტილი, მეტყველების კონსტრუქცია, შესრულების ტექნიკა და ანონიმური დოკუმენტის დამახასიათებელი სხვა თავისებურებები, საშუალებას გვაძლევენ ადვილად გამოვარკვიოთ ხელით დაწერილი თუ საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ანონიმური წერილების ავტორთა ვინაობა. თვითონ დაზარალებულიც, რომელიც დაინტერესებულია ცილისმწამებლის ვინაობის დადგენით, შეძლებს სავარაუდო მოსაზრებების გამოთქმით გარკვეული დახმარება გაუწიოს გამოძიებას ამ საქმეში.

კრიმინალისტურ დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტებს, ანონიმური დოკუმენტის ტექნიკურ გამოკვლევასთან ერთად, შეუძლიათ მოგვცენ დამწერის წერილობითი მეტყველების და ხელწერის შედარებითი ანალიზი, განსაზღვრონ მისი მშობლიური ენა, ზოგადსაგანმანათლებლო დონე, კულტურული სახე, დაახლოებითი ასაკი და პროფესია, სოციალური გარემო, ზოგჯერ კი მისი საცხოვრებელი ადგილიც კი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ სისხლის სამართლის კანონი გაითვალისწინებს ნორმას ანონიმური წერილებით ცილის წამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები შეძლებენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ცილისმწამებლური ანონიმური წერილების ლიკვიდაციის საქმეში.

მით უფრო, რომ მთელი რიგი საბჭოთა კრიმინალისტები ადასტურებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანონიმური წერილების ავტორთა გამომჟღავნების შესაძლებლობას და შედეგიანობას[4].

მესამე, არსებობს მრავალი ხერხი, რომელთა დახმარებით საჭიროების შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე შეიძლება მოთხოვილ და მიღებულ იქნას ხელწერის ნიმუშები, საბეჭდი მანქანების ანაბეჭდები და ა. შ., ხოლო გამომძიებელს, რომელიც აწარმოებს ცილისმწამებლური შინაარსის ანონიმური წერილის ავტორის ძებნას, რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186 მუხლის (ანალოგიურად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლის) საფუძველზე უფლება აქვს ჩამოართვას ეჭვმიტანილს ხელწერის ნიმუშები და შედარებითი გამოკვლევისათვის საჭირო სხვა ნიმუშები.

იმ შემთხვევებში, როცა დაზარალებულის საჩივრის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე მოითხოვს საექსპერტო გამოკვლევას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებით „მოსამართლეს შეუძლია საქმის აღძვრის დროს მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ[5].

პრინციპში კი ცილისმწამებლური ანონიმური წერილის ავტორის ვინაობის გამორკვევის საქმეს უნდა უძღვებოდნენ პროკურატურის ორგანოები.

და **მეოთხე,** სისხლის სამართლის კანონში სპეციალური ნორმის შეტანა ანონიმური წერილებით და განცხადებებით ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გააძლიერებს ამ ნორმის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს პიროვნების მიმართ ხსენებული დანაშაულებრივი ხელყოფის შემთხვევების შემცირებას.

ცილისმწამებლური შინაარსის ანონიმური წერილების ავტორთა მკაცრად დასჯის საკითხი რომ მომწიფდა, ამას მოწმობს ჩვენი საზოგადოებრიობის გამოხმაურებაც.

ამას წინათ გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ქ. ტერნოპოლის ბამბეულის საქსოვი კომბინატის იურიდიული განყოფილების უფროსის პ. პაშჩენკოს წერილი. იგი წერს: „ანონიმური წერილები... მოდი ვიფიქროთ, გადაჭარბებულ ყურადღებას ხომ არ ვუთმობთ მათ. რა უაზრობაც არ უნდა იყოს დაწერილი, სულერთია მოქმედებს წესი: შეამოწმე, ხოლო თუ გამოირკვევა, რომ ავტორი ნამდვილი ცილისმწამებელია, რა ხდება მაშინ, აგებს თუ არა იგი პასუხს? რაღაც არ მახსოვს ჩვენს ქალაქში ასეთი შემთხვევა... დროა ბოლოსდა ბოლოს, წესრიგისაკენ მოვუწოდოთ ანონიმური წერილების მოყვარულებს. პასუხი ვაგებინოთ იმისათვის, რასაც ისინი წერენ“[6].

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარდა ანონიმურ წერილებს არც ისე იშვიათად ვხვდებით სარედაქციო ფოსტაშიც. გაზეთების კორესპონდენტები, რომლებსაც ანონიმურ წერილებში მოყვანილი ამბების შემოწმება უხდებათ, ადასტურებენ, რომ ასეთი წერილების ავტორებს ხშირად ძოძყავთ „მტკნარი მონაჭორი“ ერთადერთი სურვილით „აწყენინონ ადამიანს,

---

[4] **А. И. Ваксберг.** «Преступник будет найден». Изд. «Знание», М., 1963 г., стр. 134 — 137. **М. И. Кольнер.** «Из практики следователя», изд. «Юридическая литература», М., 1971 г., стр. 24 — 34.

[5] იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1971 г. № 3, стр. 38. Судебная экспертиза по уголовным делам.

[6] გაზ. „პრავდა“, 1971 წ. 4 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფში ამოსვარონ იგი, ან, ყოველ შემთხვევაში, ეჭვი აღუძრან იმათ, ვინც ამ ადამიანის გვერდითაა"[7].

ბუნებრივია, რომ ცილისმწამებლური ანონიმური წერილების მოყვარულთა მარტო მორალური გაკიცხვა და მათ გარშემო შეუწყნარებლობის ვითარების შექმნა ამჟამად საკმარისი არ არის, ვინაიდან ამ დანაშაულის სპეციფიკა გვიჩვენებს, რომ მისი სუბიექტები მეტ წილად ანგარიშს არ უწევენ ისეთ ცნებებს, როგორიც არის სინდისი, პატიოსნება, მოვალეობა თავისი თავისა და საზოგადოების წინაშე.

ამასთან ანონიმური ცილისმწამებლის ფსიქოლოგია რთული როდია. ის ისწრაფვის უსაზიზღრესი საშუალებით შებღალოს მეორე პირის რეპუტაცია, დაამციროს, შელახოს მისი პატივი და ღირსება, თვითონ კი ამოეფაროს ფარდას, დარჩეს გამოუცნობი და დაუსჯელი.

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ანონიმური ფორმის საფარით აშკარა სიცრუისა, და სახელისგამტეხი მონაჭორის გავრცელება მათი ავტორების საზიზღარი და ლაჩრული „შემოქმედების" პროდუქტია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს უარყოფითი თვისება—ლაჩრობა ხელს ააღებინებს მათ აღნიშნული საქციელის ჩადენაზე, როცა დაკანონდება ნორმა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება პასუხისმგებლობა ანონიმური წერილებით ცილისწამებისათვის.

ცნობილია, რა სასტიკი სასჯელი ელოდა პეტრე პირველის კანონმდებლობის თანახმად ანონიმურ პასკვილანტს მართალი ცნობების მიწოდების შემთხვევაშიც კი, რამდენადაც „იგი ჭეშმარიტ გზას არ დაადგა სხვათა შეცოდების სამხილებლად".

თ. მ. დოსტოევსკი წერდა, რომ ყოველი ანონიმური დასმენა ზიზღის ღირსია თუნდაც იმიტომ, რომ იგი ხელმოწერილი არ არის.

ჩანს ცილისმწამებლური ანონიმური წერილების ავტორებიც გრძნობენ, თუ რა ზიზღს იწვევს ანონიმური წერილი, და ამიტომ არის, რომ ხშირად ხელს აწერენ მოგონილი გვარით ან აღნიშნავენ ნამდვილად არსებული პიროვნების გვარს და მისამართს, რომლებსაც მოცემულ წერილთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ"[8].

ამგვარი მოქმედებით ანონიმური წერილების ავტორები ცდილობენ სინამდვილის ელფერი მისცენ ამ წერილებს ან თუნდაც დროებით შეიყვანონ შეცდომაში ის ინსტანციები, რომელთა მისამართით გზავნიან ისინი ცილისწამებით გაჟღენთილ ანონიმურ წერილებს.

იცის რა, რომ შემოწმების დროს ბოლოს და ბოლოს გამოირკვევა სხვა პიროვნების მიმართ მოყვანილი ამბების აშკარა სიცრუე, ამგვარი ანონიმური წერილის ავტორი მაინც ზოგიერთ შემთხვევაში უსაფუძვლოდ არ ემყარება იმ პრინციპს, რომ „ცილისწამება ნახშირივით არის, არ დასწვავს, მაგრამ გათხუპნის მაინც".

ბოროტი ცილისწამება და განსაკუთრებით ცილისმწამებლური ანონიმური წერილები, წარმოადგენენ რა მძიმე დანაშაულს პიროვნების წინააღმდეგ, ამასთან ერთად, როგორც წერს ზ. ფეოკუროვი, „მიზნად ისახავენ იმას, რომ შეცდომაში შეიყვანონ სასამართლოები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგა-

[7] იხ. გაზ. „პრავდა", 1971 წ. 10 სექტემბერი, ე. შაცკაიას წერილი „რა მოყვება ანონიმურ წერილს"?

[8] საკმარისია დავიმოწმოთ მაგალითი, რომელიც მოყვანილია წერილში „ცილისწამების კვალი", გაზ. „იზვესტია", 1971 წ. 14 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოები, უსამართლო ღონისძიებანი მიაღებინონ ამ ორგანოებს უდანაშაულო ადამიანთა წინააღმდეგ ე. ი. უხეშად დაარღვევინონ სოციალისტური კანონიერება“[9].

ანონიმური წერილით ცილისწამებისაგან პიროვნების დაცვის ინტერესები მოითხოვს არა მარტო დანაშაულებრივი ხელყოფისაგან მისი პატივისა და ღირსების დაცვას, არამედ აგრეთვე ასეთი ხელყოფის შედეგად დარღვეულ პიროვნების უფლებათა აღდგენას. ცნობილია, რომ ანონიმური ცილისწამებით პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვა ზოგჯერ იწვევს დაზარალებულის სხვა სამუშაოზე გადასვლას, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას ან სხვა პირადი კეთილდღეობის დაკარგვას.

თუ ყოველ ანონიმურ წერილს ამოწმებენ და დადასტურების შემთხვევაში იღებენ შესაბამის ზომებს, ხოლო ცილისმწამებლური ხასიათის დადგენის შემთხვევაში, ანონიმური წერილი, როგორც წესი, დამწერისათვის არავითარი შედეგის მომტანი არ არის (თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ დაზარალებულისადმი მიყენებულ განცდებსა და მორალურ ტრავმას), მაშინ იბადება კითხვა, ხომ არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული შედეგი, რომელიც ჩვეულებრივია ასეთ შემთხვევებში, თავისებურ ინდულგენციას, რომელიც ანონიმურ ცილისმწამებელს აქეზებს იმისათვის, რომ შექმნას ცილისმწამებლური ხასიათის ახალი ანონიმური „შრომები“.

თანაც ანონიმური წერილებით ცილისწამება ჩვეულებრივად ცილისმწამებლის ქვენა გრძნობებით არის ხოლმე ნაკარნახევი, რითაც აგრეთვე ცხადი ხდება საზოგადოებრივი საშიშროება ამ დანაშაულებრივი ქმედობისა, რომელიც ყოველთვის განზრახ არის ჩადენილი.

ამიტომ ფართო საზოგადოებრიობა გულგრილად ვერ უყურებს კომუნისტური მორალის ისეთ ანტიპოდებს, როგორიც არის ცილისწამება და ანონიმური წერილები, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი ზიანი მოაქვს. საზოგადოებრიობა მოითხოვს რაც შეიძლება მალე შეტანილ იქნას სისხლის კანონმდებლობაში საჭირო დამატებანი ანონიმური წერილებით ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

როგორც ჩვენი საზოგადოებრიობა გამოთქვამს სამართლებრივი ხასიათის შენიშვნებს და აყენებს საზოგადოების განვითარების პირობებით ნაკარნახევ, მშრომელთა უმრავლესობის ინტერესებისა და ნების გამომხატველ წინადადებებს, რომელიც ხშირად შეიტანება როგორც შესწორებანი და დამატებანი მოქმედ კანონმდებლობაში. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ჩვენ უნდა გავყვეთ ცხოვრებას, შემოქმედების სრული თავისუფლება უნდა მივანიჭოთ ხალხის მასებს. აღნიშნულ დებულებას, როცა ის ხორციელდება, საგრძნობი შედეგები მოაქვს.

როგორც სწორად აღნიშნავს პროფესორი პ. ე. ნედბაილო, „საზოგადოებრივ ცხოვრებაში მორალური, ზნეობრივი საწყისების ამაღლება არ გამოიცხავს სამართლებრივ ზემოქმედებას ადამიანის ქცევაზე, არამედ კიდევ უფეექტურს ხდის ამ ზემოქმედებას“[10].

იმის გათვალისწინებით, რომ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების

---

[9] **З. Феокуров.** «Борьба против нарушений прав личности, ущемления достоинства граждан — дело принципа». Журн. «Сов. государство и право», 1971 г. № 6, стр. 113.

[10] **П. Е. Недбайло.** «Применение советских правовых норм», М., Госюриздат, 1960 г., стр. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 21, 33 და 34 მუხლების თანახმად შეიძლება სასჯელის ახალ სახეობათა შეტანა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ ახალ გარემოებათა მხედველობაში მიღება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციაში დამატების შეტანა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება პასუხისმგებლობა ანონიმური წერილებით და განცხადებებით ცილისწამებისათვის.

გარდა ამისა, აღნიშნული დამატების მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით საჭიროა სანქციაში ამ სახის დანაშაულისათვის შეტანილ იქნას ისეთი ზომაც, როგორიც არის დამნაშავის ვინაობის სავალდებულო გამოქვეყნება პრესაში[11].

პროფესორ ბ. ზ. ფურცხვანიძეს მართებულად მიაჩნია, რომ „ცილისმწამებელთა და შეურაცხმყოფელთა სისტემატური მხილება პრესის ფურცლებზე შექმნის მათ მიმართ საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის ვითარებას, ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის დანაშაულის აღმოფხვრას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლის გაძლიერებას, ადამიანთა აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით“[12].

ცილისწამების ანონიმური ფორმის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და ანონიმური წერილის ავტორის ვინაობის გამორკვევის სირთულე, ამისათვის სათანადო კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობასთან ერთად გვიკარნახებს განვიხილოთ ანონიმური წერილებით და განცხადებებით ცილისწამება, როგორც ამ დანაშაულის კვალიფიციური სახეობა, ნაბეჭდი და სხვა ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში ცილისწამების თანაბრად.

წინადადებას ვაყენებთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

— „ცილისწამება ნაბეჭდ ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში **ან ანონიმური წერილებისა და განცხადებების საშუალებით** და აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც ადრე იყო მსჯავრდებული ცილისწამებისათვის— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, **დამნაშავის ვინაობის პრესაში სავალდებულო** გამოქვეყნებით“.

საზოგადოებაში, რომელიც აშენებს კომუნიზმს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ საზოგადოების პრინციპებთან შეუთავსებელ ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ცილისწამება და ანონიმური წერილები.

სახელმწიფო ორგანოებისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ერთობლივი მეცადინეობით, ამ მოვლენების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლით შეგვიძლია მივაღწიოთ საბჭოთა საზოგადოებაში ცილისმწამებლური ანონიმური წერილების საბოლოო ლიკვიდაციას.

---

[11] მ. კრუჩკოვი წერდა: „ცოტაა აღვადგინოთ ადამიანის კარგი სახელი. უაღრესად საჭიროა გამოვაქვეყნოთ იმ პიროვნების ვინაობა, ვინც ტალახში ამოსვარა უდანაშაულო ადამიანი“. გაზ. „პრავდა“, 1969 წ. 30 მარტი.

[12] **Б. З. Пурцхванидзе.** «Охрана чести и достоинства личности в советском уголовном праве». Автореферат, представленный на соискание ученой степени доктора юридических наук. М., 1961 г., стр. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია—საბჭოური კრიმინილასტიკის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდია

ო. ყავლაშვილი

დანაშაულის გამოძიებაში ფოტოგრაფიის გამოყენება XIX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება. სასამართლო ფოტოგრაფია ჩასახვის პირველი დღიდანვე კრიმინალისტიკის ნაწილად ითვლებოდა. ასეთად მიაჩნია იგი საბჭოთა მეცნიერ-კრიმინალისტთა უმრავლესობასაც. ს. პოტაპოვი წერს, რომ სასამართლო ფოტოგრაფია კრიმინალისტიკის ერთ-ერთი კარის — სისხლის სამართლებრივი ტექნიკის ნაწილია[1]. ნ. სელივანოვი შრომაში — „სასამართლო ოპერატიული ფოტოგრაფია" მიუთითებს: „სასამართლო ფოტოგრაფიას სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს კრიმინალისტიკური ტექნიკის მნიშვნელოვანი და უდიდესი განყოფილება"[2]. ასეთსავე თვალსაზრისს გამოთქვამენ — ა. დულოვი შრომაში — „სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფია", ი. კრილოვი და ა. დულოვი დამხმარე სახელმძღვანელოში — „სასამართლო-გამოკვლევითი ფოტოგრაფია", ნ. პოლევოი და ა. უსტინოვი მონოგრაფიაში — „სასამართლო ფოტოგრაფია და მისი გამოყენება კრიმინალისტიკურ ექსპერტიზაში", ლ. ფრანკი[3] და სხვა ავტორები.

მართლაც, სასამართლო ფოტოგრაფია იმთავითვე და ახლაც ემსახურება დანაშაულის გახსნის საქმეს. მაგრამ 1959 წელს ა. დულოვმა იმაზე დაყრდნობით, რომ სასამართლო ფოტოგრაფიის გამოყენების სფერო დღეისათვის მნიშვნელოვნად გასცდა წინასწარი გამოძიების ორგანოების და საექსპერტო კრიმინალისტიკური დაწესებულებების (სასამართლო ექსპერტიზის სხვა სახეები და სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტები) მომსახურების ფარგლებს, გამოთქვა მოსაზრება გამოიყოს სასამართლო ფოტოგრაფია კრიმინალისტიკის სასწავლო კურსიდან დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად[4].

ა. დულოვის შეხედულება გააკრიტიკა ი. ბაზანოვამ. მისი აზრით, სასამართლო ფოტოგრაფია კრიმინალისტიკის მეცნიერების ერთ-ერთი ნაწილია და

---

[1] **С. М. Потапов.** Судебная фотография. М., 1936, стр. 3.

[2] **Н. А. Селиванов.** Судебно-оперативная фотография, Госюриздат. М., 1955, стр. 16.

[3] **А. В. Дулов.** Судебно-оперативная фотография. М., 1956, стр. 5. Судебно-исследовательская фотография. Сост. **И. Ф. Крылов** и **А. В. Дулов,** изд. ЛГУ. 1958, стр. 5; **Н. С. Полевой** и **А. И. Устинов.** Судебная фотография и ее применение в криминалистической экспертизе. М., 1960, стр. 16; **Л. В. Франк.** О доказательственном значении судебнофотографического снимка по проекту УПК Таджикской ССР, сб. «Вопросы кодификации уголовного и уголовно-процессуального законодательства союзной республики», Труды юридич. ф-та ТГУ, вып. 10, Сталинабад. 1960, стр. 73.

[4] **А. В. Дулов.** Судебная фотография как самостоятельная дисциплина, сб. «Вопросы советской криминалистики», Алма-Ата, стр. 124 — 126. შემდეგში ა. დულოვმა უარი თქვა ამ შეხედულებაზე, რადგან 1971 წელს მისი რედაქციით გამოცემულ „სასამართლო ფოტოგრაფიის" პირველ თავში, რომლის ავტორიც თვითონ არის, ყოველგვარი დათქმის გარეშე მიუთითებულია, რომ სასამართლო ფოტოგრაფია წარმოადგენს კრიმინალისტიკური ტექნიკის ნაწილს, «Судебная фотография», изд. Высшая школа, Минск, 1971, стр. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა დამოუკიდებელი დისციპლინა, ვინაიდან „...ფოტოგრაფიის გამოყენების საკითხები სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება“[5]. მიუხედავად ამისა, 1962 წელს ლ. გავრილოვმა შრომაში — „სასამართლო ფოტოგრაფიის ცნების საკითხისათვის“ წამოაყენა წინადადება გამოყოფილიყო სასამართლო ფოტოგრაფია არა მარტო დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად, არამედ განსაკუთრებულ მეცნიერულ დისციპლინად სამართლის მეცნიერების სისტემაში. ლ. გავრილოვი თავის თვალსაზრისს იმით ასაბუთებდა, რომ, ჯერ ერთი, დამოკიდებულება სასამართლო ფოტოგრაფიისადმი „როგორც კრიმინალისტიკური ტექნიკის შემადგენელი ნაწილისადმი საგრძნობლად ამუხრუჭებს მისი გამოყენების სამართლებრივი საკითხების დამუშავებას და ხელოვნურად ზღუდავს სამართლებრივი დაწესებულებების მოღვაწეობაში ფოტოგრაფიის გამოყენების სფეროს“[6] (მას მხედველობაში აქვს ადმინისტრაციული პროცესი, სამოქალაქო პროცესი და საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა) და, მეორეც, იმით, რომ სასამართლო ფოტოგრაფიის სისტემამ უნდა მოიცვას სხვასთან ერთად ის ნაწილიც, რომელიც ეძღვნება ფოტოსურათის, ფოტოდოკუმენტის და ფოტოგრაფირების იურიდიულ და ტექნიკურ ცნებებს. ლ. გავრილოვის ამ დებულების ანალიზისას ი. პოსტიკა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სამოქალაქო პროცესში სასამართლო ფოტოგრაფიას ძირითადად იყენებენ გამოკვლევის მეთოდის სახით დოკუმენტების კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დროს და ამ შემთხვევებში იგი უეჭველად გამოდის კრიმინალისტიკური ტექნიკის ნაწილად[7]. ადმინისტრაციულ პროცესსა და საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობაში ფოტოგრაფიის გამოყენებისა და ფოტოგრაფიის კრიმინალისტიკასთან თანაფარდობაზე ლაპარაკი გვექნება ცოტა ქვემოთ. რაც შეეხება იმას, სასამართლო ფოტოგრაფია უნდა ჩაითვალოს სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინად იმის გამო, რომ მან უნდა მოიცვას აგრეთვე ფოტოდოკუმენტების იურიდიული ბუნების განხილვა, სასამართლო ფოტოგრაფიის ბოლოდროინდელ სახელმძღვანელოებში (ნ. სელივანოვი და ა. ეისმანი, სასამართლო ფოტოგრაფია, მოსკოვი, 1965, „სასამართლო ფოტოგრაფია“, ა. დულოვის საერთო რედაქციით, მინსკი, 1971) ამ საკითხისადმი სპეციალური კარიც კია მიძღვნილი.

ლ. გავრილოვის დასახელებულ სტატიაში ადგილი აქვს გარკვეულ წინააღმდეგობებს, რადგან მას შემდეგ, რაც წამოაყენა წინადადება სასამართლო ფოტოგრაფიის გამოყენების შესახებ, იგი აღნიშნავდა: „...იმ ნაწილში, რომელიც ეხება კრიმინალისტიკას — სასამართლო ფოტოგრაფია ნამდვილად წარმოადგენს კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგს“[8]. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ა. ეისმანის მოსაზრება, რომლის თანახმად კრიმინალისტიკის საგანს მიეკუთვნება სასამართლო ფოტოგრაფიის, როგორც გამოკვლევის ყველაზე უფრო უნივერსალური, ტექნიკური მეთოდის გამოყე-

---

[5] **И. Ф. Базанова.** К вопросу об определении понятия судебной фотографии, Сб. «Вопросы криминалистики и судебной экспертизы», вып. 2. Душанбе, 1962, стр. 303.

[6] **Л. Н. Гаврилов.** К вопросу о понятии судебной фотографии, Сб. «Вопросы криминалистики и судебной экспертизы», вып. 3, Душанбе, 1963, стр. 201.

[7] **И. В. Постика.** Научные основы и практика применения новых фотографических методов исследования вещественных доказательств в советской криминалистической экспертизе. Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. Библ. ОГУ, Одесса, 1969, стр. 25 — 26.

[8] ლ. ნ. გავრილოვი, დასახ. შრომა, გვ. 202.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების საფუძვლების დამუშავება[9]. ყოველივე ზემოთქმულის გამო ვფიქრობთ, რომ სასამართლო ფოტოგრაფიის სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინად გამოყოფის წინადადებას არ შეიძლება დავეთანხმოთ.

ადმინისტრაციულ ორგანოთა მოღვაწეობაში სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი გაზრდილი მოთხოვნილება და ყოველ კონკრეტულ ადმინისტრაციულ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობა ვალდებულს ხდის თანამდებობის პირებს გამოიყენონ ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცებულების ყველა შესაძლებელი სახე და, კერძოდ, ფოტოსურათებიც. კანონმდებლობა პირდაპირ არ მიუთითებს ფოტოსურათებზე, როგორც მტკიცებულების სახეზე. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტშიც კი არაფერია ნათქვამი ფოტოსურათების შესახებ. მხოლოდ ზოგიერთი საუწყებო აქტი ითვალისწინებს მტკიცებულების სახით ფოტოსურათების გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, დებულება საზღვაო ხომალდების ავარიის გამოძიების წესის შესახებ შეიცავს მითითებას საქმის მასალებზე ფოტოსურათების დართვის აუცილებლობის თაობაზე[10]. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დებულების ეს მოთხოვნა თითქმის ყველგან სრულდება. გარდა ამისა, ფოტოსურათს სულ უფრო მეტად იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოყენება გათვალისწინებული არ არის იმ კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც შეეხება ცალკეულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ფოტოგადაღებას ადმინისტრაციულ პროცესში განსაკუთრებით იყენებენ იქ, სადაც ოქმში ადგილის სიმცირის გამო შეუძლებელია შემთხვევის ადგილის თავისებურებათა ასახვა ან უბრალოდ ძნელია იმ აუცილებელი სიტყვების გამოძებნა, რომლებიც ზუსტად და სხარტად გადმოგვცემდა მის სპეციფიკას. ყველაზე ხშირად იყენებენ ფოტოგრაფიას საი (ГАИ)-ს და სხვა ინსპექციების (თევზის, სატყეო და ა. შ.) მუშაკთა მოღვაწეობაში, რის შესახებაც კეთდება საგანგებო აღნიშვნა ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის ამსახველ ოქმში. ფოტოგადაღების დახმარებით შესაძლებელია ავტოავარიის ჩადენის ადგილის და სატრანსპორტო საშუალებათა, სატყეო დარღვევის (ტყის გაჩეხვა, სატყეო ხანძარი და ა. შ.), გაბინძურებული წყლის გადაღვრის ადგილის და სხვ. ფიქსირება. ამავე დროს ძირითადად იყენებენ გადაღების ისეთ სახეებს, როგორიც არის მაორიენტირებელი და მიმოხილვითი. გაცილებით იშვიათად იყენებენ საკვანძო და დეტალურ გადაღებას. გადაღების ამ სახეებს ძირითადად იყენებენ საზღვაო სატრანსპორტო ავარიის ადმინისტრაციული გამოძიების დროს.

---

[9] **А. А. Эйсман.** Криминалистика в системе юридических и естественных наук. «Сборник научных работ Литовского НИИСЭ», вып. I, Вильнюс, 1963, стр. 38.

[10] ამ დებულების მე-20 პუნქტში აღნიშნულია, რომ გემის კაპიტანი ვალდებულია გამოძიების წარმოებისათვის წარადგინოს.... b) აუცილებლობის შემთხვევაში... დაზიანებული დეტალების ფოტოგრაფია... (Положение о порядке расследования аварий морских судов. Утверждено приказом ММФ СССР от 12 февраля 1957 г. № 32, «Сборник нормативных материалов по морскому транспорту», изд. «Транспорт», М., 1968, стр. 247).

სსრ კავშირის რეგისტრის ინსპექციების მიერ ავარიასთან, აგრეთვე ავარიების შესწავლასთან და აღრიცხვასთან დაკავშირებით გემების შემოწმების დებულება, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის რეგისტრის დირექტორის მიერ 1965 წლის 18 იანვარს, 41-ე პუნქტით განსაზღვრავს, რომ ავარიის ოქმი უნდა შეიცავდეს გემის დაზიანების ფოტოსურათს («Сборник нормативных материалов по морскому транспорту», изд. «Транспорт», М., 1968, стр. 251).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ადმინისტრაციულ კანონმდებლობაშიც არ გვხვდება მითითება ფოტოგადაღების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ადმინისტრაციულ პროცესში. მაგრამ კანონმდებლის მითითების შესაბამისად, რომ მტკიცებულებათა სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობს მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას[11], ფოტოგრაფია, როგორც მტკიცებულების წყარო, ხშირად გვხვდება ადმინისტრაციულ პროცესში. ამას აღნიშნავენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ადმინისტრაციული წარმოების კანონის კომენტარებში ისერზონი და სტაროსციაკი. გარდა ამისა, საუწყებო აქტები წინადადებას იძლევიან ვისარგებლოთ ფოტოგადაღების დახმარებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადგილის ფიქსაციისათვის[12].

ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში ადმინისტრაციულ პროცესში ტარდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებზე დაყრდნობით (გფრ, აშშ, საფრანგეთი და სხვ.)[13]. ამასთან დაკავშირებით ფოტოგადაღებას, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, იყენებენ ადმინისტრაციულ პროცესშიც.

უკანასკნელ წლებში ფოტოგადაღება ფართოდ დაინერგა საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობაში, განსაკუთრებით საზღვაო სატრანსპორტო შემთხვევებთან და მათგან გამომდინარე სხვადასხვა სახელმწიფოთა ორგანიზაციებს შორის წამოჭრილ დავებთან დაკავშირებით. ფოტოგადაღების მეოხებით ხდება გემთა შეჯახების, სამაშველო ოპერაციების ჩატარების ცალკეული მომენტების და უცხოეთის პორტში სანაპირო მუშაკების მიერ დატვირთვითი ან სხვაგვარი სამუშაოების წარმოების შედეგად გემისათვის მიყენებული დაზიანების ფიქსირება.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის ბრძანების შესაბამისად „...ავარიის გაფორმება უცხოეთის პორტში, როგორც წესი, ხორციელდება ყველა იმ დაზიანებათა ფოტოგრაფირების გზით, რომელიც მიადგა როგორც საკუთარ, ისე უცხოეთის გემებს, საპორტო, ჰიდროტექნიკურ მოწყობილობას, მექანიზმებს და სხვ“[14].

გემთა შეჯახების შემთხვევაში საზღვაო პრაქტიკით რეკომენდებულია გემების მანევრების, მათი ხელსაწყოების მაჩვენებლებისა და იმ დაზიანებათა ფოტოგადაღების ჩატარება, რომლებიც შეჯახების შედეგად დადგა.

---

[11] Spràvne Konanie, Bratislava, 1969, s. 92.

[12] იხ. Verordnung zur Saurberhaltung öffculichen Straßen, Wege und Plätze «Gesetzeiche Bestimmungen zur Bekämpfung von Ordnungswidrigkeiten – erläutert für die Deutsche Volkspolizei, Berlin, 1969, s. 343.

[13] მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1968 წლის „მართლწესრიგის დარღვევის კანონის“ § 46-ში აღნიშნულია, რომ ფულადი ჯარიმის წარმოების მიმართ, რამდენადაც ეს კანონი სხვას არაფერს აწესებს, მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესის საერთო კანონების ნორმები“ («Bundesgeset-blatt» 1963, à 33).

[14] სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის 1960 წლის 3 თებერვლის № 32 ბრძანება: «Об оформлении аварий судов за границей и порядке ведения дел по спорам пароходств и портов с иностранными организациями», Приложение № 1 «Инструкция о порядке оформления случаев аварий судов и их спасения, затрагивающих иностранные интересы, а также ведения претензионных, судебных и арбитражных дел по спорам с иностранными организациями». стр. 6 — 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთის გადაზიდვის დროს ფოტოგადაღებას იყენებენ სატვირთო სადგომების მდგომარეობის, ტვირთის განლაგების და ახსნის, ტვირთისა და ტარის გარეგანი სახის, სარეისო შემთხვევის შემდეგ ტვირთის მდგომარეობის (გემზე და გადმოტვირთვის შემდეგ), რეისის ცალკეულ მომენტში ამინდის მდგომარეობის და გემის იმ დეფექტების აღბეჭდვისათვის, რომლებიც გახდა ტვირთის გაფუჭების მიზეზი. ყველა ამ სურათს შემდეგ იყენებენ მტკიცებულებად უცხოეთის ორგანიზაციებთან დავების დროს.

ფართოდ ცნობილია უცხოეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ ხომალდთა მოძრაობისათვის საფრთხის შემქმნელი გარშემოფრენისას საბჭოთა გემებიდან ფოტოგრაფირების შემთხვევები. ასეთ სურათს იყენებდნენ მსგავსი ფაქტების უცილობელ მტკიცებულებად და დაურთავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ შესაბამისი სახელმძღვანელოებისათვის გაგზავნილ დიპლომატიურ ნოტებს.

ამრიგად, ყოველწლიურად ფოტოგრაფიას სულ უფრო ფართოდ იყენებენ არა მარტო სისხლის სამართლის პროცესში, არამედ იურიდიული მოღვაწეობის სხვა სფეროშიც. მხოლოდ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეჭვს არ იწვევს იმ ფოტოსურათების მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რომლებიც ნესით თუ უნებლიეთ კრიმინალისტიკის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესაბამისად არის გაკეთებული.

ამ საკითხის კვლევისას მიზანშეწონილია განვიხილოთ თვითონ ტერმინი „სასამართლო ფოტოგრაფია". სამამულო ლიტერატურაში ეს ტერმინი პირველად იხმარა ი. შჩეგლოვიტოვმა 1892 წელს[16]. მისი შინაარსის ამოხსნისას გ. ბურინსკიმ ფოტოგრაფიული საქმის რუსი მოღვაწეების პირველ ყრილობაზე 1896 წელს თქვა, რომ სასამართლო ფოტოგრაფია წარმოადგენს ფოტოგრაფიის გამოყენებას „სპეციალური-სასამართლო მიზნის მიღწევისათვის"[17]. ს. პოტაპოვი 1936 წელს სასამართლო ფოტოგრაფიის ცნების განსაზღვრისას აღნიშნავდა, რომ მისი მიზანია დანაშაულის გახსნა და სასამართლოსათვის თვალსაჩინო მტკიცებულებითი მასალის მიწოდება[18]. მართლაც იმ დროისათვის ფოტოგრაფიის გამოყენების საბოლოო მიზანს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წარმოადგენდა განსაზღვრულ მტკიცებულებათა წარდგენა სწორედ სასამართლოსათვის, რის გამოც ტერმინი „სასამართლო" შეესაბამებოდა სინამდვილეს და ეჭვს არ იწვევდა. დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა. საგრძნობლად გაიზარდა ფოტოგრაფიის როლი დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში, ე. ი. შემთხვევათა რიცხვი, როცა ფოტოგრაფიის გამოყენება მიმართულია უშუალოდ იმისაკენ, რომ ადგილი არ ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის ფაქტს და, როგორც მის შედეგს, სასამართლო განხილვას. ფოტოგრაფიამ გა-

---

[16] **И. Г. Щегловитов.** Судебная фотография, журн. «Северный Вестник», 1892, № 11.
[17] **Е. Ф. Буринский.** Судебная экспертиза документов, производство ее и пользование ею. С.-Петербург, 1903, стр. 49.
[18] **С. М. Потапов.** Судебная фотография, М., 1936, стр. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენება ჰპოვა აღმზრდელობითს მუშაობაშიც, რომელიც სამართალდარღვევის ლიკვიდაციისაკენ არის მიმართული, აგრეთვე უშუალოდ ადმინისტრაციულ პროცესში, საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობაში, საარბიტრაჟო დავის შემთხვევებში, სადაც საქმის სასამართლო განხილვა საერთოდ არ წარმოებს. ამასთან ერთად, საგრძნობლად გაფართოვდა ფოტოგრაფიის გამოყენება კრიმინალისტიკის სხვადასხვა დარგებში, საექსპერტო, საგამოძიებო და ოპერატიულ მუშაობაში, ამრიგად, ის შინაარსი, რომელიც ამჟამად ჩაქსოვილია ტერმინში „სასამართლო ფოტოგრაფია“ მნიშვნელოვნად გასცდა ამ ტერმინის სემანტიკურ ჩარჩოს. ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს წამოვაყენოთ წინადადება, რომ ტერმინი „სასამართლო ფოტოგრაფია“ შეიცვალოს ტერმინით — „კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია“, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება კრიმინალისტიკის ამ სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდის არსს.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფოტოგრაფიის ფართოდ გამოყენება ადმინისტრაციულ პროცესში, სამოქალაქო პროცესში, საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობაში და იურიდიული მოღვაწეობის სხვა სფეროებში, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, და ტერმინ „სასამართლო ფოტოგრაფიის“ „კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიად“ შეცვლის წინადადება ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რადგან ფოტოგრაფიის გამოყენება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებს გარეთ არ მიეკუთვნება კრიმინალისტიკას, როგორც დანაშაულის გამოძიებისა და თავიდან აცილების მეთოდიკის მეცნიერებას, მაგრამ ეს ასე არ არის. ამასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს მთლად ზუსტი ი. პოსტიკას მითითება, რომ მსგავს შემთხვევებში „...ფოტოგრაფიას არა აქვს განსაკუთრებული სპეციფიკა, მას აქ სასამართლო ფოტოგრაფიად კი არ იყენებენ, არამედ რეგისტრაციისა და დოკუმენტაციის ჩვეულებრივ საშუალებად“[19]. ფოტოგრაფიის იურისპრუდენციაში სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებს მიღმა გამოყენების თითქმის ყველა შემთხვევაში ამ ფოტოგრაფიის საფუძველს მაინც კრიმინალისტიკა წარმოადგენს. სწორედ კრიმინალისტიკის შიგნით წარმოებს გადაღების მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების დამუშავება და სრულყოფა და მიმდინარეობს მათი განვითარება. სწორედ კრიმინალისტიკა გვთავაზობს განსაზღვრულ რეკომენდაციებს იმ ობიექტების გადასაღებად, რომლებიც იურიდიული მოღვაწეობის სფეროში არიან მოხვედრილი. ეს რეკომენდაციები მიმართულია ფოტოსურათის ორიგინალთან რაც შეიძლება მეტად შესაბამისობისაკენ, ობიექტის თავისებურებების რაც შეიძლება ზუსტად გადმოცემის და მისი განმსაზღვრელი ნიშნების მაქსიმალური გამოყოფისაკენ. ფოტოგრაფიის გამოყენება სამოქალაქო პროცესში, ადმინისტრაციულ პროცესში, საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში და ა. შ. ხორციელდება იმ მეთოდების, ხერხების და საშუალებების გამოყენების გზით, რომლებიც კრიმინალისტიკური მიზნებისთვის არის დამუშავებული, მათ იღებენ, ასე ვთქვათ, „მზა სახით“ და ისინი ამ შემთხვევისათვის რაიმე გარდაქმნას ან გადამუშავებას არ საჭიროებენ. ამასთან დაკავშირებით „კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია“ წარმოადგენს უფრო ფართო ტერმინოლოგიურ ცნებას, ვიდრე „სასამართლო ფოტოგრაფია“, ის უფრო ზუსტია, მეტად მიესადაგება სინამდვილეს და მისი გამოყენება გაცილებით სწორია.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის განხილვისას უნდა შევჩერდეთ აგ-

---

[19] **И. В. Постика**, указ. ранее работа, стр. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე მისი სისტემის საკითხზე. სასამართლო ფოტოგრაფიის სისტემას დღევანდლამდე სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა საფუძველზე აგებდნენ. ს. პოტაპოვი სასამართლო ფოტოგრაფიას ყოფდა აღბეჭდვითად (სასამართლო-ოპერატიული) და გამოკვლევითად (სასამართლო-ფოტოგრაფიულ ექსპერტიზად). ამასთანავე სასამართლო ოპერატიულ ფოტოგრაფიაში მას შეჰქონდა ეგრეთ წოდებული დეტექტიური ფოტოგრაფია, რომლის „...საგანგებო დანიშნულებას არ წარმოადგენს დახმარების გაწევა ზოგიერთი სახით ოპერატიული მუშაობისათვის“[20] და რომელიც „...აღმოცენდა გამოძიების საჭიროებიდან, ზოგიერთ შემთხვევაში გადაღება აწარმოოს გადაღების ობიექტის და გარშემო მყოფ პირთა შეუმჩნევლად“[21].

ლ. ფრანკიც გამოყოფდა დეტექტურ ფოტოგრაფიას, რომელსაც იგი „ფოტოგრაფირების ხერხად“ თვლიდა და მიუთითებდა დეტექტური სურათების, როგორც განსაზღვრული შემთხვევებში, მტკიცებულებათა ერთადერთი წყაროს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია დანაშაულის გახსნასა და დამნაშავის მხილებაში[22].

სხვადასხვა დროს სასამართლო ფოტოგრაფიას ყოფდნენ სასამართლო-ოპერატიულ და სასამართლო-გამოკვლევითად ე. ბრაიჩევსკაია, ი. კრილოვი, ა. დულოვი (ჩვენს მიერ დასახელებული მისი უკანასკნელი შრომის გამოკლებით), ლ. ფრანკი, ნ. პოლევოის, ა. უსტინოვი, ი. ბაზანოვა, ნ. იაბლოკოვი, ი. პოსტიკა და სხვები[23].

ნ. სელივანოვი, ყოფს რა სასამართლო ფოტოგრაფიას აღბეჭდვითად და გამოკვლევითად, ს. პოტაპოვისა და ბევრი სხვა ავტორისაგან განსხვავებით არ აიგივებს პირველს სასამართლო-ოპერატიულ ფოტოგრაფიასთან, ხოლო მეორეს — ექსპერტიზასთან, რადგან აღბეჭდვისა და გამოკვლევის მომენტებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფოტოგრაფიის გამოყენების დროს როგორც გამომძიებლის, ისე ექსპერტის მიერ. ნ. სელივანოვი მიუთითებდა აგრეთვე ტერმინ „სასამართლო-ფოტოგრაფიული ექსპერტიზის“ უგერგილობაზე და აღნიშნავდა, რომ ფოტოგრაფია წარმოადგენს არა ექსპერტიზის სახეს, არამედ საექსპერტო გამოკვლევის მეთოდს. ყოველივე ამის მიხედვით ნ. სელივანოვმა წამოაყენა სასამართლო ფოტოგრაფიის დაყოფის წინადადება (აღბეჭდვითად და გამოკვლევითად დაყოფის გვერდით) სასამართლო-ოპერატიულად (რომელსაც გამოიყენებენ გამომძიებლები და ოპერატიული მუშაკები მოკვლევისა

---

[20] **С. М. Потапов.** Судебная фотография, М., 1936, стр. 6.

[21] **С. М. Потапов.** Судебная фотография, М., 1948, стр. 9.

[22] **Л. В. Франк.** О доказательственном значении судебнофотографического снимка по проекту УПК Таджикской ССР, сб. «Вопросы кодификации уголовного и уголовно-процессуального законодательства союзной республики». Сталинабад, 1960, стр. 78—79, 84—85.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც დეტექტიური ფოტოგრაფია „ფოტოგრაფირების ხერხებს მიეკუთვნა“, ლ. ფრანკს მკვეთრად არა აქვს გამოხატული და დასაბუთებული, რადგანაც ისინი ჩამოთვლილი აქვს ფოტოგადაღების სხვა ხერხებთან ერთად, როგორიცაა პანორამული გადაღება, სტეროსტოჟიული და სხვ.

[23] **Е. Ю. Брайчевская.** Цветная фотография в ультрафиолетовых лучах, сб. «Криминалистика и научно-судебная экспертиза». Госюриздат, М., 1950; Судебно-исследовательская фотография, Сост. **И. Ф. Крылов** и **А. В. Дулов,** изд. ЛГУ, 1958; **А. В. Дулов.** Судебно-оперативная фотограная фотография и ее применение в криминалистической экспертизе, М., 1960; **И. Ф. Базанова,** указ. ранее работа; Криминалистика, учебник, изд. МГУ, М., 1963; **И. В. Постика.** Научные основы и практика применения новых фотографических методов исследования вещественных доказательств в советской криминалистической экспертизе, кандидатская диссертация, Одесса, 1969.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წინასწარ გამოძიების პროცესში) და სასამართლო საექსპერტოდ (რომელსაც გამოიყენებს ექსპერტი-კრიმინალისტი)[24]. სასამართლო ფოტოგრაფიის ამგვარსავე კლასიფიკაციას იძლევა აგრეთვე ი. კორუხოვი[25].

„სასამართლო ფოტოგრაფიის" დამხმარე სახელმძღვანელოში (მინსკი, 1971) გადმოცემული მასალა საფუძველს გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ ა. დულოვი ამჟამად თუ მთლიანად არ იყენებს ნ. სელივანოვის მიერ შემოთავაზებულ ტერმინოლოგიას, ყოველ შემთხვევაში სასამართლო ფოტოგრაფიას დაახლოებით მაინც ამგვარადვე ყოფს და თანაც ამას აკეთებს იმავე საფუძველზე დაყრდნობით.

ს. პოტაპოვისა და ლ. ფრანკის გამოკლებით ჩვენს მიერ მითითებულ სხვა ავტორების შრომებში მოხსენიებული არ არის დეტექტიური ფოტოგრაფია. მხოლოდ ნ. სელივანოვი აღნიშნავდა, რომ „იმ გადაღების ობიექტს, რომელსაც ოპერატიულ მუშაობაში იყენებენ, წარმოადგენს ზოგჯერ თვით დანაშაულის ფაქტი, მაგრამ უფრო ზუსტად დამნაშავე დანაშაულის ჩადენის მომენტში"[26], ხოლო ნ. იაბლოკოვი მიუთითებდა, რომ „სასამართლო-ოპერატიულ გადაღებას „...მიმართავენ ზოგიერთ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების დროსაც"[27].

ამრიგად, როგორც ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, ავტორთა უმრავლესობა სასამართლო ფოტოგრაფიის სისტემის აგებისას ან საერთოდ არაფერს ამბობს ფოტოგრაფიის გამოყენების თაობაზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გატარების დროს, ან, მიაკუთვნებს რა მას სასამართლო-ოპერატიულ ფოტოგრაფიას, მხოლოდ გაკვრით ეხება, მაგრამ არ ხსნის მის არსს. სხვათა შორის, ფოტოგრაფიამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გატარების დროს უკანასკნელ წლებში ფართო გამოყენება ჰპოვა, რის გამოც საკმაოდ ვამოკვეთილად გამოიხატა განსაკუთრებული, როგორც წესი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას საექსპერტო და საგამოძიებო ფოტოგრაფიისაგან. გამოიყენებს რა ფოტოგრაფიას, ოპერატიული პრაქტიკა ფრიად სპეციფიკურ მოთხოვნებს უყენებს ფოტოგრაფიულ აპარატურას და მისი გამოყენების მეთოდიკასა და ტექნიკას:

1) ფოტოგადაღება გარშემო მყოფთათვის შეუმჩნევლად. ამით აიხსნება ფოტოგრაფიული აპარატურის მცირე ზომა, აუცილებელ შემთხვევაში მისი შენიღბვის შესაძლებლობა და დისტანციურად ან ავტომატურად მართვა.

2) ფოტოგადაღება სწრაფად და არახელსაყრელ პირობებში. აქედან გამომდინარეობს გადასაღებად აპარატურის გაიოლებული (გამარტივებული) მომზადების აუცილებლობა და მისი განხორციელება (სიმკვეთრის დიდი სიღრმე, რის გამოც გამორიცხულია სიმკვეთრის რეგულირება, საკეტის ავტომატური შეყენება და კადრის გადასვლა და სხვ.), ოპტიკის ძლიერ მაღალი ხარისხი, აგრეთვე მაღალი შუქმგრძნობელობის ფოტომასალების გამოყენება და დიდი ახსნადობის უნარი.

აღნიშნული თავისებურებანი უფლებას გვაძლევენ გამოვყოთ ოპერატი-

---

[24] **Н. А. Селиванов.** Судебно-оперативная фотография, М., 1956, стр. 17; **Н. А. Селиванов** и **А. А. Эйсман.** Судебная фотография, М., 1965, стр. 8.
[25] Криминалистика, ВЮЗИ, изд. «Юрид. литература», М., 1966.
[26] **Н. А. Селиванов** и **А. А. Эйсман.** Судебная фотография, М., 1965, стр. 7.
[27] Криминалистика, изд. МГУ, 1963, стр. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ-სამძებრო ფოტოგრაფია ცალკე კარად კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის სისტემის აგების დროს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით მიზანშეწონილია კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის სისტემა აიგოს ორ საფუძველზე:

პირველ საფუძვლად გამოდგება ფოტოგრაფიის გამოყენების უშუალო ტექნიკური ამოცანები, რომელთა მიხედვით კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია უნდა გაიყოს ორ ნაწილად — აღბეჭდვითად და გამოკვლევითად (ყველაზე თანმიმდევრულად ეს დაყოფა მოცემული აქვს ნ. სელივანოვს).

კლასიფიკაციის მეორე საფუძვლად უნდა გამოდგეს ფუნქციონალური ნიშანი (გამოყენების მიზანი და იმ მოქმედების ხასიათი, რომლის დროსაც ფოტოგრაფიას იყენებენ). ამ საფუძვლით კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია შეიძლება დაიყოს: ოპერატიულ-სამძებრო ფოტოგრაფიად (ოპერატიული ფოტოგრაფია), საგამოძიებო ფოტოგრაფიად, საექსპერტო ფოტოგრაფიად და ფოტოგრაფიად იურიდიული მოღვაწეობის სხვა სფეროებში, (რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან დანაშაულის გამოძიებასთან და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვასთან). კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის ცალკეულ ნაწილთა ასეთი დასახელება უფრო მეტად შეესაბამება მის არსს, ვიდრე ის დასახელებანი, რომლებსაც იყენებენ ამჟამად, რადგან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის შინაარსს წარმოადგენს მისი გამოყენება ძირითადად საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს და ამიტომ იწოდება იგი ოპერატიულად. თავისთავად გასაგებია, რომ ოპერატიული, საგამოძიებო, საექსპერტო ფოტოგრაფია და ფოტოგრაფია იურიდიული მოღვაწეობის სხვა სფეროებში შეიძლება იყოს როგორც აღბეჭდვითი, ისე გამოკვლევითიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის ზოგიერთი საკითხი

გ. თავაძე

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობენ, ადამიანთა აღზრდას, ყველა საშუალებით ებრძვიან წარსულის უკუღმართი ჩვევების გამოვლინებებს.

კომუნიზმის აშენება არ ნიშნავს მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. კომუნიზმისათვის აუცილებელია აგრეთვე ახალი ადამიანის აღზრდა. ამიტომ წარსულის გადმონაშთების დაუძლეველად კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია. ახალი ადამიანი ვერ აღიზრდება, თუ არ იქნა დაძლეული შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, ნაციონალიზმი და შოვინიზმი, ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი და სხვ.

რა არის მიზეზი ჩვენი საზოგადოების ადამიანთა ერთ ნაწილში წარსულის გადმონაშთების არსებობისა?

ჩვენს ქვეყანაში კიდევ არის შემორჩენილი კაპიტალისტური გადმონაშთების ხელშემწყობი მიზეზები. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ ჯერ კიდევ კომუნიზმის პირველი ფაზისათვის დამახასიათებელი ქონებრივი უთანასწორობა, ადამიანთა შეგნების, გონების შედარებით ნელი განვითარება, მისი ჩამორჩენა ეკონომიკის განვითარებასთან.

გარდა ამისა, წარსულის გადმონაშთების არსებობის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ კაპიტალისტური გარემოცვა და მისი ძირგამომთხრელი პროპაგანდა, სოციალიზმის უშუალოდ კაპიტალიზმიდან გამოსვლა, სამამულო ომის მძიმე შედეგები და სხვ. ამიტომ ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით შემორჩა ისეთი სახის კაპიტალისტური გადმონაშთები, როგორიც არის: მექრთამეობა, სპეკულაცია, ქურდობა, გამოძალვა, კორუპცია, მევახშეობა, ბანდიტიზმი, მუქთახორობა, ბიუროკრატიზმი, ხულიგნობა, ლოთობა, შრომისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება, კრიტიკის ჩახშობა, ნაციონალიზმი, შოვინიზმი და სხვ.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ადამიანი ფასდება არა ქონებითა და ტიტულებით, არამედ პირადი ნიჭითა და უნარით, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისათვის საფუძველი არ არსებობს და ამდენად კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია ჩვენში წარსულის ისეთი გადმონაშთების სახით არსებობს, როგორიც არის: სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, გამოძალვა, ქურდობა, მევახშეობა და სხვ. რომლებიც დაკავშირებულია ფულის უკანონო მოგებასთან და სიმდიდრის არაწესიერი გზით მოხვეჭასთან. ჩვენში ასეთი მოქმედებებისა და ქცევების არსებობა აიხსნება. როგორც უკვე ითქვა, იმითაც, რომ კომუნიზმის პირველ ფაზაში — სოციალიზმში არსებობს ქონებრივი უთანასწორობა, ვინაიდან სოციალიზმის პრინციპი ასეთია: „ყველასაგან —უნარის მიხედვით, ყველას — შრომის მიხედვით“. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ ამბობდა, რომ კომუნიზმის პირველ ფაზას,

ე. ი. სოციალიზმს არ შეუძლია სამართლიანობისა და თანასწორობის მოცემა, ვინაიდან განსხვავება სიმდიდრის მხრივ ჯერ კიდევ დარჩება[1].

ადამიანთა შეგნების გარდაქმნის, მისი ჩამოყალიბებისა და ფორმირებისათვის აუცილებელია კომპლექსური, სისტემატური, ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობა. „აღმზრდელობითი პროცესი წარმოებს... ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ კვადრატულ მეტრზე“[2].

აღმზრდელობითი საშუალებების გამოყენებისას მთავარია დასახულ იქნას განსაზღვრული მიზანი. აღმზრდელობითი მეთოდები არ უნდა იყოს მოწყვეტილი ადამიანის პრაქტიკას, იგი მხოლოდ მათთან კავშირში უნდა იყოს გახილული.

ადამიანის აღზრდის აუცილებელი პირობაა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. მხოლოდ ნამდვილ კომუნისტურ შრომას, რომელშიაც ჩაქსავნდება ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლის დამახასიათებელი დადებითი თვისებები, შეუძლია ადამიანის აღზრდა და სრულყოფა.

წარსულის გადმონაშთების დაძლევის საქმეში დიდი როლი ენიჭება აგრეთვე აღრიცხვასა და კონტროლს. სწორად წარმოებული აღრიცხვა და კონტროლი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ადამიანთა შეგნების გარდაქმნისა და ყოველგვარი გადმონაშთების ლიკვიდაციისა.

აღრიცხვისა და კონტროლის სწორად დაყენება ზღუდავს იმ ადამიანთა მოქმედებას, რომლებიც იპარავენ და ითვისებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებას. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „არც ერთი ასმანეთიანი, რომელიც უსამართლოდ ჩავარდა ვისმეს ხელში, არ ასცდეს უკანვე სახელმწიფო ხაზინას“[3].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ფართოდ არის გაშუქებული აღრიცხვისა და კონტროლის, როგორც კაპიტალისტური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა: „საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომელთა მუშაობაში ამჟამად მონაწილეობს მილიონობით მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე. პარტია კვლავაც იზრუნებს იმისათვის, რომ ლენინის იდეები ფართო მასების მხრივ მუდმივი და ქმედითი კონტროლის შესახებ განუხრელად ხორციელდებოდეს“[4].

წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი ფაქტორია კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ წლებში პარტიამ ლენინის მეთაურობით კრიტიკა და თვითკრიტიკა ახალი სოციალისტური წყობის სამსახურში დააყენა. ამის გარეშე შეუძლებელი იყო ძველის მოსპობა, რომელიც ძირითადად ბურჟუაზიული ელემენტების სახით ვლინდებოდა. ლენინის თქმით, კრიტიკის შიში სიდამპლეს ნიშნავს.

კომუნისტური მშენებლობის პირველ ეტაპზე მკვეთრად დგას ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევის საკითხი. განსაკუთრებით აღვნიშნავთ წინა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 580.

[2] **А. С. Макаренко.** «Воспитание гражданина», 1968 г., стр. 47.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 581.

[4] **ლ. ი. ბრეჟნევი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობას, გვ. 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგობას, რომელიც არსებობს ადამიანის შეგნების ფსიქოლოგიასა და ზნეჩვევებს შორის, ახალ სოციალისტურ ყოფასა და კაპიტალისტურ გადმონაშთებს შორის. ყოველგვარი ძველი გადმონაშთების დაძლევისა და მოსპობის გარეშე, რომლებიც აფერხებენ ჩვენს წინსვლას, შეუძლებელია ახლის აშენება. ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა ძველის დაძლევა, რომლის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოაშკარავებასა და კრიტიკას. განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება კრიტიკას ქვემოდან, რაშიც მჟღავნდება საბჭოთა ადამიანის დადებითი თვისებები.

ყოველ კრიტიკას არ შეუძლია სარგებლობის მოტანა. მთავარია ისეთი კრიტიკა, რომელიც ამრავლებს ადამიანის ძალასა და ენერგიას. იქ, სადაც საათანადო სიმაღლეზე ვერ დგას კრიტიკა, თავს იჩენს ისეთი სახის მძიმე დანაშაულობები, როგორიც არის სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცება, ბიუროკრატიზმი, შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, გულგრილობა და სხვ.

მოსკოვის ქარხანა „ელექტროსტალში“ სასარგებლო კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში მიმდინარეობს ყველა კრება და თათბირი, რომლებზეც ვლინდება ის ნაკლოვანი მხარეები, რაც ქარხანას თავის მუშაობაში აქვს. კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ყოველ უარყოფით მოვლენას. ამგვარად, ჯანსაღი, პრინციპული, პირდაპირი, საქმის ღრმა ანალიზის შემცველი კრიტიკის შედეგად ქარხანა შეუფერხებლად მუშაობს და გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს[5].

მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციაში, დაწესებულებებსა და საწარმოებში კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კრიტიკას, განსაკუთრებით ქვემოდან. ადამიანები, რომელთა გონება ვერ ან არ სწვდება კრიტიკის ჩახშობის უარყოფით მნიშვნელობას, ჩვენი საზოგადოების მტრები არიან. მთელმა საზოგადოებამ ასეთი სახის გამოვლინებების მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

ჩვენს ქვეყანაში ბრძოლა ყოველივე ახლისა ძველის წინააღმდეგ წარმოებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფორმით. კრიტიკის და თვითკრიტიკის საშუალებით ადამიანს უმუშავდება ახლის, პროგრესულის გრძნობა, რომელიც ეხმარება მას ზნეობრივ ზრდაში. მისი საშუალებით ადამიანი მიღწეულით არ კმაყოფილდება და ისწრაფვის ახალ-ახალი ზღუდეების გადალახვისაკენ. ი. ბ. სტალინი მ. გორკს სწერდა: „უთვითკრიტიკოდ არ შეგვიძლია... უიმისოდ გარდუვალია უძრაობა, აპარატის გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობის ჩაშლა. რა თქმა უნდა, თვითკრიტიკა მასალას აძლევს მტრებს... მაგრამ იგივე იძლევა მასალას (და ბიძგს) ჩვენი წინსვლისათვის, მშრომელთა აღმშენებლობითი ენერგიის გაჩაღებისათვის, შეჯიბრების განვითარებისათვის, დამკვრელი ბრიგადებისათვის და სხვ. უარყოფით მხარეს ანაზღაურებს და ჭარბად ანაზღაურებს დადებით მხარეს“[6].

კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა ადამიანს გამოუმუშავებს მაღალ იდეურობას, პრინციპულობას, მიზანდასახულობას, ხასიათის სიმტკიცესა და ყოველივე მანკიერის, ძველის მოსპობის საშუალებით ახლისადმი რწმენას.

---

5 გაზ. „პრავდა“ 1967 წ. 7 მაისი.

6 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სრულ გამარჯვებამდე, რაც აუცილებელი პირობაა ადამიანის კომუნისტური ზნეობის, შეგნების გამოსამუშავებლად. ამიტომ კრიტიკა დ თვითკრიტიკა ჩვენი საზოგადოების კანონზომიერი, აუცლებელი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ამავე დროს ადამიანის აღზრდის კომუნისტურ მეთოდს წარმოადგენს.

ადამიანის შეგნების გარაქმნისა და მისი ყოველგვარი გადმონაშთური გამოვლენის დაძლევის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კომუნისტური ზნეობის პროპაგანდა. ადამიანის კომუნისტურად აღზრდის, ძველი ჩვეულებისა და ქცევების გარდაქმნისათვის გამოყენებულია ისეთი დიდი საშუალებები, როგორიც არის: პრესა, ტელევიზია, რადიო, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვ. კომუნისტური ზნეობის პროპაგანდის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ადამიანის აღზრდა, მისი შეგნების სრულყოფა, რაც აუცილებელია კომუნისტური საზოგადოებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრესას. ლენინი წერდა: „ბეჭდვითი სიტყვა უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური მშენებლობის იარაღს, აცნობდეს ყოველ დეტალში სანიმუშო კომუნების წარმატებებს, სწავლობდეს მათი წარმატებების მიზეზებს, მათი მეურნეობის წესებს, მეორე მხრით „შავ დაფაზე“ უნდა შეჰქონდეს ის კომუნები, რომლებიც დაჟინებით ინარჩუნებენ „კაპიტალიზმის ტრადიციებს“, ე. ი. ანარქიის, სიზარმაცის, უწესრიგობის, სპეკულაციის ტრადიციებს“[7].

პრესასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ტელევიზიასა და რადიოს, რომლის აუდიტორიასაც მთელი მშრომელი მოსახლეობა წარმოადგენს. ამ ბოლო ხანებში ტელევიზია ფართო აუდიტორიის წინაშე ღრმად და მწვავედ აყენებს მთელ რიგ მნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა ერთ-ერთი მიზანია ადამიანის ყოველგვარი კაპიტალისტური გადმონაშთებისაგან განთავისუფლება. მათ დღის სინათლეზე გამოჰყავთ ადამიანები, რომელთა საქციელი სამარცხვინო და შეუფერებელია ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის.

საბჭოთა ხალხის ინტერესები მოითხოვს, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ხელს უწყობდეს კომუნიზმის მშენებლობას, საბჭოთა მორალის მქონე ადამიანის ჩამოყალიბებას.

ადამიანის კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფიზიკურ აღზრდას. როგორც აუცილებელია ადამიანის სულიერად აღზრდა, ისევე არანაკლები მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ აღზრდას. ეს აუცილებელი პირობაა ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

კომუნისტური საზოგადოების აშენება ახალი შეგნებული ადამიანის ფორმირების გარეშე შეუძლებელია. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ადამიანის აღზრდის ისეთი გრანდიოზული საშუალებები, როგორიც ჩვენ სოციალისტურ სახელმწიფოშია.

წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის უკიდურეს საშუალებას წარმოადგენს სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ზემოქმედება.

კანონიერების დაცვის საკითხში ყველაზე მთავარს წარმოადგენს შეგნება იმ ადამიანებისა, რომლებიც ახორციელებენ მოქმედ კანონებს. პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელობს ამა თუ იმ ორგანოს მუშაობას და რომლის შეგნება არ არის სათანადო სიმაღლეზე, მის მიერ შესრულებული სამუშაო ფორ-

---

[7] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 308.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალური და დაბალი ხარისხისა იქნება. ამიტომ პასუხსაგებ პოსტებზე არ უნდა ინიშნებოდენ ისეთი ადამიანები, რომელთა შეგნებაც არ იქნება გათავისუფლებული ყოველგვარი მავნე და მახინჯი გადმონაშთებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება საქმისადმი ფორმალურ და უსულგულო დამოკიდებულებას. ლენინის თქმით: „ყოველი კანონის გვერდის ავლა შეიძლება თვით მისი შესრულების მოჩვენებითაც“[8]. ამიტომ... „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა, სამართლის კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას“[9].

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელი ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას და ქრთამს იღებს (ასეთი ხასიათის წერილი „საიდუმლო ქისა“ დაიბეჭდა ა. წ. 19 აგვისტოს გაზ. „კომუნისტში“). ბუნებრივია ისმება კითხვა — ადამიანმა, რომელსაც 140 მანეთი ხელფასი აქვს და აღმოაჩნდება დიდძალი ფული და სიმდიდრე, როგორ შეძლო ამდენი ფულისა და ქონების დაგროვება.

უკანასკნელ პერიოდში კაპიტალისტური გადმონაშთების წინააღმდეგ მოპოვებული წარმატებები ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაწეული დიდ მუშაობის შედეგია. თუმცა ზოგჯერ ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაკები თვით იჩენენ ლმობიერებას, უსულგულობას კანონიერების განხორციელების საქმეში. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ წლებში წერდა: „გთხოვთ დღის წესრიგში დააყენოთ პარტიიდან მისი იმ წევრების გარიცხვის საკითხი, რომლებიც, იყვნენ რა მოსამართლეებად მექრთამეთა საქმეზე (2.V.1918), სადაც ქრთამის აღება დამტკიცდა და მექრთამეებმაც აღიარეს, მაინც დაკმაყოფილდნენ 12 წლის პატიმრობის განაჩენით.

მექრთამეთა დახვრეტის ნაცვლად ასეთი აბუჩადამგდებად სუსტი და რბილი განაჩენების გამოტანა სამარცხვინო საქციელია კომუნისტისა და რევოლუციონერისათვის“[10].

ასეთივე სისასტიკით ისჯებიან და უნდა დაისაჯონ კიდეც ადმინისტრაციულ ორგანოების ის მუშაკები, რომლებიც სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში გულგრილ, ლმობიერ დამოკიდებულებას გამოიჩენენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აღზრდის რომელიმე საშუალება ცალკე აღებული არ მოგვცემს დადებით შედეგს. საჭიროა აღზრდის ცალკეული მეთოდები დიალექტიკურ კავშირში იყოს მის მთლიან, ზოგად საშუალებებთან.

ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ამოცანაა რაც შეიძლება მოკლე დროში, მთელი საბჭოთა საზოგადოების აქტიური დახმარებით აღმოფხვრან წარსულის მახინჯი გადმონაშთები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის შეგნებაზე. როდესაც ადამიანთა გონება გათავისუფლდება მავნე გდმონაშთებისაგან, მაშინ შესაძლებელი გახდება კომუნისტური წყობისათვის საჭირო ადამიანის ჩამოყალიბება და სრულყოფა.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ამ ამოცანების განხორციელებაში.

---

[8] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 228-229.

[9] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას, გვ. 110, 111.

[10] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 384.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირიჟორ ს. ა. სტოლერმანის გასამართლება

1920 წლის 15 იანვარს თბილისში უჩვეულო ხმა დაირხა — თბილისის ოპერის თეატრის დირიჟორმა სამუელ ალექსანდრეს-ძე სტოლერმანმა თავისი ცოლი მოკლა რევოლვრის ორი ტყვიით. მიზეზი? დირიჟორის ცოლს, რომელიც საქართველოს მოძულე იყო, დაუხვევია ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურის დედანი. ქართული მუსიკის ტრფიალ დირიჟორს ეს ვერ აუტანია და ამ ზომამდე მისულაო.

გავრცელებული ხმები მართალი გამოდგა. თბილისის ოპერის თეატრის დირიჟორი სამუელ ალექსანდრეს-ძე სტოლერმანი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც საქართველოს ესტუმრა და თბილისში დაიდო ბინა, მალე განიმსჭვალა სიყვარულით ქართველი ხალხისადმი, შეიყვარა და შეისისხლხორცა ქართული მუსიკალური ჰანგები. იგი მონდომებითა და ყურადღებით მოეკიდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“, აგრეთვე ვიქტორ დოლიძის კომიკური ოპერის „ქეთო და კოტეს“ შესწავლას, რათა ლოტბარობა გაეწია ოპერის თეატრში. სტოლერმანი თავის ბინაზე (სასამართლოს ქ. № 31) დიდ დროს ანდომებდა ამ ოპერებზე მუშაობას. მისი მეუღლე ძალიან ანჩხლი იყო, აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა ქმარს, უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მას ქართულ ოპერებზე მუშაობისათვის. ბოლოს კატეგორიულად გააფრთხილა კიდეც — თუ ეს საძაგელი ოპერები არ წაგიღია და თავიდან არ მოგიშორებია, „აბესალომ და ეთერს“ ნაკუწნაკუწად ვაქცევო. ლოტბარი აღელდა და პირში მიახალა, დახევ და კიდეც მოგკლავო.

და აი, 14 იანვარს, ღამით, ოპერის თეატრიდან დაღლილ-დაქანცული სამუელ სტოლერმანი ბინაზე დაბრუნდა, ცოლი ლოგინში მწოლიარე დახვდა. გაიგო თუ არა ქმრის ფეხის ხმა, წამოდგა, დაუწყო ყვირილი და შეურაცხყო უდანაშაულო ქმარი. საწოლი ოთახიდან ქმარს მოსაცდელში გამოუყარა ლოგინი, თვითონ კი მიწვა და მიიძინა.

სამუელ სტოლერმანმა, სკამზე ჩამომჯდარმა, თეთრად გაათენა ღამე. დილით ნახა, რომ ცოლს ისევ ეძინა და იფიქრა, დროს გამოვიყენებო, „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა აიღო, და დახედა თუ არა, უეცრად შედგა. პარტიტურის დედანი, ზაქარია ფალიაშვილის ხელით დაწერილი, დახეული იყო. ლოტბარს სისხლი თავში აუვარდა, ერთი ამოიგმინა, მძინარე ცოლს რევოლვერის ორი ტყვია დაახალა და გარეთ გამოვარდა. როცა რუსთაველის პროსპექტს უწია, თითქოს განგებ, ზაქარია ფალიაშვილს შეხვდა. ზაქარიამ რომ ნახა ლოტბარი აფორიაქებულ მდგომარეობაში, მიზეზი ჰკითხა. სტოლერმანს არაფერი დაუმალავს და თუმცა აღელვებული იყო, ყველაფერს მოყვა. ზაქარია დიდად შეწუხდა (ხუმრობა ხომ არ იყო პარტიტურის ერთადერთი დედნის დახევა). ზაქარიამ მაშინვე უთხრა სტოლერმანს წასულიყვნენ სახელმწიფო თეატრის კომისარ ალექსანდრე წუწუნავასთან. მართლაც მალე მივიდნენ. სტოლერმანმა კომისარსაც იგივე უამბო, რაც ზაქარია ფალიაშვილს. კომისარმა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინვე აცნობა ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროკურორსა, რომელიც დაუყოვნებლივ ჩაერია საქმეში. გამომძიებელმა სამუელ ალექსანდრეს-ძე სტოლერმანი დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების 1451 მუხლის პირველი ნაწილით. „აბესალომ და ეთერის“ დახეული პარტიტურა საქმეს დაურთო, როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი.

საქმეზე საბრალდებო აქტი შეადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროკურორის ამხანაგმა ალი არსენიშვილმა.

სტოლერმანის საქმე 1920 წლის თებერვალში გადაეცა თბილისის საგანგებო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას.

საქმის სასამართლოში გარჩევამდე სამართალში მიცემულმა სამუელ სტოლერმანმა განცხადებით მიმართა თბილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეს, რათა საქმეზე მის დასაცავად მოწვეული ყოფილიყვნენ ნაფიცი ადვოკატები: შალვა ვლადიმერის-ძე ალექსი-მესხიშვილი, მიხეილ ლევის-ძე მანდელშტამი და ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ემუხვარი. მათ ერთობ დიდი როლი შეასრულეს საქმის მომზადებასა და კანონიერად წარმართვისათვის. სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება კი მოუხდა შალვა ალექსი-მესხიშვილს, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა დასაბუთებული შუამდგომლობა და დაბეჯითებით მოითხოვა, რომ სასამართლოში მოწვეული ყოფილიყვნენ ფსიქიატრი ექსპერტები, რომლებიც სასამართლოს მისცემდნენ დასაბუთებულ დასკვნას, თუ რა პირობებში იქნა ჩადენილი დანაშაული. კერძოდ ადვოკატი ასაბუთებდა, რომ სამუელ სტოლერმანს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა სულიერი აფექტის მდგომარეობაში. მთელი ღამის უძილომ, დილით „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა დახეული რომ ნახა, იგი უეცრად იმდენად აღელდა, რომ ჩავარდა აფექტურ მდგომარეობაში და რევოლვრის ორი ტყვია ესროლა მძინარე ცოლს.

სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და მიიღო დადგენილება ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. მოწვეულ იქნენ ექსპერტები: დავით გედევანიშვილი, ვლადიმერ ციციშვილი და ნიკოლოზ ჯავახიშვილი, რომლებმაც საქმისა და სამართალში მიცემულ სტოლერმანის ჯანმრთელობის გულდასმით შემოწმების შედეგად, სასამართლოს მისცეს დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სტოლერმანს დანაშაული ჩადენილი აქვს ძლიერი სულიერი აღელვების, პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

თბილისის საგანგებო სასამართლოს პროცესი შედგა 1920 წლის 3—4 მარტს. სასამართლომ დაკითხა სამართალში მიცემული, მოწმეები, მოისმინა ფსიქიატრ-ექსპერტების დასკვნა. ბრალმდებელმა პროკურორმა რიჟამაძემ წარმოსთქვა გარეგნულად ეფექტური სიტყვა და მოითხოვა სამართალში მიცემულ სამუელ სტოლერმანს შეფარდებოდა პატიმრობა 15 წლის ვადით. სტოლერმანის დასაცავად სიტყვა წარმოთქვა შალვა ალექსი-მესხიშვილმა. რომელმაც ბრწყინვალედ დაასაბუთა ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და მიზეზობრივი კავშირი დანაშაულის ჩადენის დროს, თუ რამ განაპირობა იგი. ამასთან ერთად ისიც დაასაბუთა, რომ სტოლერმანს დანაშაული ჩადენილი აქვს პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, რის გამო იგი პასუხს არ აგებს მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებისთვისო.

აი სიტყვა ადვოკატ შალვა ალექსი — მესხიშვილისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პატივცემულო მოსამართლენო!

სამუელ ალექსანდრეს-ძე სტოლერმანს, 45 წლისას, ბრალი ედება რომ, წინასწარ განზრახა რა კანონიერი ცოლის ალექსანდრა ფედოტის ასული სტოლერმანის მოკვლა, 1920 წლის 15 იანვრის დილით, თავის ბინაზე, სასამართლოს ქ. №31, რევოლვერიდან ორი გასროლით მოჰკლა მძინარე ცოლი. ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის გამასწორებელ სასჯელთა დებულების 1451 მუხლის პირველი ნაწილით. როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაზე სტოლერმანმა განაცხადა, რომ არ უარყოფს ცოლის მკვლელობას, მაგრამ თავს დამნაშავედ არ სცნობს. სახელმწიფო ბრალმდებელმა პატივცემულმა მოქ. რიჟამაძემ ბრალდება სცნო დამტკიცებულად და იშუამდგომლა თქვენს წინაშე სტოლერმანი დამნაშავედ სცნოთ და მიუსაჯოთ კატორღა 15 წლით.

სამუელ სტოლერმანმა რომ მძინარე ცოლი მოკლა, ეს უდავოდ დადასტურებულია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მარტო ფაქტი მკვლელობისა არ არის საკმარისი სტოლერმანის დამნაშავედ აღიარებისათვის. თანახმად დებულების 91 მუხლისა, სასჯელი ბოროტმოქმედებისათვის დაედება სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოროტმოქმედების ჩადენა უდავოდ არის დადასტურებული და ეს სამართალში მიცემულს უნდა ჩაეთვალოს ბრალად, ესე იგი, თუ შერაცხადმა პიროვნებამ შეგნებულად, ამ შემთხვევაში წინასწარი განზრახვით, ჩაიდინა ბოროტმოქმედება.

შერაცხადობა კი არის მხოლოდ გამოვლინება მიზეზობრივი კავშირისა ბრალდებულის შეგნებულ ნებისყოფასა და ჩადენილ ბოროტმოქმედებას შორის.

ასე განმარტა სენატმა ჩერნილიკინის საქმე 1869 წელს №368 დადგენილებით.

საქმის მასალების ანალიზი კი უდავოდ ადასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მკვლელობის არც წინასწარი და არც უეცარი განზრახვა არ ჰქონია.

სტოლერმანმა ცოლი მოჰკლა ისეთი უეცარი, მძიმე სულიერი ავადმყოფობის დროს, როცა გონება და ნება სრულიად გამოთიშულნი იქნენ და აღგზნებული სტოლერმანი არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს, თუ რას სჩადიოდა. დებულება რომ დამაჯერებელი და უდავო გახდეს, საჭიროა საქმის მასალების ანალიზი. ამისათვის კი ცოტა შორიდან უნდა დავიწყო.

ნება მიბოძეთ, მოკლედ მოგახსენოთ ერთი უბედური ადამიანის შესახებ.

სტოლერმანმა მომავალი მეუღლე 15 წლის წინათ გაიცნო ციმბირში, სადაც ლოტბარად მუშაობდა. სტოლერმანის მეუღლე კი ახლად იწყებდა მსახიობის სასცენო კარიერას. მან დაიწყეს ერთად ცხოვრება. განვლო წელიწადნახევარმა და ქალმა მოითხოვა, რომ სტოლერმანთან ერთად ცხოვრება დაეკავშირებინა. სტოლერმანმა მიიღო მართლმადიდებლობა და ჯვარი დაიწერა. დაქორწინების შემდეგ ცოლსა და ქმარს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, რომელიც თანდათან უფრო ღრმავდებოდა. ამის მიზეზი იყო მეუღლეთა ხასიათის სხვადასხვაობა.

ქმარი იყო სუსტი ნებისყოფის კაცი, წყნარი, ჩუმი, გატაცებული მხოლოდ მუსიკით, სრულებით არ მცოდნე ყოველდღიური ჭირ-ვარამისა, ჯანითაც სუსტი, სათუთი აგებულებისა. ცოლი კი იყო ჯან-ღონით სავსე, ძლიერი ბუნებით დაჯილდოებული ქალი, იგი ვერ იტანდა თავისი სურვილებისადმი ვერავითარ წინააღმდეგობას და როგორც ქმართან, ისე უცხოსთან აშკარად ავლენდა თავის უხეშ ბუნებას. იგი ქმრის უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. მთელი შემოსავალი მის ხელში იყო. ყიდულობდა ფასიან ქაღალდებს და შეჰქონდა ბანკში თავის სახელზე. ქმარს კი ხშირად რამდენიმე მანეთიც კარ ჰქონდა. ალექსანდრა ფედოტის ასული სტოლერმანი ერეოდა ქმრის სალოტბარო და სამუსიკო მოღვაწეობაში, თუმცა მუსიკისა თითქმის არაფერი ესმოდა.

სტოლერმანი ებრაელია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები თვითმპყრობელობის დროს. მათ მოკლებული ქონდათ ადამიანის ელემენტარული უფლებები. მათ სასტიკად სდევნიდნენ. საკმარისია მოვიგონოთ კიშინიოვში, ოდესაში და სხვა ადგილებში მომხდარი დარბევა და ხოცვა, ბეილისის აღმაშფოთებელი პროცესი, რომ ნათლად წარმოიდგინოთ სურათი ებრაელთა მდგომარეობისა თვითმპყრობელობის დროს.

მუშაობით დაქანცულ სტოლერმანს, როგორც ებრაელს, ცხოვრება მაინც არ უღიმოდა; მას ოჯახში უნდა ჰქონოდა დასვენების, ნერვების დაწყნარების, ხელშეუშლელი მუშაობის პირობები. აქ უნდა ეგრძნო, რომ იგი ადამიანია და როგორც ებრაელს ზიზღით არ უყურებენ.

მაგრამ მეუღლემ სტოლერმანს ოჯახში ჯოჯოხეთი შეუქმნა. ცოლი სტოლერმანს თითქმის ყოველდღე ეჩხუბებოდა და სცემდა კიდეც.

ხშირად უცხო პირების დასწრებით ლანძღავდა, ეძახოდა „ქეციან ურიას“, იდიოტს და სხვა ამგვარს. ეს მარტო ოჯახში არ ხდებოდა. ესენტუკის პარკში დიდი ჩხუბი გაუმართა და ქოლგით ხელში გამოუდგა გასალახავად.

1919 წელს თბილისის ოპერას ეწვია მომღერალი ქალი კოშიცი. ავადმყოფობის გამო მან სახლში მიიწვია სტოლერმანი, რათა „პიკის ქალიდან“ პარტია გაემეორებინა. ეს არ მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წონა სტოლერმანის ცოლს და ნება არ მისცა ქმარს წასულიყო კოშიცის ქალთან. ამიტომ 29 დეკემბერს „პიკის ქალს“ კოშიცის მონაწილეობით სტოლერმანის მაგივრად ლოტბარობდა კორშონი. როცა წარმოდგენის დაწყებამდის გამოცხადდა, რომ დირექციამ არ იცის, თუ რატომ არ ლოტბარობს სტოლერმანი, მისმა მეუღლემ ოპერის დარბაზში საჯაროდ გალანძღა კოშიცის ქალი და მას „ინტრიგანკა“ უწოდა.

ყველაფერი ეს დადასტურებულია სტოლერმანის ექიმ აბაკელიას, სტოლერმანის ბინის პატრონის ნადეჟდა ფილიპოვიჩის, ნატალია კუნელას, თეატრის კომისარ ალექსანდრე წუწუნავას ჩვენებებით. რაც შეეხება, კერძოდ მომდერალ კოშიცთან შეტაკებას, წუწუნავამ აჩვენა: „იმ დროს თეატრში არ ვიყავი, როცა ტელეფონით შემატყობინეს, მაშინვე მივედი თეატრში. აქ სტოლერმანის ცოლი შემხვდა. ვუთხარი ასეთი საქციელი სახელმწიფო დაწესებულებაში დაუშვებელია-მეთქი. სტოლერმანის ცოლმა მიპასუხა: „მე კარგად ვიცი რასაც ჩავდივარ, პარლამენტში ერთმანეთს სკამებს ესვრიანო“.

წუწუნავამ აჩვენა, რომ გასცა განკარგულება სცენაზე უცხო პირი არ შეეშვათ. როცა კაპელდინერმა ქალმა სტოლერმანის ცოლს სცენაზე შესვლის ნება არ მისცა, მან ისე მძლავრად ჰკრა ხელი თეატრის მუშაკს, რომ იგი ცუდად გახდა.

სტოლერმანის ცოლი ხანდახან შეიჭრებოდა ხოლმე სცენაზე და ოპერის თანამშრომელთა თანდასწრებით შეურაცხყოფას აყენებდა ქმარს. ამას ადასტურებენ სასამართლოში დაკითხული მოწმენი: წუწუნავა, ევლახიშვილი, გურესი, სუხორუკოვი, ბელსკი.

რატომ არ დაანება თავი სტოლერმანმა ასეთ ცოლს?

16 იანვარს დაკითხვის დროს სტოლერმანმა აჩვენა: „ცოლი სისტემატიურად მეჩხუბებოდა, სხვათა დასწრებით მცემდა. მოსკოვში ცოლის მოქმედებამ იქამდის მიმიყვანა, რომ გადავწყვიტე გავცლოდი მას. მან გაზეთებიდან გაიგო, სად ვიყავი და ჩემთან გამოცხადდა. ახალი აურზაურისა და შეურაცხყოფის შიშით იძულებული ვიყავი მეცხოვრა მასთან“.

ალექსანდრე წუწუნავამ აჩვენა: „ჩვენ ვურჩევდით სტოლერმანს გასცილებოდა ცოლს. სტოლერმანმა გვიპასუხა, თქვენ არ იცნობთ მას. თვითმფრინავით მოფრინდება იქ, სადაც ვიქნები და უარეს დღეს დამაყენებსო“.

თქვენი ნებართვით წავიკითხავ საბრალდებო აქტის რამდენიმე ადგილს: „სტოლერმანი პოულობდა მუსიკაში არა მარტო ცხოვრების წყაროს, არამედ ხელოვნების უანგარო და უმაღლეს ესთეტიკურ სიამოვნებას. ცოლი კი მარტო ფულზე ფიქრობდა და აიძულებდა ქმარს მისდაუნებურად მოეთხოვა გასამრჯელოს მომატება. ცხელ ზაფხულში, ავარაკიდან ისტუმრებდა ქმარს კონცერტების გასამართავად, ფულის საშოვნელად. დაღლილ ლოტბარს ღამე იატაკს არეცხინებდა. ორი წლის წინათ სტოლერმანი ჩამოვიდა თბილისში და სახელმწიფო თეატრში პირველი ლოტბარის ადგილი დაიკავა. სტოლერმანი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა „აბესალომ და ეთერს“, დიდი შრომა გასწია ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეზე“. მალე აპირებდა „აბესალომის“ ლოტბარობას. ამის გამო ნამდვილი ომი გამოუცხადა მეუღლემ. მან შეიძულა ქართული ნაწარმოებები, უწოდებდა მათ საძაგელსა და ვულგარულს. ქმარს უკრძალავდა მათ შესწავლას. ერთხელ კიდევაც უთხრა ქმარს: —„თუ არ წაიღებ ბინიდან „აბესალომის“ პარტიტურას, დაგიხევო“.

მინდა მოგაგონოთ სტოლერმანის ჩვენება გამოძიებაზე: „როცა ვუთხარი, რომ ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეპყროთ ქართველ ხალხს, ცოლმა ირონიით მიპასუხა, მალე მოვლენ დენიკინელები და გასწმენდენ მთელ საქართველოსო. საერთოდ იგი რეაქციონერი იყო“.

განვაგრძობ საბრალდებო აქტიდან კითხვას: „1920 წლის 14 იანვარს სტოლერმანი ლოტბარობდა ზალიპსკის საბენეფისოდ დადგმულ ოპერა „ფრა დიავოლოს“. შინ რომ დაბრუნდნენ, ცოლმა დიდი ჩხუბი აუტეხა: „ყველანი ბენეფისებს მართავენ, დიდძალ ფულს იღებენ. შენ კი ამის მოწყობა არ შეგიძლიანო“. დაუკაწრა ხელები, გადაუგდო საწოლი ოთახიდან ბალიში მისაღებ ოთახში და თვითონ დაწვა დასაძინებლად. სტოლერმანს გაუხდელს ჩაეძინა. დილით ადრე გაიღვიძა, მოინდომა ცოლის ძილით ესარგებლა და გადაშალა „აბესალომის“ პარტიტურა, რომელშიც რამდენიმე ფურცელი დახეული აღმოჩნდა. გახელებულმა სტოლერმანმა რევოლვერის ორი გასროლით მოჰკლა მძინარე ცოლი. რევოლვერი რამდენიმე დღის წინათ ცოლის თანდასწრებით ამოიღო თეთრეულიდან და თან ატარებდა“.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ თბილისის ოპერის თეატრში მუშაობის დროს სტოლერმანი დაუახლოვდა ქართველი ერის სიამაყეს ზაქარია ფალიაშვილს, ძალიან აფასებდა „აბესალომის“ მუსიკას და, მიუხედავად ცოლის წინააღმდეგობისა, თავს არ ანებებდა მის პარტიტურაზე მუშაობას.

უნდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ „აბესალომის“ პარტიტურა ხელნაწერი და ერთადერთი ეგზემპლარი იყო.

პროკურორმა მოგახსენათ, რომ სტოლერმან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ლაჩრულად მოჰკლა ცოლი, ფიზიზელისათვის სროლაც ვერ გაბედაო.

სწორედ ეს ადასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მოკვლის განზრახვა არა ჰქონია. როდის უნდა აღძროდა სტოლერმანს ცოლის მოკვლის განზრახვა? ან დიდი ხნით ადრე უნდა გადაეწყვიტა ცოლის მოკვლა, ან მკვლელობის წინა ღამეს უნდა განეზრახა ეს. თუ დიდი ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი, სტოლერმანი უფრო ადრე მოკლავდა ცოლს, რომელიც სისტემატურად სტანჯავდა.

თუ მკვლელობის წინაღამეს აღეძრა ეს სურვილი, უეჭველად ჩხუბის შემდეგ დაძინებამდე ესროდა. როცა მოკვლა გადაწყვეტილი გაქვს და იარაღიც ხელმისაწვდომია, აფთარი დედაკაცის შიში ვერ შეგაჩერებს.

თუ იმ ღამეს გადაწყვიტა რომ მძინარეს მოკლავდა, სტოლერმანი არ დაიძინებდა და უთვალთვალებდა ცოლს, რომ მოეკლა.

სტოლერმანმა დაიძინა და როცა დილით გაიღვიძა, ცოლს ჯერ კიდევ ეძინა, ადგა თუ არა, რევოლვერს კი არ ეცა, არამედ პარტიტურას, რომ დამშვიდებით ემუშავნა. ეს ზუსტად დადასტურებულია, და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც უდავოდ ამტკიცებს, რომ სტოლერმანს არ ჰქონდა ცოლის მოკვლის განზრახვა. მაშ რა მოხდა? საჭიროა დაკვირვება და ანალიზი სტოლერმანის ფსიქიკური მდგომარეობისა, რომ შეცდომა არ იქნეს დაშვებული.

როცა სტოლერმანმა დახეული პარტიტურა ნახა, ამას მოჰყვა ისეთი სულიერი აღგზნება, რომ გონება და ნება გამოთიშულ იქნენ. ამ უეცარი სულიერი შემოტევის დროს (რომლის შედეგი იყო სიშმაგე) სტოლერმანმა მოკლა თავისი ცოლი.

ექსპერტიზის დასკვნით სტოლერმანი დაავადებულია ნევრასტენიის მძიმე ფორმით.

მივაქცევთ თქვენს ყურადღებას, რომ მრავალი წლის განმავლობაში იგი განიცდიდა მძიმე შეურაცხყოფას და იტანჯებოდა ცოლის სისტემატურად უხეში და დამამცირებელი მოქმედებით. სტოლერმანში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილების გრძნობა. მკვლელობის წინაღამეს ცოლმა დიდი ჩხუბი აუტახა, მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა და ხელები დაუკაწრა.

სტოლერმანმა დილით „აბესალომ და ეთერის" ხელნაწერი პარტიტურის ერთადერთი ეგზემპლარის დახეული ფურცლები რომ ნახა, ეს იყო ის ბიძგი, რომელმაც გამოიწვია უეცარი ძლიერი სულიერი ავადმყოფობა, რომლისთვისაც ნიადაგი დიდიხანია მზადდებოდა მის ფსიქიკაში.

ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაქციო პროფესორ სიკორსკის ცნობილ შრომას: „თეორიული და კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები სასამართლო ფსიქოლოგიის მოკლე ნარკვევით".

პროფესორი სიკორსკი აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდ სასამართლო-ფსიქიატრიის ინტერესს ექსპერტიზისათვის და სასამართლოსათვის იწვევენ უმეტეს შემთხვევებში ის მძიმე ბოროტმოქმედებანი, რომელნიც ჩადენილი არიან უეცარი შეტევის დროს, როცა ადამიანი საერთოდ ფსიქიკურად დაავადებული არ არის. ხანმოკლე, მაგრამ მეტად ბოროტი ფსიქიკური არანორმალურობის შემდეგ სუბიექტს უბრუნდება ჩვეულებრივი, საღი მდგომარეობა. მეცნიერებაში ასეთ მოვლენებს უწოდებენ პათოლოგიურ აფექტს. კანონმდებლობაში ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია დებულების 92 მუხლის 3 პუნქტით. რითია გამოწვეული გამანადგურებელი და სრულიად ბრმა ხასიათის მოძრავის რეაქციების ძალა? პროფესორ სიკორსკის აზრით განსაზღვრულ მდგომარეობაში მაღალი ფსიქიკური ცხოვრება, რომელსაც შეადგენს გონების, გრძნობის და ნების ერთიანობა, უეცრად ჩერდება და მის ადგილს იკავებს უფრო დაბალი ფსიქიკური ცხოვრება; ინსტიქტების ცხოვრება.

ინსტიქტი, რომელიც აღარ არის შეზღუდული გონებით და ნებით, გამოვლინდება მისთვის დამახასიათებელი სტიქიურობითა და სიბრმავით, თუ სუბიექტი ხანდახან შეგნებას სრულიად მოკლებული არ არის, შეგნება მეტად სუსტია დაბალი ფსიქიზმის წინაშე და საქმე გვაქვს არა ფიზიოლოგიური აფექტის პათოლოგიურ აფექტად გადასვლასთან, არამედ უმაღლესი ფსიქიზმის უეცარ შეჩერებასთან და ინსტიქტების (მათთვის დამახასიათებელი ძლიერებით და სიბრმავით) გამოვლინებასთან.

მე მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო იმას, რომ პათოლოგიური აფექტის აღძვრისათვის სრულებით არ არის საჭირო, რომ მას ფიზიოლოგიური აფექტი წინ უძღოდეს. სწორედ ასეა სტოლერმანის შემთხვევა. შეიძლება საჭიროც არ იყო პროფესორ სიკორსკის აზრის მოყვანა.

პატივცემულმა ექსპერტებმა, ექიმებმა: დავით გედევანიშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა და ვლადიმერ ციციშვილმა ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე წერილობითი პასუხი გასცეს. პატივცემულმა დავით გედევანიშვილმა მოახსენა სასამართლოს ექსპერტების მიერ ერთხმად დადგენილი დასკვნა, რომ ბოროტმოქმედების ჩადენის დროს სტოლერმანი იყოფებოდა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში. სასამართლოს და მხარეთა მრავალ შეკითხვებზე ექიმმა გედევანიშვილმა ექსპერტების აზრი მეცნიერულად დაასაბუთა.

მე უდავოდ დადასტურებულად მიმაჩნია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოლერმანს ცოლის მოკვლის განზრახვა არა ჰქონდა. დილით „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურის ფურცლები დახეული რომ ნახა, უეცრად მეტად მძიმე, ხანმოკლე ფსიქიკური დაავადების დროს, სიშმაგის მდგომარეობაში ჩაიდინა მკვლელობა. თანახმად დებულების 92 მუხლის 3 პუნქტისა ჩადენილი არ უნდა ჩაითვალოს ბრალად, თუ ბოროტება ჩადენილია ავადმყოფური შეტევების დროს, რომელთა შედეგია სიშმაგე, ან მეხსიერების სრული გამოთიშვა და თუ სტოლერმანს ეს არ ჩაეთვლება ბრალად, მაშინ არც შეიძლება მისი დამნაშავედ ცნობა.

ამიტომ სტოლერმანი გამართლებულ უნდა იქნას.

პატივცემულმა პროკურორმა მოქ. რიუამაძემ იშუამდგომლა სტოლერმანს 15 წლის ვადით კატორღა მიუსაჯოთ. სტოლერმანმა 15 წლის კატორღა უკვე მოიხადა ცოლთან ცხოვრების დროს.

არა, მე შეღავათს არა ვთხოულობ.

უდანაშაულო სტოლერმანისათვის შეღავათი დაუშვებელია.

მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე.

ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, რათა დადასტურებულად სცნოთ, რომ სტოლერმანმა ცოლი მოკლა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, და გამოვუტანოთ მას გამამართლებელი განაჩენი“.

სასამართლომ გულდასმით შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა მხარეთა შუამდგომლობანი, სავსებით გაიზიარა საქმეზე წარმოდგენილი ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა და ადვოკატ შალვა ალექსი-მესხიშვილის დაცვითი სიტყვის მოთხოვნა და სამუელ სტოლერმანს გამოუტანა გამამართლებელი განაჩენი.

აი ეს განაჩენი:

ქ. თბილისი, 1920 წლის 3—4 მარტი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით თბილისის საგანგებო სასამართლომ სიხლის სამართლის განყოფილებაში შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ა. ა. კარასიოვი

სასამართლოს წევრნი: დ. მ. ტატიშვილი

მ. თ. დიდია.

მდივნის მაგიერ აღმ.: ნ. მ. ავნამატოვი.

ბრალმდებლის ამხანაგის რიუამაძის თანდასწრებით.

მოისმინა რა საჯარო სასამართლოს სხდომაზე საქმე სამოელ ალექსანდრეს-ძე სტოლერმანისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1451 მუხლის პირველი ნაწილით აღნიშნული დანაშაული ედება ბრალად, დაადგინა: ცნობილი იქნეს, რომ სამართალში მიცემულმა სამოელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანმა, 45 წლისამ, 1920 წლის 15 იანვარს ქ. თბილისში, თავის ბინაში, რევოლვერის ორი ტყვიის გასროლით მოჰკლა თავისი მეუღლე ალექსანდრა ფედოტის ასული სტოლერმანი. იღებს რა მხედველობაში სასამართლო, რომ დანაშაული ჩადენილია სულიერი აშლილობის დროს, სასჯელთა დებულების 96 მუხლით გათვალისწინებულია, ასეთი მოქმედებისათვის პირის სიხლის სამართლის პასუხისგებისაგან გათავისუფლება. სამართალში მიცემული სამუელ სტოლერმანი გათავისუფლდეს და გადაეცეს ნათესავებს, ან სხვა სანდო პირებს ზედამხედველობის ქვეშ, რათა აღარ მოხდეს სხვა შემთხვევა მის ცხოვრებაში და მკურნალობისათვის საავადმყოფოს თანახმად სასჯელთა დებულების დანართის მე-4 მუხლისა. ნივთიერი მტკიცება პარტიტურა ოპერისა „აბესალომ და ეთერი“ დაუბრუნდეს ზაქარია ფალიაშვილს, რევოლვერი სამუელ სტოლერმანისა გადაეცეს თბილისის ქალაქის მილიციის უფროსის განკარგულებაში, ხოლო ორი გილზი მოისპოს. სამართალში მიცემული სამოელ სტოლერმანი დანაშაულში წინასწარი განზრახვით თავის ცოლის —ალექსანდრა ფედოტის ასული სტოლერმანის მკვლელობაში სასჯელთა დებულების 771 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ცნობილი იქნეს არაბრალეულად და ჩაითვალოს გამართლებულად.

თავმჯდომარე: კარასიოვი.

სასამართლოს წევრნი: დ. ტატიშვილი.

მ. დიდია.

მკითხველისათვის უთოდ საინტერესოა, თუ როგორ წარიმართა სამუელ სტოლერმანის საქმე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო პალატაში შეტანილ იქნა პრო-

[1] შ. ალექსი-მესხიშვილის ეს სიტყვა პირველად დაიბეჭდა 1961 წელს. (იხ. ვ. ყვანია, ქართველი იურისტები, 1961 წ., გვ. 158—166).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუროორ რიჟამაძის მიერ პროტესტი თბილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის სასამართლოს პალატამ არ დააკმაყოფილა პროკურორის პროტესტი. საინტერესოა პალატის დადგენილება ამის თაობაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით თბილისის სასამართლო პალატამ 1920 წლის 20 აგვისტოს სისხლის სამართლის პალატაში განიხილა საქმე სამოელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანისა და მასზე შემოტანილი პროტესტი.

თავმჯდომარის მაგიერ: ვ. შეიხლი

პალატის წევრნი: ვ. ს. წივწივაძე,

ა. ა. მაჩაბლიშვილი.

მდივანი: ვ. კიკნაძე.

პროკურორის ამხანაგი: ა. ი. ყანჩელი.

მოისმინა მოხსენება საქმისა, სცნო, რომ პროტესტი დატოვებულ უნდა იქნეს უშედეგოდ შემდეგი მოსაზრებით.

სასამართლომ სხდომაზე ექსპერტ-ექიმებთან ერთად გამოიკვლია, რომ ბრალდებული სტოლერმანი ვიდრე თავის ცოლს მოკლავდა და მის შემდეგაც ყოველთვის იყო ჯანმრთელი და ამ მხრივ არ აღძრულა სასამართლოში არავითარი ეჭვი. იქვე სასამართლოში ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მკვლელობა მოხდა პათოლოგიური აფექტის დროს, რომელიც განიცადა სტოლერმანმა. ეს უკანასკნელი გარემოება (პათოლოგიური აფექტი) კი, როგორც წუთიერი და გარდამავალი მოვლენა არ არის საგანი, რომელიც გამოკვლეული იქნეს სასჯელთა დებულების 356 მუხლით.

ამის გამო საქმეს არ შეიძლება მიეცეს მსვლელობა სასჯელთა დებულების 353—355 მუხლების მიხედვით და სასამართლოს დადგენილება უნდა დატოვებული იქნეს ძალაში.

ზემოთაღნიშნულის მიხედვით სასამართლო პალატამ დაადგინა: კერძო პროტესტი 1920 წლის 12 ივლისისა ოლქის სასამართლოს დადგენილებაზე დატოვებული იქნეს უშედეგოდ".

საჭიროდ მივიჩნიეთ აქვე დაგვერთო დოკუმენტები ამ საინტერესო საქმიდან ამოღებული: საბრალდებო აქტი, ზაქარია ფალიაშვილისა და ალექსანდრე წუწუნავას ჩვენებები მიცემული გამოძიებასა და სასამართლოში.

ვ. სიდამონიძე

დოკუმენტები

საბრალდებო აქტი სამუელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანის შესახებ.

1920 წლის 15 იანვარს დილით რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრის ლოტბარმა მოქ. სამოელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანმა თავის ბინაზე ქ. თბილისში, სასამართლოს ქ. № 31, რევოლვერიდან ორი ტყვიის გასროლით მოჰკლა თავისი კანონიერი ცოლი ალექსანდრა ფედოტის ასული სტოლერმანისა. ამ საქმის შესახებ მომხდარ წინასწარ გამოძიების დროს გამოირკვა შემდეგი: ლოტბარმა სამოელ სტოლერმანმა გაიცნო თავისი მომავალი ცოლი ალექსანდრა ციმბირში, სადაც პირველი იღწვოდა, როგორც ლოტბარი და მეორე კი მხოლოდ იწყებდა მსახიობის სასცენო კარიერას. ისინი დაუახლოვდნენ ერთმანეთს და სრულის სიყვარულით ბედნიერნი იყვნენ, ერთ ხანს. ასე განვლო წელიწადნახევარმა, როდესაც ქალმა მოსთხოვა სამოელს მათი შეუღლების დაკანონება, რაც მან აღასრულა და ამისათვის ტომით ებრაელმა მიიღო მართლმადიდებლობა. მაგრამ მალე მათ შორის იჩინა თავი უკმაყოფილებამ და თანდათან დაიწყო რეევა პირვანდელმა სიყვარულმა და ოჯახურმა ბედნიერებამ. ამის მიზეზი იყო მეუღლეთა ხასიათით შეურიგებელი სხვადასხვაობა. ქმარი იყო სუსტი ნების კაცი, წყნარი, ჩუმი, გატაცებული მხოლოდ მუსიკით, იდეალისტი. სრულიად არამცოდნე დღიური ვარამისა და ამასთან ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნითაც სუსტი სათუთი აგებულებისა. ცოლი კი ჯან-ღონით სავსე არსება, ძლიერი ნებით დაჯილდოებული, რომელიც ვერ ითმენდა თავისი სურვილების ვერავითარ წინააღმდეგობას და როგორც ქმართან, ისე ნათესავებთან იჩენდა თავის უხეშ ბუნებას. იგი თხოვდა ქმარს უსიტყვო მორჩილებას, მთელი მისი შემოსავლის სრული გამგე იყო და ქმარს ხშირად რამოდენიმე მანეთიც არა ჰქონდა თავის განკარგულებაში. ალექსანდრა ერეოდა ქმრის სალოტბარო საქმეებში და სამუსიკო მოღვაწეობაში, თუმცა თითქმის არაფერი იცოდა მუსიკისა და ამ ნიადაგზე თითქმის ყოველ ჟამს უტეხავდა მას ჩხუბს და კიდეც ურტყამდა, ხშირად გარეშე პირების თანდასწრებით ლანძღავდა, ეძახდა „უიდს“, „იდიოტს“ და სხვ. მაგ. ესენტუკის ბარეში ორკესტრის თანდასწრებით დიდი ჩხუბი გაუმართა ქმარს და ქოლგით ხელში გამოუდგა გასალახავად. სტოლერმანი მუსიკაში პოულობდა არამარტო ცხოვრების სახსარს, არამედ ხელოვნების უანგარო და უმაღლეს ესთეტიკურ სიტკბოებას, ცოლი კი მხოლოდ ფულზე ფიქრობდა და აიძულებდა მას მისდაუნებურად მოეთხოვა ჯილდოს მომატება და ცხელ ზაფხულში აგარაკიდან ძალით ისტუმრებდა ქმარს თბილისს კონცერტების გამართვით ფულის საშოვნელად; არეცხინებდა ღამე დაღლილ ლოტბარს იატაკს და სხვა. ამგვარად სამოელ სტოლერმანის გულში თანდათანობით ნელდებოდა ცოლის სიყვარული და თავს იჩენდა სრულიად საწინააღმდეგო გრძნობა. ორი წლის წინათ სტოლერმანი ჩამოდის თბილისს და სახელმწიფო თეატრში იკავებს პირველ ლოტბარის ადგილს. მისი აქ ჩამოხვლა დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას და ამასთან აღორძინებას ქართული მუსიკისა. ლოტბარი ყურადღებით ეკიდება ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერს“, დიდ შრომას ეწევა დოლიძის კომიკური ოპერის „ქეთო და კოტეზე“. მალე იგი აპირებდა „აბესალომის“ ლოტბარობას, მაგრამ ამის წინააღმდეგ ნამდვილი ომი გამოუცხადა მეუღლემ. მან შეიძულა ეს ქართული ნაწარმოები, უკრძალავდა მას მათ შესწავლას, ეძახდა მათ სისაძაგლეს და „მხეცურ ოპერებს“. ერთხელ კიდევაც უთხრა ქმარს: „თუ არ წაიღებ ბინიდან „აბესალომის“ პარტიტურას, დავხევო. რაზედაც, ლოტბარი დაემუქრა „თუ დახევ, მოგკლავო“.

1919 წლის ბოლოს სახელმწიფო თეატრს ეწვია მომღერალი ქალი კოშიცი და უღონობის გამო თავისას მოიპატიჟა ლოტბარი სტოლერმანი, საოპერო პარტიის გასამეორებლად, რაიც არ მოეწონა სტოლერმანის ცოლს და ნება არ მისცა ქმარს კოშიცთან წასვლისა. ამის გამო 29 დეკემბერს კოშიცის მონაწილეობით დადგმულ ოპერა „პიკის ქალს“ ლოტბარობდა სტოლერმანის მაგიერ ლოტბარი კორშონი, რაც წარმოდგენის დაწყებამდე სცენიდან გამოცხადებული იყო. ამ დროს პარტერიდან სტოლერმანის ცოლმა ხმამაღლა უწოდა მსახიობ კოშიცის ქალს „ინტრიგანკა“. ამ შემთხვევამ დიდად აწყენინა და აღაშფოთა ლოტბარი სტოლერმანი.

შემდეგ, 1920 წ. 14 იანვარს იმავე თეატრში, სტოლერმანი ლოტბარობდა მსახიობ ზალიპსკის საბენეფისოდ დადგმულ ოპერა „ფრა-დიავოლოს“, რომლის შემდეგ ცოლმა ალექსანდრამ დიდი ჩხუბი გაუმართა შინ სტოლერმანს, იმის ნიადაგზე, რომ ყველანი ბენეფისებს მართავენ, დიდძალ ფულს იღებენ, და მის ქმარს არ შეუძლია ამის მოწყობა და სხვ. ამ ჩხუბის დროს ცოლმა ლოტბარს დაუკაწრა ხელები, გამოუგდო ბალიში საწოლი ოთახიდან მისაღებ ოთახში და თვითონ დაწვა დასაძინებლად. ლოტბარს ძილი არ მოსდიოდა, ის კვლავ შეურაცხყოფილი და დამცირებული თავის ფიქრებს მიეცა. მან დიდი ხანი არ იყო, რაც გადაიხადა თავისი დაქორწინების 15 წლისთავი, იმედი ჰქონდა მისი ოჯახური ცხოვრება და დამოკიდებულება ცოლთან ახლა მაინც გამოსწორდებოდა, მაგრამ ამ მხრივ ვერავითარ ცვლილებას ვერ ხედავდა. მას თან ჰქონდა „სმიტ-ვესონის“ რევოლვერი გატენილი ტყვიებით, რომელიც რამდენიმე დღის წინ ცოლის დასწრებით ამოიღო თეთრეულიდან და თან ატარებდა. იმ ღამეს მან გადასწყვიტა ან თავი მოეკლა ან ცოლი, რომ როგორმე გაეთავებინა თავისი კოშმარული ყოფა. მას სულ ცოცხლად წარმოუდგა 15 წლის განმავლობაში ცოლისაგან მიღებული დამცირება და შეურაცხყოფა და ბოლმაც მოაწვა გულზე. ამ ფიქრებში გაუხდელს ჩაეძინა. დილით ადრე გამოღვიძებულმა მოინდომა ცოლის ძილით ესარგებლა და გადაშალა „აბესალომი“, რომელშიაც აღმოაჩინა რამდენიმე ფურცელი დახეული, რამაც მისი ცოლისადმი სიძულვილის უკანასკნელი აფეთქება მისცა. ლოტბარმა ორი ტყვია ესროლა მძინარე ცოლს და იქვე მოჰკლა, რის შემდეგ გადააფარა მოკლულს თავზე საბანი და გავიდა მისაღებ ოთახში, სადაც კარგახანს იყო, სანამ მერძევეს კაკუნმა არ გამოარკვია. იგი მივიდა მოკლულის გვამთან, ამოიღო მისი საფულედან ასი თუმანი ფული, დასტოვა შინ რევოლვერი, დაკეტა კარები და გავიდა ქუჩაში, სადაც უამბო ყოველივე შემთხვევით ქუჩაში ნახულ კომპოზიტორ ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილს და უკანასკნელმა წაიყვანა სტოლერმანი სახელმწიფო თეატრის კომისარ წუწუნავასთან, რომელმაც სათანადო მთავრობას აცნობა მკვლელობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინაზე იპოვეს ლოგინში ქვედა საცვლებში გვამი სტოლერმანის მეუღლისა და „სმიტ-ვესონის“ სისტემის რევოლვერი ორი ახლად გასროლილი ტყვიის გილზით. მოკლულისათვის შედგენილ საექიმო ოქმიდან სჩანს, რომ ალექსანდრა ფედოტის ასული სტოლერმანის გვამს აღმოაჩნდა სარქველზე ორი შესასვლელი ჭრილობა, მარცხენა საფეთქლის იმავე შუბლის ძვლებზე, ხოლო გამოსავალი ჭრილობა არ იყო, რის გამო ზედა ძვლები თავის ქალისა აღებული და შიგ ტვინიდან ამოიღეს ორი პატარა, მოხაზულობის დაკარგული ტყვია. ექიმის დასკვნით ალექსანდრა სტოლერმანისა გარდაცვლილა ტყვიის მფრქვეველ იარაღიდან ორჯერ ნასროლი ტყვიით და მისგან გამოწვეული თავის ტვინის დაზიანებისაგან. (ს. ფ. 10—21, 26—35, 37—44, 50—57 და 71—73).

ზემოაღნიშნულის გამო პასუხისგებაში მიცემულმან თავის ცოლის ალექსანდრას წინასწარ განზრახვით მოკვლისათვის სამოელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანმა არ იცნო თავი დამნაშავედ მისადმი წამოყენებულ ბრალდებაში და აღიარა, რომ, თუმცა ის არ უარყოფს, რევოლვერის ორი ტყვიით რომ მოკლა თავისი ცოლი, მაგრამ ის თავს არ თვლის ბოროტმოქმედების ჩამდენად, რადგან სხვა გამოსავალი არა ჰქონდა მას და, ასეთ ბოლომდე მიიყვანა იგი 15 წლის განმავლობაში ცოლის მხრიდან დაუბოლოვებელმა შეურაცხყოფამ და მისი ადამიანობის დამცირებამ. (ს. ფ. 82-87)“.

ამისდამიხედვით მოქ. სამუელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანს, 45 წლისას ბრალი ედება მასზედ, რომ განიზრახა რა წინასწარ თავისი კანონიერ ცოლის ალექსანდრა ფედოტის ასული სტოლერმანის მოკვლა, ამ მიზნით დილით 15 იანვარს 1920 წელს ქ. თბილისში, თავის ბინაზე, სასამართლოს ქ. № 31, ტყვიით გატენილი რევოლვერიდან თავის მძინარე ცოლს ესროლა ორი ტყვია, რამაც მიაყენა მას მომაკვდინებელი ჭრილობები თავის ქალისა, რომელსაც მოჰყვა ტვინის დაზიანება და უეცარი სიკვდილი ალექსანდრა სტოლერმანისა.

ეს ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების 1451 მუხლის პირველი ნაწილით, რის გამო და დრ. საგანგებო სასამართლოს დებულების ძალით აქ აღნიშნული სამოელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანი გასამართლებულია თბილისის საგანგებო დროებით სასამართლოს მიერ.

შედგენილია ქალ. თბილისში 17 თებერვალს 1920 წ.

პროკურორის ამხანაგი ა. არსენიშვილი.

დაკითხვის ოქმი

1920 წლის 16 იანვარს, მე თბილისის მეორე უბნის სასამართლო გამომძიებელმა დავკითხე ქვემოთ დასახელებული პირი მოწმის სახით სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების 443 მუხლის დაცვით და მან უჩვენა:

ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი, 47 წლის, კათოლიკი, კონსერვატორიის პროფესორი, ინსპექტორი, მცხ. თბილისი, აგურის შესახვევი, სახლი № 10.

გუშინ დილით დაახლოებით 11 საათზე მე შევდიოდი რუსთაველის პროსპექტით სახლში. თან მიმქონდა ნოტები, საკმაოდ ბევრი და მძიმე. ყოფილი რაიონული ფოსტის პირდაპირ შევხვდი სტოლერმანს, რომელსაც ჰქონდა გასაცარი სახე ჩვეულებრისამებრ ჩაწითლებული თვალები. მას უნდოდა გრიბოედოვის ქუჩაზე ასვლა. როგორც კი დამინახა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: გუშინ გვიან ღამით მოუვიდა შესლა-შემოხლა მეუღლესთან და დილით მან იგი მოკლა. განცვიფრებულმა შევეკითხე, თუ როგორ მოხდა ეს. მან მიამბო, მკვლელობამდე გვიან ღამით თეატრში ზალიპსკის ბენეფისიდან დაბრუნებისას, მეუღლე საყვედურებით თავს დაესხა და უთხრა: აი შე საზიზღარო ურია, არ შეგიძლია ცხოვრების აწყობა. ხედავ როგორი ბენეფისი მოიწყო ურია ზალიპსკიმ, ხვალვე წახვალ სათხოვნელად, რომ მოგიმატონ ჯამაგირი. თუ არა და ნუ მოხვალ სახლში. მას დაუწყია ცოლის დაშოშმინება და ეუბნებოდა, რომ მისი ბენეფისი ჯერ არ ყოფილა და როცა იქნება ასეთი, ზალიპსკის ბენეფისზე ნაკლები არ იქნება. ამ ლაპარაკის დროს მან დაინახა მაგიდაზე ჩემი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა და სთქვა, რომ თუ იგი არ მოაშორებს მას, იგი დაფხრეწავს. ამაზე უპასუხა: თუ იგი დახევს პარტიტურას, იგი გამოესალმება სიცოცხლეს. მას შემდეგ, რაც ცოლი დაწვა. დასაძინებლად, იგი დიდხანს იჯდა სავარძელში ნერვებ მოშლილი. დაწვა იგი ძალიან გვიან. დილაადრიან, როცა გაიღვიძა და ნახა, რომ პარტიტურა დახეული იყო, თავდავიწყებულმა ესროლა მას რევოლვერი და მკვლელობის შემდეგ გამოვიდა სახლიდან, რათა მე ვენახე. კონსერვატორიაში რომ ვერ მიპოვნა, იგი წავიდა თეატრის ექიმის გოლდმანის საძებნელად, რომელიც აგრეთვე ვერ ნახა. ჩემს შეკითხვაზე, გაიგო თუ არა ვინმე მეზობლებიდან, როგორ მოკლა მან თავისი ცოლი, სტოლერმანმა მიპასუხა: არავის არ გაუგია, რადგან, როგორც ჩანს სახლის პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონი სახლში არ იყო. ჩემს კითხვაზე, თუ სად მიდის იგი, მიპასუხა, რომ სახლში მივდივარო. მაშინ მე შევთავაზე წასულიყო თეატრში და მკვლელობის თაობაზე ეცნობებინა თეატრის კომისრისათვის. მას არ უნდოდა წასვლა და ამბობდა, რომ კომისარს ალბათ ჯერ კიდევ ეძინებაო, მაგრამ მე იგი მაინც წავიყვანე თეატრში. ვკითხე, თან აქვს თუ არა რევოლვერი, სტოლერნმანმა მიპასუხა, მგონი სახლში დავტოვეო. თეატრში იგი დავტოვე გურიჩის მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო მე გავაღვიძე წუწუნავა და ვაცნობე მომხდარი ამბავი. სტოლერმანმა წუწუნავას იგივე უამბო ცოლის მკვლელობაზე, რაც მე მიამბო. მოყოლის დროს იგი სულ ტიროდა. სტოლერმანმა ჩემზე დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი ამბობდა გულწრფელად და სიმართლეს, რაც შეეხება ჩემს ოპერას „აბესალომ და ეთერს", თეატრის დირექტორმა მართლაც დაავალა სტოლერმანს ამ ოპერის დირიჟორობა, როგორც მთავარ და საუკეთესო დირიჟორს, ექიმების რჩევით მე უნდა გავმგზავრებულიყავი დასასვენებლად და ოპერა გადაეცა სტოლერმანს. ეს უკანასკნელი გატაცებით შეუდგა ოპერის შესწავლას ჩემი ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს შესწავლა ჩემთვის იყო მხოლოდ ტანჯვა და ნერვების მოშლა. სტოლერმანი რაღაც უცნაურად იქცეოდა. მანიშნებდა, რომ ის დაკავებულია გაკვეთილებით და ხან იმიზეზებდა ცოლს, იგი ამბობდა, რომ ცოლი უფლებას არ აძლევს უდირიჟოროს ქართულ ოპერებს, ყრის პარტიტურებს იატაკზე და ფეხით თელავს. ეს მან მითხრა შაბათს 22 ან 23 დეკემბერს. ეს მე მანერვიულებდა, რადგან ყოვნდებოდა ოპერის შესწავლა და მე არ შემეძლო გამგზავრება. თავდაპირველად მე მეჩვენებოდა, რომ სტოლერმანს უნდოდა ჩემგან მიეღო გასამრჯელო, მაგრამ მე პრინციპულად გადავწყვიტე არ მიმეცა არც ერთი კაპიკი და ამის თაობაზე განვუცხადე დირექციას. და ბოლოს 7 იანვარს, შობას, იგი არ მოვიდა გაკვეთილზე და გამოცხადდა მარტო იმიტომ, რომ ეთქვა, რომ ცოლმა განუცხადა: შობას გაკვეთილზე არ გაგიშვებო. ასე დაიკარგა მთელი დღე.

ცოლი მას თეატრში არ უშვებდა იმ დღეებშიც, როცა მე ვდირიჟორობდი ოპერას და ვთხოვდი მას მოსულიყო და თვალყური ედევნებინა ჩემი დირიჟორობისათვის. და ბოლოს გუშინ, ე. ი. 14 იანვარს, ის იყო რეპეტიციაზე და განაცხადა, რომ იგი უნდა წავიდეს ზუსტად ორ საათზე. მაგრამ ისე გაიტაცა ოპერამ, რომ დააგვიანა სახლში მისვლა. მეორე დღეს სტოლერმანი თეატრში დანაღვლიანებული მოვიდა. მე მივხვდი, რომ ამის მიზეზი ცოლი უნდა ყოფილიყო. აღმოჩნდა, რომ სახლში დაგვიანებით მისვლის გამო, ცოლმა უსადილოდ დატოვა და თეატრში მშიერი მოვიდა ზალიპსკის ბენეფისზე ოპერის სადირიჟოროდ.

სტოლერმანის ცოლის მიერ დახეული პარტიტურა მე ვნახე. დახეულია ის ფურცლები, რომელიც იმ დროს არ იყო საჭირო ოპერისათვის, რადგან მთელი აქტი არ მიდიოდა, არამედ მხოლოდ ერთი რომანსი. ასე რომ სტოლერმანის ცოლს დაუხევია ამ აქტის პირველი ფურცლები და მე ძალიან ვინანღვლე, როცა გავიგე, რომ ჩემი ოპერის პარტიტურა დახეულა, მაგრამ იმავე დროს ბედნიერიც ვიყავი, რომ მან არ დაწვა პარტიტურა, თუმცა ოპერის შესრულების დროს სტოლერმანის ლაპარაკის შემდეგ მე ამას ველოდი. ჩემთვის ოპერა „აბესალომ და ეთერის" ერთადერთი ხელნაწერი პარტიტურის განადგურება იქნებოდა საშინელი უბედურება. ეს იქნებოდა საყვარელი პირმშოს დაკარგვის თანაბარი რამ. მე მომიხდებოდა დიდზე — დიდი სამუშაოს ჩატარება პარტიტურის აღსადგენად.

პირადად მე ქალბატონ სტოლერმანს არ ვიცნობდი. ჩვენ ვხვდებოდით თეატრში და აგარაკ წაღვერში. ოპერა „აბესალომ და ეთერზე" არავითარი საუბარი არა მქონია.

წაღვერში მე არაფერი არ გამგია სტოლერმანთა ოჯახის არსებულ უთანხმოების შესახებ. ამის თაობაზე მე გავიგე მხოლოდ სტოლერმანიდან ოპერა „აბესალომ და ეთერის" შესწავლის დროს. სტოლერმანს ვიცნობ სამი წელიწადია. იგი არის მშვიდი, თავდაბალი ადამიანი, არ არის ინტრიგანი, რაც შეეხება მის მეუღლეზე — ხშირად მომისმენია, რომ მას მძიმე ხასიათი აქვს. ბევრი თეატრალებისაგან გამიგონია, რომ იგი სტანჯავს ქმარს და უფროსობს მასზე, ე. ი. მას არ აძლევს უფლებას უდირიჟოროს ამა თუ იმ ოპერას, ძირითადად ქართულ ოპერებს.

წავიკითხე: ზაქარია ფალიაშვილი,

სასამართლოს გამომძიებელი — ხელმოწერა.

დაკითხვის ოქმი

ალექსანდრე რაჟდენის ძე წუწუნავა, 39 წლის, მართლმადიდებელი, სახელმწიფო თეატრის კომისარი, მცხოვრები თეატრში რუსთაველის პროსპექტი.

დღეს, დაახლოებით დილის ათ ან თერთმეტ საათზე ჩემთან დაკაკუნა ფალიაშვილმა. შემოსვლისას მან მითხრა, რომ მოხდა უბედურება. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა მოხდა, ფალია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილმა მიპასუხა, რომ სტოლერმანმა მოჰკლა თავისი ცოლი და ის იმყოფება აქვე თეატრში, მე ვთხოვე მოეხმო სტოლერმანისთვის, რომელმაც მიამბო, რომ მას გუშინ ცოლთან მოუვიდა უსიამოვნება, მეუღლემ უწოდა მას ურია და უთხრა, რომ არ შეუძლია კარგად მოწყობა, სხვები აწყობენ თავიანთთვის მშვენიერ ბენეფისებს და მანაც უნდა მოითხოვოს თავისათვის ბენეფისი, გუშინ საღამოს იყო ზალიპსკის ბენეფისი. სტოლერმანის სიტყვით, ჩხუბის შემდეგ მთელი ღამე არ ეძინა, დილით კი გაიგო, რომ ცოლმა დახია რამდენიმე ფურცელი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა, ამით აღშფოთებულმა, მან სტაცა ხელი რევოლვერს და ორჯერ ესროლა ცოლს თავში, რომელიც მისი სიტყვებით მისკენ ზურგით იწვა. ჩემს შეკითხვაზე, ეძინა თუ არა ცოლს გასროლის დროს, სტოლერმანმა მიპასუხა, რომ მან ეს ვერ შეამჩნია, ფალიაშვილმა სთქვა, რომ მას, ე. ი. სტოლერმანს, ჯიბეში რევოლვერი აქვს და უნდა თავი მოიკლას, მე მოვითხოვე, რომ მას რევოლვერი მოეცა ჩემთვის, მაგრამ სტოლერმანმა მიპასუხა, რომ რევოლვერი თან არა აქვს, მე მაინც გავჩხრიკე იგი და მართლაც მას არ ჰქონდა რევოლვერი. მკვლელობის შესახებ მე დაუყოვნებლივ ვაცნობე იუსტიციის მინისტრს. დანარჩენი თქვენთვის ცნობილია. რასაც სტოლერმანი ამბობდა მკვლელობის შესახებ, ის ძლიერ ღელავდა და ტიროდა, გაქცევა და მიმალვა არ უცდია. მე ახლოს ვიცნობდი ქალბატონ სტოლერმანს, მაგრამ მათ ურთიერთობაზე მე ცოტაოდენი ვიცი ჩვენი თეატრალური ცხოვრების ფაქტებიდან და სხვა პირთა ნაამბობიდან.

შემიძლია ვთქვა, რომ ცოლის ზეგავლენით, სტოლერმანი არ ასრულებდა თავის სიტყვას. არაერთხელ წამოუყენებია მოთხოვნა ჯამაგირის გადიდების შესახებ, თვით ცოლი არ ფარავდა, რომ ის მისი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, იგი ამას ამბობდა გუნდის მომღერალთა და არტისტთა შორის ჩვენი თეატრის სკვერში.

სტოლერმანს დავალებული ჰქონდა მუშაობა დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ ორკესტრზე. სტოლერმანმა მოითხოვა ამ სამუშაოსათვის სამი ათასი მანეთი. ჩვენ ამან უსიამოვნოთ განგვაცვიფრა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოგვიხდა დათანხმება. სტოლერმანის სიტყვებიდან ჩემთვის ცნობილია, რომ მან ეს გააკეთა ცოლის ზეგავლენით, რომელმაც სანამ არ მიიღო დოლიძისაგან ხელწერილი, რომ იგი გადაიხდის 3000 მანეთს, არ მისცა ქმარს უფლება შესდგომოდა მუშაობას. ცოლის ზეგავლენით სტოლერმანმა წამოაყენა მოთხოვნა, რომ ის იდირიჟორებს თვეში 12-ჯერ, ისევე, როგორც ექნება ამის შესაძლებლობა პრემიერებს არტისტებიდან. ამ პირობებს ჩვენ არ დავთანხმდით და მაშინ მე კატეგორიულად განვუცხადე სტოლერმანს, რომ მას მიეღო გადამწყვეტი ზომები და აღარ მიეცა ცოლისათვის უფლება ჩარეულიყო მის საქმეში, თეატრთან ურთიერთობაში.

სტოლერმანის ცოლთან მოხდა რამდენიმე ინციდენტი თეატრში, მე გავეცი განკარგულება, რომ კულისებში არ გაეშვათ არავინ, გარდა იმ პირთა, რომელთაც აქვთ უშუალო ურთიერთობა სცენასთან. ქალბატონ სტოლერმანს როგორღაც უნდოდა სცენაზე გასულიყო. კაპელდინერმა იგი არ გაუშვა, მაშინ მან ისეთი ძალით ჰკრა ხელი კაპელდინერს, რომ იგი ამის შემდეგ ცუდად გახდა. იყო ასეთი შემთხვევაც: მან დაიკავა ვიღაცის ადგილი, როცა მოვიდა პირი, რომელსაც ამ ადგილის ბილეთი ჰქონდა, ნაყიდი, მან განუცხადა, რომ არ ადგება. სანამ არ დაუდგამენ სხვა სკამს, როცა ბაქოდან ჩამოვიდა არტისტი კოშიცი, მან სთხოვა სტოლერმანს მისულიყო მასთან ბინაზე, პარტიის სარეპეტიციოდ, სტოლერმანის ცოლმა დაინახა, რომ იგი მიდის ეტლით, აიძულა ის ჩამოსულიყო და არ გაუშვა კოშიცთან. შემდეგ, როცა კოშიცი ავად გახდა, მან კვლავ სთხოვა სტოლერმანს მისულიყო მასთან, მაგრამ იგი არ მივიდა, რადგან ცოლმა არ გაუშვა. ამის შედეგი იყო შემთხვევა სპექტაკლის დღეს. როცა გახდა ცნობილი, რომ სტოლერმანის მაგივრად იდირიჟორებს კორშონი, ქალბატონმა სტოლერმანმა დაუყვირა საზოგადოებას, რომ ეს არის კოშიცის ინტრიგების შედეგი. ამ დროს მე არ ვიყავი თეატრში, მაგრამ ამის შესახებ მაცნობა სერგი ევლახიშვილმა. მე მაშინვე მივედი თეატრში და დერეფანში შევხვდი ქალბატონ სტოლერმანს. მე მას ვუთხარი, რომ ასეთი მოქცევა სახელმწიფო დაწესებულებებში უხერხულია, ამაზე მან მიპასუხა — მე ვიცი, რასაც ვაკეთებ, პარლამენტშიც ესვრიან ერთმანეთს სკამებს. თვითონ სტოლერმანმა სთხოვა ექიმ გოლდმანს გაეყვანა მისი ცოლი თეატრიდან. შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, მე როგორც მახსოვს, მან ასე სთქვა: ტყვიით, ტყვიით, მე მოვითხოვე, რომ უფროს მილიციონერს შეედგინა ოქმი ქალბატონ სტოლერმანის მიერ წესრიგის დარღვევის შესახებ დაწესებულებაში. რა გზით წავიდა ეს ყველაფერი შემდეგ, ჩემთვის უცნობია.

ქალბატონი სტოლერმანი რატომღაც მტრულად იყო განწყობილი ქართულ ოპერებისადმი. განსაკუთრებულ მტრულ დამოკიდებულებას ავლენდა იგი ოპერა „აბესალომ და ეთერისადმი“. ფალიაშვილის თხოვნით სტოლერმანს დაევალა ამ ოპერის დირიჟორობა, მაგრამ ცოლი არ აძლევდა ამის საშუალებას, არ აძლევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებას შეესწავლა ოპერა, რაც თვითონ ქალბატონ სტოლერმანს უთქვამს ჩემთვის. ოპერა „ქეთო და კოტეს“ მაგიდაზე დადების უფლებას არ იძლეოდა, არამედ ძალას ატანდა შეეგდო მაგიდის ქვეშ, და თან ამბობდა, რომ ასეთი ნაგავის ადგილი მაგიდაზე არ არისო. ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ამოხია ფურცელი, ესეც თვითონ ქალბატონ სტოლერმანის მოყოლით ვიცით. ქალბატონი სტოლერმანი რომ წინააღმდეგი იყო, სტოლერმანს ედირიჟორა ოპერა „აბესალომ და ეთერისათვის“, ამაში მე დავრწმუნდი არტისტ ალჩევსკაიასთან სადილზე. სადილზე იყვნენ: ევლახიშვილი, კოშიცი, და სტოლერმანის ცოლი. როცა საუბარში მე ვუთხარი მას, რომ ჩვენ „აბესალომ და ეთერის“ დირიჟორობა დავავალეთ მის მეუღლეს, იგი წინააღმდეგი წავიდა და სთქვა, რომ მისი ქმარი ამას ვერ შესძლებს, რადგან ოპერა მძიმეა და სხვა ამისთანები. თვითონ სტოლერმანი სადილზე არ ყოფილა. იგრძნობოდა, რომ ოპერისადმი „აბესალომ და ეთერი“ მტრული დამოკიდებულება გამოწვეული იყო ნაწილობრივ იმით, რომ აეძულებინა ქმარი მიეღო ფული თეატრის დირექციისაგან. მთავარი კი იყო სიძულვილი ქართული ოპერისადმი.

კოშიცთან ინციდენტის შემდეგ მე გავეცი განკარგულება, არ შეეშვათ ქალბატონი სტოლერმანი თეატრში, მაგრამ ერთხელ ის მოვიდა ხალამოს თეატრში და განაცხადა, თითქოს მე მივეცი ამის უფლება, რაც არ იყო სწორი.

როცა გავიგე ამის შესახებ, მე ამ საკითხს გვერდი ავუარე, რადგან არ მინდოდა მიმეყენებინა უსიამოვნება მისი ქმრისათვის, რადგან მეგონა, რომ იგი მოვიდა თეატრში ქმრის სურვილით. სტოლერმანის ყველა მოქმედებიდან სჩანდა, რომ ის იმყოფებოდა ცოლის ზეგავლენის ქვეშ და დათრგუნვილი იყო ცოლის მბრძანებლური ხასიათით, მისი ცოლის მიერ ჩვენს თეატრის საქმეებში ჩარევის შესახებ მე არაერთხელ მოვახსენე განათლების მინისტრს და სათათბირო კრების წევრს, ამჟამად იუსტიციის მინისტრს არსენიძეს და ვთხოვე გაემიჯნათ თეატრი მისი ჩარევისაგან. მე თბილისიდან მისი გასახლების საკითხიც კი წამოვაყენე, მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებლად არა ცნეს.

ჩვენ ხუმრობით ვეუბნებოდით სტოლერმანს, რომ ის გაყროდა ცოლს. ის თვლიდა ამას შეუძლებლად, გვარწმუნებდა, რომ ცოლი ვას ყველგან მოსძებნიდა, თვით თვითმფრინავით მოფრინდებოდა და მაშინ მისთვის უფრო ცუდი იქნებოდა. ერთი სიტყვით მინდა ვთქვა, რომ თვით სტოლერმანი ყველაში იწვევდა სიმპატიებს, მისი ცოლი კი, პირიქით, მის შესახებ გვიხდებოდა ყოველთვის ცუდის მოსმენა.

წავიკითხე — ალექსანდრე წუწუნავა: ხელმოწერილია.

სასამართლოს გამომძიებელი: ხელმოწერილია.

ოფიციალური ფასი

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1972 წლის 1 აპრილიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 9 დეკემბერი.

კარი I

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობა

თავი პირველი

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობა

მუხლი 1. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის ამოცანები

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის ამოცანაა უზრუნველყოს სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულება ისე, რომ ეს იყოს არა მარტო დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იგი აგრეთვე ასწორებდეს და ხელახლა ზრდიდეს მსჯავრდებულებს შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, არიდებდეს ახალ დანაშაულს როგორც მსჯავრდებულებს, ისე სხვა პირებს, აგრეთვე ხელს უწყობდეს დამნაშავეობის აღმოფხვრას.

სასჯელის აღსრულება მიზნად არ ისახავს ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების შელახვას.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობა შედგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ პრინციპებს და ადგენენ სასამართლოს მიერ დანიშნული სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებისა და მოხდის ზოგად დებულებას. სსრ კავშირის სხვა კანონებისაგან, აგრეთვე ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ სხვა კანონებისაგან.

სასჯელის მოხდისა და იმ პირთა მიმართ შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების წესსა და პირობებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება ან გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, აგრეთვე ამ სახის სასჯელების აღმასრულებელ დაწესებულებათა და ორგანოთა საქმიანობის და მსჯავრდებულების გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობით წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლები, სსრ კავშირის სხვა კანონები, აგრეთვე ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სხვა კანონები.

იმ პირთა მიერ სასჯელის მოხდის წესსა და პირობებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, აწესებს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

სხვა სახის სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებისა და მოხდის წესსა და პირობებს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 3. შრომა-გასწორების კანონმდებლობის გამოყენება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის შესაბამისად იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად და სასჯელს იხდიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მიუხედავად მათი მსჯავრდების ადგილისა, იყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობას, ხოლო იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ სხვა სახის სასჯელი, — სსრ კავშირის შრომა-გასწორების კანონმდებლობას, აგრეთვე მსჯავრდების ადგილის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის შრომა-გასწორების კანონმდებლობას.

მუხლი 4. სასჯელის მოხდის საფუძველი

სისხლის სამართლის სასჯელის მოხდისა და მსჯავრდებულის მიმართ შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების საფუძველია მხოლოდ სასამართლოს განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული.

კარი II

თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის აღსრულების ზოგადი დებულებანი

თავი მეორე

თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის აღსრულების ზოგადი დებულებანი

მუხლი 5. დაწესებულებები და ორგანოები, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოების განაჩენებს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების მე-5 მუხლის შესაბამისად სასამართლოების განაჩენებს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ აღასრულებენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებები და ორგანოები.

შრომა-გასწორების დაწესებულებებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქმნიან და აუქმებენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შრომა-გასწორების დაწესებულებები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით.

მუხლი 6. სასჯელის მოხდის ადგილები

შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის შესაბამისად:

ის პირნი, რომელთაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, თუ დაპატიმრებამდე ცხოვრობდნენ ან მსაჯავრდებული იყვნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, სასჯელს, როგორც წესი, იხდიან საქართველოს სსრ ფარგლებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მსჯავრდებულთა უფრო წარმატებით გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მიზნით, ისინი სასჯელის მოსახდელად შეიძლება გაიგზავნოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის შრომა-გასწორების დაწესებულებებში;

ის პირნი, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, მსჯავრდებულნი, რომლებსაც სიკვდილით დასჯის განაჩენი პატიებისა თუ ამნისტიის წესით შეუცვალეს თავისუფლების აღკვეთით, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი, აგრეთვე მსჯავრდებული უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირნი, სასჯელის მოსახდელად იგზავნებიან იმ შრომა-გასწორების დაწესებულებებში, რომლებიც განკუთვნილია ამ კატეგორიის მსჯავრდებულთათვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მოკავშირე რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ ისინი დაპატიმრებამდე ან სად იყვნენ მსჯავრდებულნი;

ქალები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, ის პირნი, რომლებსაც სჭირდებათ სპეციალური მკურნალობა. და არასრულწლოვანი, თუ საქართველოს სს რესპუბლიკაში არ არის შესაბამისი შრომა-გასწორების დაწესებულება, სასჯელის მოსახდელად შეიძლება გაიგზავნონ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებაში;

საქართველოს სს რესპუბლიკის იმ ადგილების ნუსხას, სადაც სასჯელს იხდიან გადასახლებით მსჯავრდებულნი, აგრეთვე იმ ადგილების ნუსხას, სადაც ეკრძალებათ ცხოვრება გასახლებით მსჯავრდებულ პირთ, ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულნი სასჯელს იხდიან მუშაობის ადგილას ან სხვა ადგილას მათ საცხოვრებელ რაიონში.

მუხლი 7. მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის ძირითადი საშუალებანი

მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდის ძირითადი საშუალებებია: სასჯელის მოხდის რეჟიმი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ--ტექნიკური სწავლება.

გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საშუალებანი გამოყენებული უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, მსჯავრდებულის პიროვნების, აგრეთვე მსჯავრდებულის ყოფაქცევისა და შრომისადმი მისი დამოკიდებულების გათვალისწინებით.

მუხლი 8. იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით

იმ პირთ, რომლებიც იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით, ეკისრებათ მოვალეობანი და სარგებლობენ იმ უფლებებით, რაც სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის დადგენილია კანონმდებლობით, მაგრამ იმ შეზღუდვებით, რაც მსჯავრდებულთათვის გათვალისწინებულია კანონმდებლობით, აგრეთვე შეზღუდვებით, რომლებიც გამომდინარეობს სასამართლოს განაჩენიდან და იმ რეჟიმიდან, რომელიც ამ სახის სასჯელის მოხდისათვის დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებით და ამ კოდექსით.

იმ უცხოელებისა და მოქალაქეობის არამქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით, განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით, რომლითაც დადგენილია ამ პირთა უფლებები და მოვალეობანი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მათი ყოფნის დროს იმ შეზღუდვებით, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია მსჯავრდებულთათვის, აგრეთვე რაც გამომდინარეობს სასამართლოს განაჩენიდან და იმ რეჟიმიდან, რომელიც ამ სახის სასჯელის მოხდისათვის დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებით და ამ კოდექსით.

მუხლი 9. საზოგადოებრიობის მონაწილეობა მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღმზრდაში.

მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში, აგრეთვე იმ დაწესებულებათა და ორგანოთა საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოთა შესახებ, მონაწილეობს საზოგადოებრიობა.

მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმასა და წესს ადგენს ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 10. კანონების დაცვა სასჯელის აღსრულების დროს

იმ შრომა-გასწორების დაწესებულებებისა და ორგანოების მთელი საქმიანობა, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით, დამყარებულია კანონების მკაცრ დაცვაზე. ამ დაწესებულებებისა და ორგანოების თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათს საქმიანობაში კანონიერების უზრუნველყოფისათვის.

პირნი, რომლებიც სასჯელს იხდიან, მოვალენი არიან განუხრელად დაიცვან კანონთა მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ მათთვის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების წესსა და პირობებს.

მუხლი 11. საპროკურორო ზედამხედველობა სასჯელის აღსრულებაზე

თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ განაჩენების აღსრულებისას კანონების ზუსტად დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, საქართველოს სსრ პროკურორი და მათი ხელქვეითი პროკურორები სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების შესაბამისად. სახელმწიფოს სახელით კანონიერების დაცვაზე უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურორი მოვალეა დროზე მიიღოს ზომები კანონის ყოველგვარი დარღვევის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან მომდინარეობს ეს დარღვევები, და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი.

შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაცია და ორგანოები, რომლებიც აღასრულებენ სასამართლოს განაჩენს გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ, მოვალენი არიან შეასრულონ პროკურორის დადგენილებანი და წინადადებანი სასჯელის მოხდის იმ წესების დაცვის შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი III

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

თავი მესამე

შრომა-გასწორების დაწესებულებათა სახეობები, მათში მსჯავრდებულების გაგზავნისა და მოთავსების წესი

მუხლი 12. შრომა-გასწორების დაწესებულებათა სახეობები

შრომა-გასწორების დაწესებულებებს, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, წარმოადგენს:

შრომა-გასწორების კოლონიები, საპყრობილეები და შრომა-აღმზრდელობითი კოლონიები.

სრულწლოვანნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიაში ან საპყრობილეში, ხოლო არასრულწლოვანნი თვრამეტი წლის ასაკამდე — შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში.

შრომა-გასწორების კოლონია არის შრომა-გასწორების დაწესებულების ძირითადი სახეობა, სადაც ათავსებენ იმ სრულწლოვანთ, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა.

მუხლი 13. მსჯავრდებულისათვის შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის განსაზღვრა

შესაბამისი რეჟიმის მქონე შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობას, რომელშიც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასჯელი, განსაზღვრავს სასამართლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 14. იმ პირთა გაგზავნა სასჯელის მოსახდელად, რომელთაც მისჯილ აქვთ თავისუფლების აღკვეთა

ის პირნი, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოსახდელად იგზავნებიან არა უგვიანეს ათი დღის ვადისა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის ან აღსასრულებლად მისი მიქცევის დღიდან.

წინასწარი პატიმრობის ადგილის აღმინისტრაცია მოვალეა შრომა-გასწორების დაწესებულებაში მსჯავრდებულის გაგზავნასთან ერთად შეატყობინოს მის ოჯახს იმ ადგილის შესახებ, სადაც ის გაგზავნილია სასჯელის მოსახდელად.

ყოველ პირზე, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, ადგენენ პირად საქმეს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძ-ველების მე-12 მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულთა შრომა-გასწორების დაწესებულებაში გაგზავნის წესს ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 15. მსჯავრდებულ პირთა საგამოძიებო იზოლატორში ან საპყრობილეში დროებითი დატოვება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით

თუ აუცილებელია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე, ის პირი, რომელსაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მოხდით შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, შეიძლება დატოვებული იქნეს საგამოძიებო იზოლატორში ან საპყრობილეში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ პროკურორების, სამხედრო ოლქის, ფლოტის, ჯარების ჯგუფების და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა სამხედრო პროკურორების სანქციით ორ თვემდე ვადით, საქართველოს სსრ პროკურორის და მთავარი სამხედრო პროკურორის სანქციით — ოთხ თვემდე, ხოლო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სანქციით — ექვს თვემდე ვადით.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს სხვა საქმის გამო მისცემენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება პატიმრობის სახით, საგამოძიებო იზოლატორში მისი ყოფნის ვადა განისაზღვრება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 16. მსჯავრდებულთა დატოვება საგამოძიებო იზოლატორში ან საპყრობილეში სამეურნეო მომსახურების სამუშაოებისათვის.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, ის პირნი, რომელთაც არამძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა პირველად მიესაჯათ და ამ სასჯელის მოხდა დანიშნული აქვთ საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში, მათი თანხმობით შეიძლება დატოვებულ იქნენ საპყრობილეში ან საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო მომსახურების სამუშაოებისათვის. ასეთი მსჯავრდებულების დატოვება ფორმდება საპყრობილის ან საგამოძიებო იზოლატორის უფროსის ბრძანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 17. შრომა-გასწორების დაწესებულებაში მსჯავრდებულების მიღების წესი

ადმინისტრაციის მიერ მსჯავრდებულების მიღება შრომა-გასწორების დაწესებულებაში ხდება შრომა-გასწორების დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია იმ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი, დაუყოვნებლივ აცნობებს მისი აღსრულებისა და მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის შესახებ.

მუხლი 18. შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა განცალკევებულად მოთავსება

შრომა-გასწორების დაწესებულებებში განცალკევებულად ათავსებენ: მამაკაცებსა და ქალებს; არასრულწლოვანთ და სრულწლოვანთ.

მამაკაცებს, რომლებსაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, ათავსებენ იმ მსჯავრდებულთაგან განცალკევებით, ვინც წინათ მოიხადა თავისუფლების აღკვეთა; არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულთ — იმთგან განცალკევებით, ვინც პირველად არის მსჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის; ქალებსა და არასრულწლოვანთ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა განცალკევებით ათავსებენ ამ კოდექსის 23—25-ე და 37—38-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. სხვა მსჯავრდებულთაგან იზოლირებულად, აგრეთვე განცალკევებით თავსდებიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი, განსაკუთრებით საშიში რეციდივიტები და მსჯავრდებულნი, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით. მსჯავრდებულ უცხოელებს ან მოქალაქეობის არმქონე პირთ, როგორც წესი, ათავსებენ განცალკევებით სსრ კავშირის მსჯავრდებული მოქალაქეებისაგან.

ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნა მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსების შესახებ არ ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ადგილების სამკურნალო დაწესებულებებზე. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების მე-13 მუხლის შესაბამისად ამ სამკურნალო დაწესებულებებში მსჯავრდებულთა მოთავსების წესებს ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით.

მუხლი 19. მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მთელი ვადის მოხდა ერთ შრომა-გასწორების დაწესებულებაში

იმ პირმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მთელი ვადა, როგორც წესი, უნდა მოიხადოს ერთ შრომა-გასწორების კოლონიაში, საპყრობილეში ან შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში.

ერთი კოლონიიდან იმავე სახეობის რეჟიმის მეორე კოლონიაში ან ერთი საპყრობილიდან მეორეში სასჯელის შემდგომი მოხდისათვის მსჯავრდებულის გადაყვანა დასაშვებია მისი ავადმყოფობის ან მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის ან ხასიათის არსებითად შეცვლის შემთხვევაში, აგრეთვე სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომლებიც ხელს უშლიან ამ კოლონიასა თუ საპყრობილეში მსჯავრდებულის შემდგომ ყოფნას. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულთა გადაყვანის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით.

ერთი კოლონიიდან სხვა სახეობის რეჟიმის მეორე კოლონიაში, კოლონიიდან საპყრობილეში, საპყრობილიდან კოლონიაში მსჯავრდებული შეიძლება გადაიყვანოს სასამართლომ ამ კოდექსის 39-ე, 66-ე და 68-ე მუხლებში გათვალისწინებული საფუძვლებით.

მუხლი 20. მსჯავრდებულების გადაყვანა შრომა-გასწორების დაწესებულებიდან საგამოძიებო იზოლატორში ან საპყრობილეში

შრომა-გასწორების დაწესებულებიდან საგამოძიებო იზოლატორში ან საპყრობილეში მსჯავრდებულის გადაყვანა დასაშვებია:

სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით — სასამართლოს განჩინებით, საქმის განხილვის დროის განმავლობაში:

სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ პროკურორების, სამხედრო ოლქის, ფლოტის, ჯარების ჯგუფებისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ჯარების სახეობათა სამხედრო პროკურორების სანქციით — ორ თვემდე ვადით, საქართველოს სსრ პროკურორის და მთავარი სამხედრო პროკურორის სანქციით — ოთხ თვემდე, ხოლო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სანქციით — ექვს თვემდე ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 21. სასჯელის მოხდის დროს პატიმრობის პირობების შეცვლა იმ პირთათვის, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი

მსჯავრდებულთ, მათი ყოფაქცევისა და შრომისადმი დამოკიდებულების მიხედვით, შეიძლება შეეცვალოს პატიმრობის პირობები როგორც ერთი შრომა-გასწორების დაწესებულებების ფარგლებში, ასევე სხვა შრომა-გასწორების დაწესებულებებში გადაყვანის გზით.

ერთი და იმავე შრომა-გასწორების დაწესებულებების ფარგლებში მსჯავრდებულისათის პატიმრობის პირობების შეცვლა გამოიწვევს პატიმრობის პირობების ერთდროულად გაუმჯობესებას ამ კოდექსის 23 — 26-ე, 32-ე, 37 — 38-ე მუხლების შესაბამისად ანდა ამ კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში — პატიმრობის გაუმჯობესებული პირობების ერთდროულად გაუქმებას.

ერთი და იმავე შრომა-გასწორების დაწესებულების ფარგლებში მსჯავრდებულთათვის პატიმრობის პირობების შეცვლა ხდება შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით, ხოლო მსჯავრდებულთა პატიმრობის პირობების შეცვლას ერთი სახეობის კოლონიიდან სხვა სახის რეჟიმის კოლონიაში, კოლონიიდან საპყრობილეში ან საპყრობილიდან კოლონიაში გადაყვანის გზით აწარმოებს სასამართლო იმ საფუძველთა მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 66-ე და 68-ე მუხლებით.

თავი მეოთხე
შრომა-გასწორების კოლონიები

მუხლი 22. შრომა-გასწორების კოლონიების სახეობები

შრომა-გასწორების კოლონიები იყოფა საერთო რეჟიმის, გაძლიერებული რეჟიმის, მკაცრი რეჟიმის, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებად და კოლონია-დასახლებად.

მუხლი 23. საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები

საერთო რეჟიმის შრომა- გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა არამძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე ქალები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ ქალებისა, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის ან ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, ანდა სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით.

ამ კოდექსის 39-ე მუხლის და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში შეიძლება მოთავსებულ იქნენ აგრეთვე სხვა პირნი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ მსჯავრდებულებისა, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით.

საერთო რეჟიმის კოლონიაში მსჯავრდებულთ დააბინავებენ კოლონიის საერთო საცხოვრებელში, აცმევენ დადგენილი ნიმუშის ტანსაცმელს და მათ შეუძლიათ მიმოსვლა კოლონიის ტერიტორიის ფარგლებში შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესის შესაბამისად.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან საერთო რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში, უფლება აქვთ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დახარჯონ ფული თვეში შვიდ მანეთამდე;

წლის განმავლობაში იქონიონ სამი მოკლევადიანი და ორი ხანგრძლივი პაემანი;

შეუზღუდავად აწარმოონ მიმოწერა და მიიღონ წელიწადში არა უმეტეს ორი ბანდეროლისა;

სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ წლის განმავლობაში მიიღონ სამი ამანათი ან გადაცემა;

კარგი ყოფაქცევის გამოჩენისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს ნება ეძლევა.

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დამატებით დახარჯოს ფული თვეში ოთხი მანეთის ოდენობით;

წლის განმავლობაში დამატებით იქონიოს ერთი ხანგრძლივი პაემანი, ხოლო თუ მსჯავრდებულს ახლო ნათესავები არა ჰყავს, — ერთი მოკლევადიანი პაემანი.

მუხლი 24. გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები

გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა.

ამ კოდექსის 39-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად გაძლიერებული რეჟი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შრომა გასწორების კოლონიაში სასჯელი შეიძლება მოიხადონ სხვა მამაკაცებმაც, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ცნობილი პირებისა და იმ მსჯავრდებულებისა, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამინისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით.

გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მსჯავრდებულთ დაბინავებენ კოლონიის საერთო საცხოვრებელში, აცმევენ ერთიანი ნიმუშის ტანსაცმელს, მათ შეუძლიათ მიმოსვლა კოლონიის ტერიტორიის ფარგლებში შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესის შესაბამისად.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, უფლება აქვთ:

დახარჯონ ფული საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად თვეში ექვს მანეთამდე;

რაოდენობის შეუზღუდავად მიიღონ წერილები, გაგზავნონ თვეში არა უმეტეს სამი წერილისა;

წლის განმავლობაში იქონიონ ორი მოკლევადიანი და ორი ხანგრძლივი პაემანი;

მიიღონ წელიწადში არა უმეტეს ორი ბანდეროლისა;

სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ წლის განმავლობაში მიიღონ ორი ამანათი ან გადაცემა.

კარგი ყოფაქცევის გამოჩენისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს ნება ეძლევა:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დამატებით დახარჯოს ფული თვეში სამი მანეთის ოდენობით:

წლის განმავლობაში დამატებით იქონიოს ერთი ხანგრძლივი პაემანი, ხოლო თუ მსჯავრდებულს ახლო ნათესავები არ ჰყავს, — ერთი მოკლევადიანი პაემანი.

მუხლი 25. მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები

მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულიხათვის, ან ადრე იხდიდნენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე ქალები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის ან ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, და ქალები, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით.

ამ კოდექსის 66-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში შეიძლება სასჯელი მოიხადონ სხვა მსჯავრდებულებმაც, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა.

მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში მსჯავრდებულთ დაბინავებენ საერთო საცხოვრებლებში, აცმევენ ერთიანი ნიმუშის ტანსაცმელს და მათ შეუძლიათ მიმოსვლა კოლონიის ტერიტორიის ფარგლებში შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესის შესაბამისად.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, უფლება აქვთ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დახარჯონ ფული თვეში ხუთ მანეთამდე;

წლის განმავლობაში იქონიონ ორი მოკლევადიანი და ერთი ხანგრძლივი პაემანი;

რაოდენობის შეუზღუდავად მიიღონ წერილები, გაგზავნონ თვეში არა უმეტეს ორი წერილისა და მიიღონ წელიწადში არა უმეტეს ორი ბანდეროლისა;

სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ წლის განმავლობაში მიიღონ ერთი ამანათი ან გადაცემა.

კარგი ყოფაქცევის გამოჩენისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულთ ნება ეძლევათ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დამატებით დახარჯონ ფული, თვეში ორი მანეთის ოდენობით;

წლის განმავლობაში დამატებით იქონიონ ერთი ხანგრძლივი პაემანი, ხოლო თუ მსჯავრდებულს ახლო ნათესავები არ ჰყავს, — ერთი მოკლევადიანი პაემანი.

მუხლი 26. განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები.

განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, აგრეთვე მსჯავრდებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მამაკაცები, რომელთაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით.

განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში მსჯავრდებულთ დააბინავებენ საკნის ტიპის სადგომში, მკაცრი იზოლაციის პირობებში, მათ როგორც წესი, იყენებენ მძიმე სამუშაოებზე და აცმევენ სპეციალური ნიმუშის ტანსაცმელს.

განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოთავსებულ მსჯავრდებულთ უფლება აქვთ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დახარჯონ ფული თვეში ოთხ მანეთამდე;

ექნეთ წლის განმავლობაში ერთი მოკლევადიანი და ერთი ხანგრძლივი პაემანი;

რაოდენობის შეუზღუდავად მიიღონ წერილები. გაგზავნონ თვეში ერთი წერილი და მიიღონ წელიწადში არა უმეტეს ორი ბანდეროლისა;

სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ წლის განმავლობაში მიიღონ ერთი ამანათი ან გადაცემა;

კარგი ყოფაქცევის გამოჩენისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს ნება ეძლევა:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დამატებით დახარჯოს ფული თვეში ერთი მანეთის ოდენობით;

წლის განმავლობაში დამატებით იქონიოს ერთი ხანგრძლივი პაემანი, ხოლო თუ მსჯავრდებულს ახლო ნათესავები არა ჰყავს,— ერთი მოკლევადიანი პაემანი.

სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული წახალისების წესით საკნის ტიპის სადგომიდან შეიძლება გადაყვანილ იქნეს იმავე კოლონიის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში.

მუხლი 27. შრომა-გასწორების კოლონია-დასახლება.

შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში სასჯელს იხდიან გამოსწორების გზაზე მტკიცედ დამდგარი მსჯავრდებულნი, რომლებიც კოლონია-დასახლებაში გადმოყვანილი არიან ამ კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებიდან.

ერთ კოლონია-დასახლებაში შეიძლება მოთავსებულ იქნენ მსჯავრდებული ქალები და მამაკაცები მიუხედავად იმისა, თუ რომელი სახის რეჟიმის კოლონიაში იყვნენ ისინი წინათ მოთავსებული.

შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში მსჯავრდებულნი:

იმყოფებიან დაცვის გარეშე, მაგრამ ზედამხედველობის ქვეშ;

ადგომის საათიდან დაწოლის საათამდე კოლონიის მთელი ტერიტორიის ფარგლებში აქვთ თავისუფალი მიმოსვლის უფლება;

კოლონიის ადმინისტრაციის ნებართვით შეუძლიათ ზედამხედველობის გარეშე კოლონიის ტერიტორიის გარეთ მიმოსვლა, მაგრამ საქართველოს სსრ რაიონების ფარგლებში, რომლებიც არ შედიან ავტონომიური ოლქის და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში ან ავტონომიური ოლქის და ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში, თუ ეს აუცილებელია მათ მიერ კოლონია-დასახლებაში შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის გამო ან დაკავშირებულია მათ სწავლასთან;

შეუძლიათ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, იქონიონ ფული და ძვირფასი ნივთები, შეუზღუდავად ისარგებლონ ფულით;

შეუძლიათ შეუზღუდავად აწარმოონ მიმოწერა, ექნეთ შეხვედრები ნათესავებთან და სხვა პირებთან, მიიღონ ამანათები, გადაცემები, ბანდეროლები;

კოლონიის ადმინისტრაციის ნებართვით, სათანადო საცხოვრებელი პირობების არსებობისას, შეუძლიათ იცხოვრონ კოლონიაში თავიანთი ოჯახით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძინონ საცხოვრებელი სახლი და კოლონიის ტერიტორიაზე მოაწყონ პირადი მეურნეობა.

თავი მეხუთე

საპყრობილეები

მუხლი 28. მსჯავრდებულნი, რომლებიც სასჯელს იხდიან საპყრობილეებში

საპყრობილეში სასჯელს იხდიან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოხდით დაენიშნათ, აგრეთვე ამ კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე შრომა-გასწორების კოლონიებიდან გადმოყვანილი პირები.

საპყრობილეებში სასჯელს იხდიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ამ კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილი წესით სამეურნეო მომსახურებისათვის დატოვებული არიან საპყრობილეში.

დასაშვებია საპყრობილეში იმ პირების დროებით მოთავსება, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მოხდით, მაგრამ დატოვებული ან გადმოყვანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არიან საპყრობილეში ამ კოდექსის მე-15 და მე-20 მუხლების შესაბამისად.

გარდა ამისა, დასაშვებია არა უმეტეს ათი დღით საპყრობილეში დროებით მოთავსება იმ პირებისა, რომლებიც გადაყვანილი არიან თავისუფლების აღკვეთის ერთი ადგილიდან მეორეში, აგრეთვე გადასახლებამისჯილებისა, რომლებსაც სასჯელის მოხდის ადგილას გზავნიან ბადრაგით.

მუხლი 29. საპყრობილეში მსჯავრდებულთა მოთავსების პირობები

მსჯავრდებულნი საპყრობილეში იმყოფებიან საერთო საკნებში. აუცილებელ შემთხვევაში, საპყრობილის უფროსის მოტივირებული დადგენილებით და პროკურორის თანხმობით, მსჯავრდებული შეიძლება მოთავსებულ იქნეს სამარტოო საკანში.

მსჯავრდებულთა განაწილება საკნებში ხდება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით. გარდა ამისა, განაცალკევებულად ათავსებენ იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან საერთო რეჟიმსა და მკაცრ რეჟიმში. სხვა მსჯავრდებულთაგან იზოლირებულად და განცალკევებულად ათავსებენ თავისუფლების აღკვეთის ერთი ადგილიდან მეორეში გადასაყვან პირთ; გადასახლებამისჯილთ, რომლებსაც სასჯელის მოხდის ადგილას ბადრაგით გზავნიან; მსჯავრდებულთ, რომლებიც დატოვებული არიან საპყრობილეში სამეურნეო მომსახურების სამუშაოზე.

მუხლი 30. რეჟიმის სახეები საპყრობილეებში

საპყრობილეში წესდება რეჟიმის ორი სახე: საერთო და მკაცრი.

საერთო რეჟიმში ამყოფენ იმ პირთ, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებული საპყრობილეში მოთავსებით და იმ პირთ, რომლებიც საპყრობილეში მკაცრ რეჟიმში იმყოფებოდნენ და გადმოიყვანეს საერთო რეჟიმში.

მკაცრ რეჟიმში ამყოფებენ იმ პირებს, რომლებმაც წინათ მოიხადეს პატიმრობა; იმ პირებს, რომლებსაც მიესაჯათ პატიმრობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილი დანაშაულისათვის; იმ პირებს, რომლებიც სასჯელის მოსახდელად საპყრობილეში გადმოყვანილ იქნენ კოლონიებიდან; იმ პირებს, რომლებიც დადგენილი წესით სასჯელის ღონისძიების სახით გადაყვანილი არიან მკაცრ რეჟიმში.

მკაცრ რეჟიმში მოთავსება ხდება ორი თვიდან ექვს თვემდე ვადით.

მკაცრ რეჟიმში არ შეიძლება ამყოფონ ორსული ქალები, აგრეთვე ის ქალები, რომლებსაც თან ჰყავთ უძუმწოვარი ბავშვები.

მუხლი 31. საპყრობილეებში რეჟიმის დანიშვნისა და შეცვლის წესი

საპყრობილეებში რეჟიმის სახეობის დანიშვნა, ასევე მისი შეცვლა ხდება საპყრობილის უფროსის დადგენილებით.

დადგენილებაში აღინიშნება რეჟიმის დანიშვნის ან შეცვლის შესახებ საპყრობილის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი. თუ მსჯავრდებულს დაენიშნება მკაცრი რეჟიმი, დადგენილებაში უნდა აღინიშნოს მისი ვადა.

დაუშვებელია მსჯავრდებულის ვადამდე გადაყვანა მკაცრი რეჟიმიდან საერთო რეჟიმში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სამედიცინო დასკვნის თანახმად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

დადგენილება რეჟიმის დანიშვნის ან შეცვლის შესახებ მსჯავრდებულს გამოეცხადება ხელწერილით და დაერთვის მის პირად საქმეს.

მუხლი 32. საერთო რეჟიმი საპყრობილეში

მსჯავრდებულთ, რომლებიც საპყრობილეში იმყოფებიან საერთო რეჟიმში, უფლება აქვთ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დახარჯონ ფული თვეში სამ მანეთამდე;

წლის განმავლობაში ექნეთ ორი მოკლევადიანი პაემანი;

წელიწადში მიიღონ არა უმეტეს ორი ბანდეროლისა, ხოლო წერილები — შეუზღუდავი ოდენობით და გაგზავნონ თვეში ერთი წერილი;

ისარგებლონ ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნებით.

კარგი ყოფაქცევის გამოჩენისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულთ შეიძლება ნება დაერთოს საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დამატებით დახარჯოს ფული თვეში ერთი მანეთის ოდენობით.

მსჯავრდებულთ, რომლებიც საპყრობილეში საერთო რეჟიმში იმყოფებიან, არა აქვთ ნება მიიღონ ამანათები და გადაცემები.

მუხლი 33. მკაცრი რეჟიმი საპყრობილეში

მსჯავრდებულთ, რომლებიც საპყრობილეში იმყოფებიან მკაცრ რეჟიმში, უფლება აქვთ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დახარჯონ ფული თვეში ორ მანეთამდე;

რაოდენობის შეუზღუდავად მიიღონ წერილები, გაგზავნონ ორ თვეში ერთი წერილი და მიიღონ არა უმეტეს ერთი ბანდეროლისა ექვს თვეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისარგებლონ ყოველდღიური ოცდაათწუთიანი გასეირნებით.

მსჯავრდებულთ, რომლებიც საპყრობილეში მკაცრ რეჟიმში იმყოფებიან, არა აქვთ პაემანის, ამანათებისა და გადაცემების მიღების ნება.

მუხლი 34. იმ მსჯავრდებულთა მოთავსების რეჟიმი, რომლებიც ასრულებენ სამეურნეო მომსახურების სამუშაოებს საპყრობილესა და საგამოძიებო იზოლატორში

მსჯავრდებულნი, რომლებიც დატოვებული არიან საპყრობილეში ან საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო მომსახურების სამუშაოებისათვის, ცხოვრობენ საპყრობილის ან საგამოძიებო იზოლატორის ცალკე სადგომში სხვა მსჯავრდებულებისაგან იზოლირებულად, ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მამაკაცების იზოლაცია ქალებისაგან.

მსჯავრდებულთ, რომლებიც დატოვებული არიან საპყრობილეში ან საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო მომსახურების სამუშაოებისათვის, უფლება აქვთ ისარგებლონ ფულით, ექნეთ მოკლევადიანი პაემანი, მიიღონ ამანათები, გადაცემები და ბანდეროლები საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში მოთავსებულ მსჯავრდებულთათვის დადგენილი ნორმით, რაოდენობის შეუზღუდავად გაგზავნონ წერილები. თუ ეს პირები დახურულ სადგომებში მუშაობენ, ისინი სარგებლობენ ყოველდღიური ორსაათიანი გასეირნებით.

მუხლი 35. იმ მსჯავრდებულთა მოთავსების რეჟიმი, რომლებიც დროებით დატოვებული ან გადმოყვანილი არიან საპყრობილეში ან საგამოძიებო იზოლატორში

მსჯავრდებულნი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთის მოხდა შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, მაგრამ დროებით დატოვებული ან გადმოყვანილი არიან საპყრობილეში ან საგამოძიებო იზოლატორში ამ კოდექსის მე-15 და მე-20 მუხლების შესაბამისად, სარგებლობენ ფულით. აქვთ მოკლევადიანი პაემანის უფლება, იღებენ ამანათებს, გადაცემებსა და ბანდეროლებს, გზავნიან წერილებს შესაბამისი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში ან შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მოთავსებულ მსჯავრდებულთათვის დადგენილი ნორმებით. ისინი სარგებლობენ ყოველდღიური ორსაათიანი გასეირნებით.

თავი მეექვსე

შრომა-აღმზრდელობითი კოლონიები

მუხლი 36. შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის სახეობები

შრომა-აღმზრდელობითი კოლონიები იყოფა საერთო რეჟიმისა და გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებად.

მუხლი 37. საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიები

საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში სასჯელს იხდიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანნი, რომლებსაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა არამძიმე დანაშაულისათვის, და მდედრობითი სქესის ყველა მსჯავრდებული არასრულწლოვანნი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში სასჯელი შეიძლება მოიხადონ მამრობითი სქესის სხვა არასრულწლოვანებმაც, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა.

საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მსჯავრდებულთ აბინავებენ საერთო საცხოვრებლებში, აცმევენ ერთიანი ნიმუშის ტანსაცმელს, მათ შეუძლიათ მიმოსვლა კოლონიის ტერიტორიის ფარგლებში შრომა-გასწორების კოლონიათა შინაგანაწესის შესაბამისად.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, უფლება აქვთ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დახარჯონ ფული თვეში ვიდ მანეთამდე;

წლის განმავლობაში იქონიონ ექვსი მოკლევადიანი პაემანი;

წელიწადში მიიღონ ექვსი ამანათი ან გადაცემა;

შეუზღუდავად გაგზავნონ და მიიღონ წერილები;

წელიწადში მიიღონ არაუმეტეს ორი ბანდეროლისა.

კარგი ყოფაქცევის გამოჩენისას, პატიოსანი შრომისა და კარგად სწავლის შემთხვევაში, სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მეოთხედის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს ნება ეძლევა:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დამატებით დახარჯოს ფული თვეში სამი მანეთის ოდენობით;

წლის განმავლობაში დამატებით იქონიოს ექვსი მოკლევადიანი პაემანი.

მუხლი 38. გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიები

გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში სასჯელს იხდიან მამრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითი სქესის არასრულწლოვანნი, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი, რომელთაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული აქვთ თავისუფლების აღკვეთის მოხდა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში. ამავე კოლონიაში სასჯელს იხდიან აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ამ კოდექსის 68-ე მუხლის საფუძველზე გადმოყვანილი იყვნენ საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან.

გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მსჯავრდებულთ დააბინავებენ საერთო საცხოვრებლებში, აცმევენ ერთი ნიმუშის ტანსაცმელს, მათ შეუძლიაო მიმოსვლა კოლონიის ტერიტორიის ფარგლებში შრომა-გასწორების კოლონიათა შინაგანაწესის შესაბამისად.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, უფლება აქვთ:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დახარჯონ ფული თვეში ხუთ მანეთამდე;

წლის განმავლობაში იქონიონ ოთხი მოკლევადიანი პაემანი;

წელიწადში მიიღონ ხუთი ამანათი ან გადაცემა;

რაოდენობის შეუზღუდავად მიიღონ და გაგზავნონ წერილები, მიიღონ წელიწადში არა უმეტეს ორი ბანდეროლისა.

კარგი ყოფაქცევის გამოჩენისას, პატიოსანი შრომისა და კარგად სწავლის შემთხვევაში, სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულის პატიმრობის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს ნება ეძლევა:

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად დამატებით დახარჯოს ფული თვეში ორი მანეთის ოდენობით;

წლის განმავლობაში დამატებით იქონიოს ორი მოკლევადიანი პაემანი.

მუხლი 39. მსჯავრდებულთა გადაყვანა შრომა-აღმზრდელობითი კოლონიებიდან შრომა-გასწორების კოლონიებში

თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულნი სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით შრომა-აღმზრდელობითი კოლონიებიდან გადაჰყავთ შრომა-გასწორების კოლონიებში:

საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოთავსებულნი საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში;

გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოთავსებულნი — საერთო ან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით.

შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულის გადაყვანის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის უფროსის წარდგინებით, რომელიც შეთანხმებულია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან.

მუხლი 40. მსჯავრდებულთა დატოვება შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში ოცი წლის ასაკამდე

გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის შედეგების განმტკიცების, ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიულ-ტექნიკური სწავლების დამთავრების მიზნით თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულნი შეიძლება დატოვებულ იქნენ შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში სასჯელის ვადის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს ოცი წლის ასაკამდე მიღწევისა.

მსჯავრდებულებზე, რომლებმაც მიაღწიეს თვრამეტი წლის ასაკს და დატოვებულ იქნენ შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, ვრცელდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის დადგენილი რეჟიმი, შრომის პირობები და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის ნორმები.

თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში დატოვების საკითხი წყდება კოლონიის უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან.

თავი მეშვიდე
რეჟიმი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

მუხლი 41. რეჟიმის ძირითადი მოთხოვნები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რეჟიმის ძირითადი მოთხოვნებია:

მსჯავრდებულთა სავალდებულო იზოლაცია და მათზე მუდმივი ზედამხედველობა, რათა არ იყოს მათ მიერ ახალი დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩადენის შესაძლებლობა;

მსჯავრდებულთა მიერ თავიანთ მოვალეობათა ზუსტი და განუხრელი შესრულება;

პატიმრობაში ყოფნის სხვადასხვა პირობები ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, მსჯავრდებუ-

ლის პიროვნებისა და ყოფაქცევის გათვალისწინებით.

მსჯავრდებულთ აცმევენ ერთი ნიმუშის ტანსაცმელს, ჩხრეკენ, მსჯავრდებულის პირად ჩხრეკას აწარმოებს მისივე სქესის პირი. მსჯავრდებულთა მიმოწერა გაივლის ცენზურას, ხოლო ამანათები, გზავნილებანი და ბანდეროლები ისინჯება.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, აცმევენ სპეციალური ნიმუშის ტანსაცმელს.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში წესდება მკაცრად რეგლამენტირებული შინაგანაწესი.

დაუშვებელია მსჯავრდებულთ ჰქონდეთ ფული და ძვირფასი ნივთები, აგრეთვე ის საგნები, რომელთა გამოყენება შრომა-გასწორების დაწესებულებებში აკრძალულია. მსჯავრდებულებს ჩამოერთმევათ აღმოჩენილი ფული და ძვირფასი ნივთები და, როგორც წესი, ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც სანქციონირებულია პროკურორის მიერ.

ის საგნები, რომელთა გამოყენება შრომა-გასწორების დაწესებულებებში აკრძალულია, ჩამორთმეულ უნდა იქნეს და მათი ხასიათისა და შეძენის ვითარების გათვალისწინებით, შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესის შესაბამისად, ისინი ჩაბარდება შესანახად მსჯავრდებულის განთავისუფლებამდე ან განადგურდება.

იმ ნივთებისა და საგნების რაოდენობასა და ნუსხას, რომლებიც შეიძლება თან ჰქონდეს თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებით და ამ კოდექსით დადგენილი წესით მსჯავრდებულებს ნება ეძლევათ უნაღდო ანგარიშსწორების წესით შეიძინონ საკვები პროდუქტები და პირველი მოთხოვნილების საგნები, ჰქონდეთ პაემანის უფლება, მიიღონ ამანათები, ბანდეროლები და გადაცემები, გაგზავნონ და მიიღონ ფულადი გზავნილებანი, იქონიონ მიმოწერა.

მუხლი 42. იმ პირთა დღის განაწესი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა

იმ პირთა დღის განაწესი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, უნდა ითვალისწინებდეს მათ მკაცრად რეგლამენტირებულ ყოფაქცევას დღეღამის განმავლობაში და მოიცავდეს დროს, რომელიც განკუთვნილია მუშაობის, დასვენებისა და სწავლისათვის და კულტურულ-აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩასატარებლად.

მსჯავრდებულთა დღის განაწესს ამ კოდექსისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესის შესაბამისად ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი და მას უცხადებენ მსჯავრდებულთ.

მუხლი 43. მსჯავრდებულთა მიერ საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა

მსჯავრდებულთ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამომუშავებული ფულით, ხოლო შრომისუუნარო მსჯავრდებულთ, ორსულ ქალებს და მეძუძურ დედებს, აგრეთვე არასრულწლოვანთ — გზავნილებით მიღებული ფულით ნება ეძლევათ შეიძინონ საკვები პროდუქტები და პირველი მოთხოვნილების საგნები.

იმ თანხის ოდენობა, რომელიც შეიძლება დახარჯოს მსჯავრდებულმა შრომა-გასწორების დაწესებულებაში, განისაზღვრება ამ კოდექსის 23—26-ე, 32—33-ე, 37—38-ე მუხლებით შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის, მასში დადგენილი რეჟიმის, სასჯელის მოხდილი ვადის, მსჯავრდებულის ყოფაქცევის, შრომისადმი მისი დამოკიდებულების, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მსჯავრდებულთ, რომლებიც არ არღვევენ რეჟიმს და გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს ან სანიმუშოდ ასრულებენ მოცემულ დავალებებს, შეიძლება ნება დაერთოთ დამატებით დახარჯონ თვეში ორი მანეთი, ხოლო იმ მსჯავრდებულთ, რომლებიც მძიმე ან შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს ან სანიმუშოდ ასრულებენ მიცემულ დავალებებს — თვეში ოთხი მანეთი.

საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების ნუსხასა და რაოდენობას, რომელიც შეიძლება შეიძინოს მსჯავრდებულმა, ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

დასახარჯავად ნებადართული თანხის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს თვეში თხუთმეტ მანეთს.

მუხლი 44. მსჯავრდებულთა მიერ ლიტერატურისა და საწერი მოწყობილობის შეძენა

მსჯავრდებულთ, მათთვის დანიშნული რეჟიმის სახეობის მიუხედავად, ნება ეძლევათ ამ კოდექსის 23—26-ე, 32—33-ე, 37—38-ე მუხლებით დადგენილი თანხის ზევით, მათ პირად ანგარიშზე რიცხული სახსრებით, წიგნით ვაჭრობის ქსელის მეშვეობით შეუზღუდავად შეიძინონ ლიტერატურა, საწერი მოწყობილობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ განყოფილებების საშუალებით გამოიწერონ გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც სსრ კავშირში გამოიცა.

მუხლი 45. იმ პირთა პაემანი ნათესავებთან და სხვა პირებთან, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა

მსჯავრდებულნი იღებენ მოკლევადიან, ოთხ საათამდე ხანგრძლივობის, და გრძელვადიან, სამ დღეღამემდე ხანგრძლივობის, პაემანის უფლებას. ნათესავებსა და სხვა პირებთან მოკლევადიანი პაემანის უფლება მსჯავრდებულთ ეძლევათ შრომა-გასწორების დაწესებულების წარმომადგენლის თანდასწრებით. გრძელვადიანი პაემანი ეძლევათ ერთად ცხოვრების უფლებით მხოლოდ ახლო ნათესავებთან (ცოლთან, ქმართან, დედასთან, მამასთან, პაპასთან, ბებიასთან, შვილთან, შვილიშვილთან, ღვიძლ დაძმასთან, მშვილებლებთან, ნაშვილებთან). პაემანთა რაოდენობა და სახეობანი დადგენილია ამ კოდექსის 23—26-ე 32-ე, 37-ე მუხლებით. პაემანის წესს ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

მუხლი 46. იმ პირთა ნახვა ადვოკატების მიერ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა

ადვოკატებს იმ პირებისადმი იურიდიული დახმარების გასაწევად, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, ეძლევათ მსჯავრდებულის ნახვის შესაძლებლობა თვით მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავების, ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლების წერილობითი განცხადებით.

ადვოკატების შეხვედრები მსჯავრდებულებთან სწარმოებს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესის შესაბამისად.

მუხლი 47. ამანათების, გადაცემებისა და ბანდეროლების მიღება იმ პირთა მიერ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა

შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებულ მსჯავრდებულთ სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ ნება ეძლევათ მიიღონ წელიწადში სამამდე ამანათი ან გადაცემა. შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში ამანათების, გადაცემებისა და ბანდეროლების რაოდენობა, რომელთაც მსჯავრდებულები იღებენ, შეუზღუდავია. მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, ნება ეძლევათ წელიწადში მიიღონ ექვსამდე ამანათი ან გადაცემა.

მსჯავრდებულთ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას საპყრობილეებში იხდიან, არ აქვთ ამანათებისა და გადაცემების მიღების ნება.

ამანათებისა და გადაცემების რაოდენობას აწესებს ამ კოდექსის 23—26-ე, 37—38-ე მუხლები. ამანათის ან გადაცემის წონა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ კილოგრამს.

მსჯავრდებულთ, მიუხედავად რეჟიმის დანიშნული სახეობისა, ნება ეძლევათ მიიღონ არა უმეტეს ორი ბანდეროლისა წელიწადში.

ამანათების, გადაცემების ან ბანდეროლების მიღებისა და მსჯავრდებულთათვის მათი ჩაბარების წესს, აგრეთვე მსჯავრდებულების მიერ ამანათებით, გადაცემებითა და ბანდეროლებით მისაღებად აკრძალული საგნების ნუსხას ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

მსჯავრდებულთ ნება ეძლევათ შეუზღუდავად მიიღონ და გაგზავნონ ფულადი გზავნილები. ფული, რომელიც მსჯავრდებულის სახელზე შემოვიდა, ჩაირიცხება მის პირად ანგარიშზე, ხოლო შრომა-გასწორების კოლონიადასახლებებში მიეცემა მსჯავრდებულს.

მუხლი 48. იმ პირთა მიმოწერა, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა

მსჯავრდებულთ ნება ეძლევათ რაოდენობის შეუზღუდავად მიიღონ წერილები.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში და შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, წერილები შეუძლიათ შეუზღუდავად გზავნონ. წერილების რაოდენობას, რომლებიც შეუძლიათ გაგზავნონ სხვა სახის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიასა და საპყრობილეში მოთავსებულმა მსჯავრდებულებმა, აწესებს ამ კოდექსის 24—26-ე, 32—33-ე მუხლები.

აკრძალულია მიმოწერა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებული იმ მსჯავრდებულთ შორის, რომლებიც არ არიან ერთმანეთის ნათესავები.

მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილის დანიშნულებისამებრ ჩაბარებას, აგრეთვე მსჯავრდებულის წერილის ადრესატისათვის გაგზავნას აწარმოებს თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაცია წერილის მიღების ან მსჯავრდებულთა მიერ მისი ჩაბარების დღიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადისა.

მუხლი 49. იმ პირთა საჩივრები, განცხადებები და წერილები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა

მსჯავრდებულებს უფლება აქვთ საჩივრებით, განცხადებებით და წერილებით მიმართონ სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირთ. მსჯავრდებულთა საჩივრები, განცხადებები და წერილები იგზავნება კუთვნილებისამებრ და განიხილება კანონით დადგენილი წესით.

პროკურორის სახელზე შემოსული საჩივრები, განცხადებები და წერილები არ ისინჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა უგვიანეს ერთი დღეღამის ვადისა იგზავნება კუთვნილებისამებრ.

თავი მერვე
თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომა

მუხლი 50. თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში

ყოველი მსჯავრდებული ვალდებულია იშრომოს. შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა უზრუნველყოს მსჯავრდებულთა ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი შრომისუნარიანობის და შეძლებისდაგვარად, სპეციალობის გათვალისწინებით.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში, როგორც წესი, იყენებენ მძიმე სამუშაოებზე.

მსჯავრდებულთა შრომაში ჩაბმა, როგორც წესი, ხდება შრომაგასწორების დაწესებულებათა საწარმოებში.

იმ სამუშაოებისა და თანამდებობათა ნუსხას, რომლებზედაც აკრძალულია იმ პირთა გამოყენება, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს საპყრობილეში იხდიან, სამუშაოზე იყენებენ მხოლოდ საპყრობილის ტერიტორიაზე.

მსჯავრდებულთა შრომის ორგანიზაცია ხდება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული განცალკევებით მოთავსების მოთხოვნათა დაცვით.

შრომა-გასწორების დაწესებულებათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს მათ ძირითად ამოცანას — მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

მუხლი 51. თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომის პირობები

იმ პირთათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიებსა და საპყრობილეებში, წესდება რვასაათიანი სამუშაო დღე; მათ ყოველკვირეულად ეძლევათ ერთი დასვენების დღე. მსჯავრდებულთ, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სამუშაოდან ათავისუფლებენ უქმე დღეებში. თუ დასვენებისა და უქმე დღეებში აუცილებელია მსჯავრდებულთა სამუშაოებზე გამოყენება, დასვენება მათ ეძლევათ სხვა დღეებში ერთი თვის განმავლობაში.

იმ მსჯავრდებულთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის დაწესება, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებსა და შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, აგრეთვე მათთვის ყოველკვირეულად დასვენების დღეების მიცემა ხდება საერთო საფუძველზე, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავისუფლებააღკვეთილ პირთ სასჯელის მოხდის პერიოდში შვებულების უფლება არა აქვთ.

მსჯავრდებული ქალები სამუშაოდან თავისუფლდებიან ორსულობისა და მშობიარობის გამო შრომის კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა მუშაობის დრო შრომის სტაჟში არ ჩაითვლება.

მსჯავრდებულთა შრომის ორგანიზაცია ხდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვით.

მუხლი 52. თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომის ანაზღაურება

თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომა ანაზღაურდება მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად სახალხო მეურნეობაში მოქმედი ნორმებისა და ნიხრების მიხედვით. მსჯავრდებულებისათვის ხელფასის დარიცხვა ხდება შრომა-გასწორების დაწესებულებათა შესანახი ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების გათვალისწინებით.

პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიებსა და საპყრობილეებში, ამ კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი წესით, მათთვის დარიცხული ხელფასიდან ანაზღაურებენ კვებისა და ტანსაცმლის ღირებულებას, გარდა სპეცტანსაცმლისა და სპეცკვების ღირებულებისა.

შრომა-გასწორების კოლონიებსა და საპყრობილეებში იმ მსჯავრდებულთა პირად ანგარიშზე, რომლებიც არ არღვევენ რეჟიმს და ასრულებენ გამომუშავების ნორმებს ან მიცემულ დავალებებს, ყველა დაკავების მიუხედავად უნდა ჩაირიცხოს მათთვის დარიცხული თვიური ხელფასის არანაკლებ 10 პროცენტისა, ხოლო პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდების პირად ანგარიშზე, რომლებიც რეჟიმს არ არღვევენ, — მათთვის დარიცხული თვიური ხელფასის არა ნაკლებ ოცდახუთი პროცენტისა. შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში იმ მსჯავრდებულთა პირად ანგარიშზე, რომლებიც არ არღვევენ რეჟიმს, უნდა ჩაირიცხოს, ყველა დაკავების მიუხედავად, მათთვის დარიცხული თვიური ხელფასის არა ნაკლებ ორმოცდახუთი პროცენტისა.

იმ პირთ, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში, ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა დაკავების მიუხედავად, უნდა მიეცეს ხელფასის საერთო თანხის არა ნაკლებ ორმოცდაათი პროცენტისა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 29-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლებააღკვეთილი პირების შრომის ანაზღაურების პირობებსა და წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 53. დაქვითვები თავისუფლებააღკვეთილ პირთა ხელფასიდან

მსჯავრდებულებისათვის დარიცხული ხელფასიდან დაქვითვები წარმოებს შემდეგი რიგით:

საშემოსავლო გადასახადი;

კვებისა და ტანსაცმლის ღირებულება;

აღმასრულებელი ფურცლით და სხვა სააღსრულებო საბუთებით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით;

მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის დროს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ავადმყოფობის გამო სამუშაოდან განთავისუფლებულ მსჯავრდებულს, ორსულ ქალებსა და მეძუძურ დედებს სამუშაოდან განთავისუფლების პერიოდში უფასოდ კვებავენ არასრულწლოვანთ, აგრეთვე პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს საკვები და ტანსაცმელი უფასოდ ეძლევათ.

მსჯავრდებულთ, რომლებიც ბოროტად თავს არიდებენ სამუშაოს, საკვებისა და ტანსაცმლის ღირებულება გადახდებათ შრომა-გასწორების დაწესებულების ან საპყრობილის უფროსის დადგენილებით იმ თანხიდან, რომელიც ირიცხება მათ პირად ანგარიშზე.

მუხლი 54. თავისუფლებააღკვეთილ პირთა სამუშაოში ჩაბმა შრომის ანაზღაურების გარეშე

შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის მითითებით, მსჯავრდებულები შეიძლება ჩაბმულ იქნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებისა და მათი მომიჯნავე ტერიტორიის კეთილმოწყობის, აგრეთვე მსჯავრდებულთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებელ სამუშაოებში.

აღნიშნულ სამუშაოებს მსჯავრდებულნი, როგორც წესი, აწარმოებენ რიგითობის წესით, არასამუშაო დროს, ანაზღაურების გარეშე; ასეთი სამუშაოების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ საათს დღეში.

მუხლი 55. თავისუფლებააღკვეთილ პირთა საპენსიო უზრუნველყოფა შრომისუნარიანობის დაკარგვასთან დაკავშირებით

მსჯავრდებულთ, რომლებმაც შრომისუნარიანობა დაკარგეს სასჯელის მოხდის დროს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებით, სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ უფლება აქვთ მოსთხოვონ პენსია და მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევებში და იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

თავი მეცხრე
პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა თავისუფლება-აღკვეთილ პირებთან

მუხლი 56. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა თავისუფლებააღკვეთილ პირებთან

თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ტარდება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც მიმართულია იქით, რომ მსჯავრდებულთ ჩაუნერგოს პატიოსანი შრომის, კანონების ზუსტად შესრულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის, სოციალისტური საკუთრებისადმი მომჭირნედ მოპყრობის ჩვევები, აამაღლოს მათი შეგნებისა და კულტურის დონე და განუვითაროს მათ სასარგებლო ინიციატივა.

მსჯავრდებულთ წაახალისებენ პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, რასაც მხედველობაში მიიღებენ მათი გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას.

მუხლი 57. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმები

თავისუფლებააღკვეთილ პირებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმებია:

ინდივიდუალური მუშაობა, რომელიც ტარდება თითოეული მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლის საფუძველზე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის, ასაკის, განათლების, პროფესიისა და მსჯავრდებულის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით;

საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობა;

შრომითი შეჯიბრება.

თავისუფლებააღკვეთილ პირებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა წარმოებს დიფერენცირებულად, შრომა-გასწორების დაწესებულების და მასში დადგენილი რეჟიმის გათვალისწინებით.

საპყრობილეებსა და საკნის ტიპის სადგომებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადად წარმოებს საკნებში ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრების ფორმით, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის კითხვითა და განხილვით.

მუხლი 58. თვითმოქმედი ორგანიზაციები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

მსჯავრდებულთათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, კოლექტივიზმის ჩვევების განვითარებისა და მათი სასარგებლო ინიციატივის წახალისების, აგრეთვე მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაზე კოლექტივის გავლენის გამოყენების მიზნით, შრომა-გასწორების დაწესებულებებში იქმნება მსჯავრდებულთა თვითმოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით.

მსჯავრდებულნი, რომლებიც ჩაბმული არიან თვითმოქმედ ორგანიზაციებში, წარმოებაში ძირითადი სამუშაოსაგან არ თავისუფლდებიან.

მუხლი 59. მსჯავრდებულთა თვითმოქმედი ორგანიზაციების სახეობანი და მათი მუშაობის წესი

საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში, კოლონია-დასახლებებში, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, აგრეთვე მსჯავრდებულთა შორის, რომლებიც სამეურნეო მომსახურებისათვის არიან დატოვებული საპყრობილეებსა და საგამოძიებო იზოლატორებში, და იმ მსჯავრდებულთა შორის, რომლებიც განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის საკნის ტიპის სადგომებიდან გადაყვანილი არიან ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში, იქმნება მსჯავრდებულთა კოლექტივების საბჭოები იმ პირთა რიცხვიდან, რომლებმაც გამოამჟღავნეს სამაგალითო ყოფაქცევა და კეთილსინდისიერად ეკიდებიან შრომას.

კოლექტივის საბჭოებს ღია კენჭის ყრით ირჩევენ მსჯავრდებულთა საერთო კრებებზე ან მათ წარმომადგენელთა კრებებზე. კოლექტივების საბჭოების შემადგენლობას ამტკიცებს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი.

კოლექტივების საბჭოები თავიანთი მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებენ ანგარიშს მსჯავრდებულთა კრებებს. კოლექტივების საბჭოების გადაწყვეტილებას ამტკიცებს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი.

საპყრობილეებსა და განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის საკნის ტიპის სადგომებში მოთავსებულ მსჯავრდებულთა შორის შეიძლება შეიქმნას საბჭოები ბრიგადირებისა, რომლებსაც ნიშნავს შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია.

თავი მეათე
თავისუფლებააღკვეთილ პირთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლება

მუხლი 60. თავისუფლებააღკვეთილ პირთა სავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება

შრომა-გასწორების დაწესებულებებში შემოღებულია მსჯავრდებულთა სავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი სწავლება.

სავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებისაგან თავისუფლდებიან ორმოც წელს გადაცილებული მსჯავრდებულნი და პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები. აღნიშნული პირები ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში შეიძლება ჩაბმული იქნენ მათი სურვილით.

მუხლი 61. რვაკლასიანი განათლების მქონე მსჯავრდებულთა სწავლება

რვაკლასიანი განათლების მქონე მსჯავრდებულებს შეუძლიათ ისწავლონ შრომა-გასწორების დაწესებულების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. მსჯავრდებულთ წაახალისებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლებისათვის, რასაც მხედველობაში მიიღებენ მათი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას.

მუხლი 62. თავისუფლებააღკვეთილ პირთა სავალდებულო პროფესიულ-ტექნიკური სწავლება.

სპეციალობის არმქონე თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ეწყობა სავალდებულო პროფესიულ-ტექნიკური სწავლება.

სავალდებულო პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისაგან თავისუფლდებიან პირველი და მეორე ჯგუფის მსჯავრდებული ინვალიდები. აღნიშნული პირნი პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაში შეიძლება ჩაბმულ იქნენ მათი სურვილით.

შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში პროფესიულ-ტექნიკური სწავლება ხორციელდება მსჯავრდებულთა სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 63. თავისუფლებააღკვეთილ პირთა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლება

თავისუფლებააღკვეთილ პირთა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე მათთვის ახალ სპეციალობათა შესწავლის მიზნით შრომა-გასწორების დაწესებულებებში ეწყობა სხვადასხვა ფორმის პროფესიულ-ტექნიკური სწავლება.

მსჯავრდებულთ წაახალისებენ პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაში ჩაბმისა და თავიანთი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რასაც მხედველობაში მიიღებენ მათი გამოსწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა და ხელახალი აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას.

მუხლი 64. მსჯავრდებულთა განთავისუფლება სამუშაოდან გამოცდებისათვის მომზადებასა და ჩაბარებასთან დაკავშირებით

შრომა-გასწორების კოლონიებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს სასკოლო, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური სწავლების საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებისა და ჩაბარების განმავლობაში კოლონიის უფროსი ათავისუფლებს სამუშაოდან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 65. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ორგანიზაცია

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 31-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლებააღკვეთილ პირთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ორგანიზაცია ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი მეთერთმეტე
წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებანი, რომლებსაც იყენებენ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ

მუხლი 66. თავისუფლებააღკვეთილ პირთა წახალისების ღონისძიებანი

კარგი ყოფაქცევის, პატიოსანი შრომისა და კარგი სწავლისათვის მსჯავრდებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი ღონისძიებანი:

მადლობის გამოცხადება;

წარმოების მოწინავეთა დაფაზე შეტანა;

ქების სიგელით დაჯილდოება;

პრემია მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის;

წელიწადში დამატებით ერთი ამანათის ან გადაცემის მიღების ნებართვა;

წელიწადში ერთი მოკლევადიანი ან ხანგრძლივი პაემანის უფლების მიცემა;

ნებართვა უქმე დღეებში დამატებით დახარჯოს ფული ორ მანეთამდე საკვები პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად, ხოლო შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში — თვეში ორ მანეთამდე;

წინათ დადებული სასჯელის ვადამდე მოხსნა;

განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის საკნის ტიპის სადგომიდან იმავე კოლონიის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა იმ მსჯავრდებულებისა, რომლებმაც სასჯელის ვადის სულ ცოტა ერთი მესამედი მოიხადეს;

იმ მსჯავრდებულთათვის, რომლებიც საერთო რეჟიმის საპყრობილეში იხდიან სასჯელს, გასეირნების დროის გადიდება ორ საათამდე, ხოლო მკაცრ რეჟიმში — ერთ საათამდე.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მსჯავრდებულნი, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, სასჯელის შემდგომი მოხდისათვის შეიძლება წარდგენილ იქნენ გადასაყვანად:

საპყრობილიდან შრომა-გასწორების კოლონიაში — სასამართლოს განაჩენით დანიშნული პატიმრობის ვადის არა ნაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ;

განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიიდან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ;

საერთოდ, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებიდან კოლონია-დასახლებაში — სასჯელის ვადის არა ნაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ ,თუ მსჯავრდებულის მიმართ კანონით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვადამდე პირობით განთავისუფლება, და სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ, თუ მის მიმართ ვადამდე პირობით განთავისუფლება კანონით არ გამოიყენება.

მსჯავრდებულნი, რომლებმაც თავისი გამოსწორება დაამტკიცეს სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისა და სწავლისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით, შეიძლება კანონით დადგენილი წესით წარდგენილ იქნენ ვადამდე პირობით გასათავისუფლებლად ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შესაცვლელად.

მუხლი 67. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ წახალისების ღონისძიებათა გამოყენების წესი

ფულადი პრემია ჩაირიცხება მსჯავრდებულის პირად ანგარიშზე. წახალისება დამატებითი ამანათის ან გადაცემის უფლების მიღების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც აქვთ ამანათის ან გადაცემის მიღების უფლება.

იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც საპყრობილეში მოთავსებული არიან მკაცრ რეჟიმში, არ იყენებენ წახალისების ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა პაემანის ნებართვა.

იმ მსჯავრდებულთ, რომლებიც მოთავსებული არიან საპყრობილეში საერთო რეჟიმში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახალისების წესით შეიძლება მიეცეთ მხოლოდ ერთი მოკლევადიანი პაემანის ნებართვა.

საპყრობილეში მოთავსებულ მსჯავრდებულთათვის გასეირნების დროის გაგრძელება წახალისების წესით შეიძლება არაუმეტეს ერთი თვის ვადით.

წახალისება მადლობის სახით გამოეცხადება ზეპირად ან შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის წერილობითი ბრძანებით. ისეთი სახის წახალისებებს, როგორიცაა წელიწადში დამატებით ერთი ამანათის ან გადაცემის მიღების ნებართვა, წლის განმავლობაში დამატებით ერთი მოკლევადიანი ან გრძელვადიანი პაემანის ნებართვა, ადრე დადებული სასჯელის ვადამდე მოხსნა, გასეირნების დროის გაგრძელება, იყენებენ შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით. სხვა წახალისებები გამოიყენება შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის ბრძანებით.

მსჯავრდებულს წახალისების სახით, როგორც წესი, შეიძლება, მოეხსნას წინათ დადებული მხოლოდ ერთი სასჯელი.

განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებული მსჯავრდებულის გადაყვანა საკნის ტიპის სადგომიდან იმავე კოლონიის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში ხდება კოლონიის უფროსის დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან.

იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომლებსაც უფლება აქვთ გამოიყენონ წახალისების ღონისძიებები, აგრეთვე მათი უფლება-მოსილების ფარგლებს ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

მუხლი 68. სასჯელის ღონისძიებანი, რომლებსაც იყენებენ თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ

სასჯელის მოხდის რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევისათვის მსჯავრდებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის შემდეგი ზომები:

გაფრთხილება ან საყვედური;

რიგგარეშე მორიგეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილის სათავსებისა და ტერიტორიის დასასუფთავებლად;

შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მყოფ მსჯავრდებულთათვის კინოს, კონცერტის ნახვის, სპორტულ თამაშობაში მონაწილეობის უფლების ერთჯერადი ჩამორთმევა;

მორიგი პაემანის უფლების ჩამორთმევა;

მორიგი ამანათის ან გადაცემის მიღების უფლების ჩამორთმევა და ერთ თვემდე ვადით საკვები პროდუქტების ყიდვის აკრძალვა;

ამ კოდექსის 23-26-ე, 37-38 მუხლებით გათვალისწინებული გაუმჯობესებული პირობების გაუქმება;

შრომა-გასწორების კოლონიებში მყოფ მსჯავრდებულთა მოთავსება საჯარიმო იზოლატორში თხუთმეტ დღე-ღამემდე ვადით, სამუშაოდ ან სასწავლებლად გამოყვანით თუ გამოუყვანლად, ხოლო შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მყოფი მსჯავრდებულების სადისციპლინო იზოლატორში მოთავსება ათ დღე-ღამემდე ვადით;

საპყრობილეებში მყოფი მსჯავრდებულების მოთავსება კარცერში სამუშაოზე ან სასწავლებლად გამოუყვანლად თხუთმეტ დღეღამემდე ვადით;

საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში მოთავსებული მსჯავრდებულების გადაყვანა საკნის ტიპის სადგომში ექვს თვემდე ვადით, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში — სამარტოო საკნებში ერთ წლამდე ვადით, ხოლო საპყრობილეებში — მკაცრ რეჟიმში ორი თვიდან ექვს თვემდე ვადით; განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიების ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში მყოფ მსჯავრდებულთა გადაყვანა იმავე კოლონიის საკნის ტიპის სადგომებში.

მეძუძური დედები და ორსული ქალები არ გადაჰყავთ საჯარიმო იზოლატორში, საკნის ტიპის სადგომში, ხოლო საპყრობილეში მყოფნი— კარცერსა და მკაცრ რეჟიმში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებულნი, რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმის მოთხოვნებს, შეიძლება წარმოდგენილ იქნენ ვადასაყვანად: კოლონია-დასახლებებიდან იმ სახის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოსახდელად, რომელიც წინათ მათ განუსაზღვრა სასამართლომ; განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიიდან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაყვანილი მსჯავრდებულები — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში; შრომა-გასწორების კოლონიიდან — საპყრობილეში არა უმეტეს სამი წლის ვადით, სასჯელის დანარჩენი ვადის კოლონიაში მოხდით; საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან — გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში.

მუხლი 69. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ სასჯელის ღონისძიებათა გამოყენების წესი

სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნისას მხედველობაში იღებენ დარღვევის ჩადენის გარემოებებს, მსჯავრდებულის ყოფაქცევას გადაცდომამდე, ადრე დადებულ სასჯელთა რაოდენობასა და ხასიათს, აგრეთვე მის ახსნა-განმარტებას გადაცდომის არსზე, დადებული სასჯელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის გადაცდომის სიმძიმესა და ხასიათს.

ერთდროულად ჩადენილი რამდენიმე დარღვევისათვის იყენებენ ერთ სასჯელს.

სასჯელის დადება უნდა მოხდეს გადაცდომის აღმოჩენიდან არა უმეტეს ათი დღე-ღამისა, ხოლო თუ გადაცდომასთან დაკავშირებით ჩატარდა შემოწმება ან გამოძიება, მაშინ მათი დამთავრების დღიდან.

დადებულ სასჯელს აღასრულებენ დაუყოვნებლივ, ან არა უგვიანეს ერთი თვისა მისი დადების დღიდან. სასჯელის დადების დღიდან ერთი თვის გავლის შემდეგ სასჯელს არ აღასრულებენ.

მსჯავრდებულს უფლება აქვს გასაჩივრის მასზე დადებული სასჯელი ზემდგომ თანამდებობის პირთან, ოღონდ გასაჩივრება ვერ შეაჩერებს სასჯელის აღსრულებას.

თუ ერთი წლის განმავლობაში დღიდან სასჯელის მოხდისა მსჯავრდებულს ახალ სასჯელს არ დაადებენ, ის სასჯელის არმქონედ ჩაითვლება.

სასჯელის ღონისძიება საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის კოლონიებში საკნის ტიპის სადგომში შესახლების, აგრეთვე განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში სამარტოო საკანში შესახლების სახით ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ უშედეგოა ზემოქმედების ყველა სხვა გამოყენებული ღონისძიება. განმეორებით გადაყვანა გაუმჯობესებულ პირობებში შეიძლება მოხდეს არა უადრეს ერთი წლისა პატიმრობის გაუმჯობესებული პირობების შეცვლის მომენტიდან ან ერთი წლით ადრე, თუ სასჯელი, რომლის საფუძველზე შეიცვალა პატიმრობის გაუმჯობესებული პირობები, ვადამდე იქნა მოხსნილი.

განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში მოთავსებულ მსჯავრდებულთა გადაყვანა იმავე კოლონიის საკნის ტიპის სადგომში ხდება კოლონიის უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან. ასეთი პირების განმეორებით გადაყვანა ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში შეიძლება მოხდეს არა ნაკლებ ერთი წლის გასვლის შემდეგ საკნის ტიპის სადგომში მათი დაბრუნების დღიდან.

სასჯელს გაფრთხილების ან საყვედურის სახით, თავისუფლების აღკვეთის ადგილების სადგომებისა და ტერიტორიის დასასუფთავებლად რიგგარეშე მორიგეობის სახით, შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოთავსებული მსჯავრდებულებისათვის კინოს, კონცერტის ნახვის, სპორტულ თამაშში მონაწილეობის უფლების ერთჯერადი ჩამორთმევის სახით, ადებს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი ზეპირი ან წერილობითი ბრძანებით. ამ კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელებს, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში მოთავსებულ მსჯავრდებულთა გადაყვანისა იმავე კოლონიის საკნის ტიპის სადგომში, ადებს შრომა-გასწორების კოლონიის უფროსი თავისი დადგენილებით.

სასჯელს მორიგი ამანათის ან გადაცემის მიღების უფლების ჩამორთმევის სახით და ერთი თვის ვადით საკვები პროდუქტების შეძენის აკრძალვის სახით სრულად იყენებენ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ ამანათები და გადაცემები, და ნაწილობრივ — კვების პროდუქტების შეძენის ერთი თვით აკრძალვის სახით — იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არა აქვთ ამანათის ან გადაცემის მიღების უფლება.

იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომლებსაც აქვთ სასჯელის ზომების გამოყენების უფლება, აგრეთვე მათი უფლებამოსილების ფარგლებს განსაზღვრავს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

მუხლი 70. რეჟიმი საკნის ტიპის სადგომებსა და სამარტოო საკნებში

საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიების საკნის ტიპის, აგრეთვე განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის სამარტოო საკნის სადგომებში მოთავსებულ პირთათვის წესდება საპყრობილის მკაცრ რეჟიმში მსჯავრდებულთა მოთავსებისათვის ამ კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებული რეჟიმი.

განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის საკნის ტიპის სადგომსა და სამარტოო საკანში მოთავსებული მსჯავრდებულები მუშაობის დროს იზოლირებული უნდა იყვნენ სხვა მსჯავრდებულებისაგან.

არ დაიშვება მსჯავრდებულების ვადამდე გადაყვანა საკნის ტიპის სადგომებიდან და სამარტოო საკნიდან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს, საექიმო დასკვნის თანახმად, საჭიროა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მუხლი 71. რეჟიმი საჯარიმო ან სადისციპლინო იზოლატორსა და კარცერში

საჯარიმო ან სადისციპლინო იზოლატორში, აგრეთვე კარცერში მოთავსებულ მსჯავრდებულებს არა აქვთ პაემანის, ამანათების, გადაცემების, ბანდეროლების მიღების, საკვები პროდუქტების და პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენის, წერილების გაგზავნის, მაგიდის სათამაშოებით სარგებლობისა და თამბაქოს მოწევის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარიმო იზოლატორსა და კარცერში მოთავსებულ მსჯავრდებულებს არ ეძლევათ ლოგინი და ისინი არ გაჰყავთ სასეირნოდ.

სადისციპლინო იზოლატორში მოთავსებული მსჯავრდებულნი სარგებლობენ ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნებით.

საჯარიმო იზოლატორში სამუშაოზე გამოყვანით მოთავსებული მსჯავრდებულები სამუშაოზე გამოჰყავთ სხვა მსჯავრდებულებისაგან იზოლირებულად.

მსჯავრდებული კარცერში მარტოა მოთავსებული.

თავი მეთორმეტე
თავისუფლებააღკვეთილი პირების მატერიალური პასუხისმგებლობა

მუხლი 72. თავისუფლებააღკვეთილი პირების მატერიალური პასუხისმგებლობა

თავისუფლებააღკვეთილი პირები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან სასჯელის მოხდის დროს სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალისათვის:

ა) თუ ზარალი მიყენებულია მათ მიერ შრომითი მოვალეობის შესრულების პროცესში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით;

ბ) თუ ზარალი მიყენებულია სხვა მოქმედებით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის დროს ჩადენილი დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება საერთო წესით.

სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულთა განთავისუფლების შემდეგ სასჯელის მოხდისას აუნაზღაურებლად დარჩენილი ზარალი შეიძლება ანაზღაურებულ იქნას სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 73. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ მატერიალური ზარალის ანაზღაურების წესი

თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ სასჯელის მოხდის დროს სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება წარმოებს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით.

მსჯავრდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილება ზემდგომ თანამდებობის პირთან. გასაჩივრება ვერ შეაჩერებს ზარალის ანაზღაურებაზე გამოტანილი დადგენილების აღსრულებას.

ზემდგომ თანამდებობის პირს საამისო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეუძლია გააუქმოს ანაზღაურების შესახებ გამოტანილი დადგენილება ან შეცვალოს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.

უსწოროდ დაქვითული თანხა უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულს და ჩაირიცხოს მის პირად ანგარიშზე.

თავი მეცამეტე
თავისუფლებააღკვეთილ პირთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა და სამედიცინო მომსახურება

მუხლი 74. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა

პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საჭირო სანიტარო-საყოფაცხოვრებო პირობებით, რომლებიც შეესაბამება სანიტარიისა და ჰიგიენის წესებს. საცხოვრებელი ფართობის ნორმა ერთ მსჯავრდებულზე არ შეიძლება იყოს 2 კვადრატულ მეტრზე ნაკლები, ხოლო შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში — 2,5 კვადრატულ მეტრზე ნაკლები.

მსჯავრდებულს გამოუყოფენ ინდივიდუალურ საწოლ ადგილსა და ლოგინს. ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ტანსაცმლით, თეთრეულით და ფეხსაცმლით სეზონის მიხედვით და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მსჯავრდებულნი იღებენ ისეთ საკვებს, რომელიც უზრუნველყოფს მათი ორგანიზმის ნორმალურ ცხოველქმედობას. კვების ნორმები დიფერენცირებულია შრომა-გასწორების დაწესებულების ადგილმდებარეობის კლიმატური პირობების, მსჯავრდებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათისა და შრომისადმი მათი დამოკიდებულების მიხედვით. პირები, რომლებიც მოთავსებული არიან საერთოდ, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიების საჯარიმო, სადისციპლინო იზოლატორებში, კარცერში, საკნის ტიპის სადგომებში, აგრეთვე განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის სამარტოო საკანში, საკვებს შემცირებული ნორმებით იღებენ.

ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვანთ, აგრეთვე ავადმყოფებს უქმნიან გაუმჯობესებულ სანიტარო-საყოფაცხოვრებო პირობებს და უწესებენ კვებას გაძლიერებული ნორმით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის კვებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის ნორმებს აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 75. თავისუფლებააღკვეთილ პირთა სამედიცინო მომსახურება

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ეწყობა საჭირო სამკურნალო დაწესებულებები.

სამკურნალო-პროფილაქტიკური და ეპიდემიის საწინააღმდეგო მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ეწყობა და ტარდება ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის წესს, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო დაწესებულებათა გამოყენებისა და ამ მიზნით მათი სამედიცინო პერსონალის მოწვევის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

შრომა-გასწორების კოლონიებთან საჭირო შემთხვევაში ეწყობა ბავშვთა სახლები. მსჯავრდებულთ შეუძლიათ იქ მოათავსონ თავიანთი ორ წლამდე ასაკის ბავშვები.

მსჯავრდებულთა ბავშვებს ორი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გზავნიან შესაბამის საბავშვო დაწესებულებებში ან ისინი შეიძლება აღსაზრდელად გადასცენ მსჯავრდებულის ნათესავებს ან სხვა პირთ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 76. თავისუფლებააღკვეთილი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობა

თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთ, რომლებსაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ შეუფარდა იძულებითი მკურნალობა ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიისაგან, მკურნალობა უტარდებათ თავისუფლების აღკვეთის მოხდის დროს.

თუ თავისუფლების აღკვეთის მოხდის დროს დადგინდება, რომ მსჯავრდებული, რომლის მიმართ სასამართლოს არ შეუფარდებია იძულებითი მკურნალობა, არის ალკოჰოლიკი ან ნარკომანი, შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია სასამართლოს შრომა-გასწორების დაწესებულების ადგილსამყოფლის მიხედვით მიმართავს წარდგინებით მსჯავრდებულის მიმართ იძულებითი მკურნალობის გამოყენების შესახებ.

თუ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების დროისათვის მსჯავრდებულის თლომ შეუფარდა მკურნალობა არ არის დასრულებული, შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსს სასამართლოში შეაქვს წარდგინება სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობის გაგრძელების შესახებ.

თავი მეთოთხმეტე
თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმოსვლა უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე

მუხლი 77. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმოსვლა უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე

შრომა-გასწორების კოლონიის ფარგლებს გარეთ უბადრაგოდ მიმოსვლის ნება, თუ ეს აუცილებელია მსჯავრდებულთა მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით, შეიძლება გამონაკლის შემთხვევებში მიეცეს მსჯავრდებულთ, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის მოხდის შემდეგ, ხოლო მსჯავრდებულთ, რომელთა მიმართ კანონის შესაბამისად არ იყენებენ ვადამდე პირობით განთავისუფლებას, — სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ.

შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მოთავსებულ მსჯავრდებულთ, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას და რომლებმაც მოიხადეს თავისუფლების აღკვეთის არანაკლებ ექვსი თვე, შეიძლება მიეცეთ კოლონიის ფარგლებს გარეთ გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლება, თუ ეს აუცილებელია მსჯავრდებულთა მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით.

მუხლი 78. თავისუფლებააღკვეთილ პირთა უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლების შეზღუდვა

არ დაიშვება უბადრაგოდ ან შესაბამისად გამყოლის გარეშე კოლონიის ფარგლებს გარეთ მიმოსვლა: განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა; განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებულებისა; მსჯავრდებულებისა, რომლებსაც სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით; მსჯავრდებულებისა ბანდიტიზმისათვის, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისათვის და გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებაში, საგალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებაში, ძარცვისათვის დამამძიმებელ გარემოებაში, ყაჩაღობისათვის დამამძიმებელ გარემოებაში, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებაში, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებაში, გაუპატიურებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამამძიმებელ გარემოებაში, მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის, განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის, ყაჩაღური თავდასხმით ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების და ფეთქებად ნივთიერებათა დატაცებისათვის; მსჯავრდებულებისა, რომლებმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის პერიოდში ჩაიდინეს ახალი განზრახი დანაშაული; მსჯავრდებულებისა, რომლებიც სარგებლობდნენ უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლებით, მაგრამ ჩამოერთვათ ეს უფლება ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით; მსჯავრდებულებისა, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე მსჯავრდებულებისა; მსჯავრდებულებისა, რომელთაც სასამართლომ შეუფარდა იძულებითი მკურნალობა ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან.

არ დაიშვება მსჯავრდებულთა უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლა ქ. თბილისში, სასაზღვრო და საკურორტო ადგილებში, აგრეთვე სხვა დასახლებულ პუნქტებში, რომელთაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 79. თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთათვის უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლების მიცემის წესი

შრომა-გასწორების კოლონიის ფარგლებს გარეთ უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლება მსჯავრდებულთ ეძლევათ შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან ან, შესაბამისად, არასრულწლოვანთა საქმეთა კომისიასთან. ასეთ მსჯავრდებულთა ცხოვრება კოლონიის ფარგლებს გარეთ აკრძალულია.

უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლება ერცელდება მხოლოდ სამუშაოს შესრულების დროზე, განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში ან განსაზღვრული მარშრუტით.

იმ მსჯავრდებულთა ქცევის წესებს, რომელთაც კოლონიის ფარგლებს გარეთ უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლება აქვთ, ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი.

მსჯავრდებულთა მიერ რეჟიმის ან ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე სამუშაოს ხასიათის შეცვლისას მსჯავრდებულთა უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლის უფლებას აუქმებს კოლონიის უფროსი თავისი დადგენილებით.

მუხლი 80. მსჯავრდებული ქალების კოლონის გარეთ ცხოვრება

მსჯავრდებულ ქალებს, თუ ისინი კეთილსინდისიერად ეკიდებიან შრომას და იცავენ რეჟიმის მოთხოვნებს, შრომა-გასწორების კოლონიის უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან, შეიძლება დაერთოთ კოლონიის გარეთ ცხოვრების ნება ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებით სამუშაოდან განთავისუფლების დროის განმავლობაში, აგრეთვე ბავშვის ორი წლის ასაკის მიღწევამდე.

მსჯავრდებულ ქალებს, რომელთაც კოლონიის გარეთ ცხოვრების ნება აქვთ:

დაასახლებენ კოლონიის ტერიტორიის ახლოს, კოლონიის საცხოვრებელ სადგომებში და ისინი იმყოფებიან კოლონიის ადმინისტრაციის მუდმივ მეთვალყურეობაში;

შეუძლიათ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, შეუძლიათ თან იქონიონ ფული და ძვირფასი ნივთები, შეუზღუდავად ისარგებლონ ფულით;

შეუძლიათ შეუზღუდავად გაგზავნონ წერილები, მიიღონ ფულადი გზავნილები, ჰქონდეთ პაემანი ახლო ნათესავებთან ან სხვა პირებთან, მიიღონ ამანათები, გადაცემები და ბანდეროლები;

ადგომიდან დაწოლის საათამდე ისარგებლონ თავისუფალი მიმოსვლის უფლებით იმ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებს დაადგენს კოლონიის უფროსი;

მშობიარობის შემდეგ სამუშაოდან განთავისუფლების პერიოდის დამთავრებისთანავე ასრულებენ სამუშაოს კოლონიის ადმინისტრაციის მითითებით და იღებენ ხელფასს საერთო საფუძველზე იმ სხვა მსჯავრდებულების თანაბრად, რომლებიც სასჯელს იხდიან ამ სახეობის შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

რეჟიმისა და ქცევის წესების სისტემატური ან ბოროტი დარღვევის შემთხვევაში შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან, კოლონიის გარეთ ცხოვრების უფლება უქმდება, ხოლო მსჯავრდებულ ქალებს შეასახლებენ კოლონიაში სასჯელის შემდგომი მოხდისათვის.

თავი მეთხუთმეტე
უშიშროების ღონისძიებანი და იარაღის გამოყენების საფუძვლები

მუხლი 81. უშიშროების ღონისძიებანი, რომლებსაც იყენებენ თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ, თუ ისინი ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევენ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაკებს, შმაგობენ ან ჩადიან სხვა ძალმომრეობით მოქმედებას, გარშემო მყოფთათვის ან საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით დასაშვებია ხელბორკილების ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება.

მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა და მსჯავრდებულ ქალთა მიმართ დამაწყნარებელ პერანგს არ იყენებენ.

მუხლი 82. იარაღის გამოყენების საფუძველი

იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლებააღკვეთილი პირი ჩაიდენს თავდასხმას ან სხვა განზრახ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ ემუქრება შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაკების ან სხვა პირთა სიცოცხლეს, აგრეთვე პატიმრობიდან გაქცევის შემთხვევაში გამონაკლისი ღონისძიების სახით დასაშვებია იარაღის გამოყენება, თუ სხვა ღონისძიებით შეუძლებელია აღნიშნული მოქმედების აღკვეთა. ქალებისა და არასრულწლოვანთა გაქცევის დროს იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

იარაღის გამოყენების თითოეული შემთხვევის შესახებ თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს.

კარი IV

გადასახლების სახით სასჯელის მოხდის წესი და პირობები

თავი მეთექვსმეტე
გადასახლების სახით სასჯელის მოხდის წესი და პირობები

მუხლი 83. გადასახლების მოხდის ადგილები

გადასახლებამისჯილი პირნი სასჯელს იხდიან ამ მიზნისათვის განკუთვნილ ადგილას.

საცხოვრებლად განსაზღვრული ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში გადასახლებული თავის შეხედულებისამებრ ირჩევს საცხოვრებელ ადგილს.

მუხლი 84. გადასახლებაში გაგზავნა

გადასახლებამისჯილთ სასჯელის მოხდის ადგილას გზავნიან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის ან განაჩენის შესასრულებლად მიქცევის დღიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადისა სახელმწიფოს ხარჯზე, უბადრაგოდ ან ბადრაგით.

უბადრაგოდ ან ბადრაგით გადასახლებაში მსჯავრდებულის გაგზავნის საკითხს ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო გადაწყვეტს განაჩენის გამოტანისას შემდეგ შემთხვევაში:

გადასახლების ძირითად სასჯელად დანიშვნისას;

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას — იმ შემთხვევებში, როდესაც გადასახლება დანიშნულია დამატებითი სასჯელის სახით;

თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით — გადასახლებით — შეცვლისას.

მსჯავრდებული, რომელმაც მოიხადა ძირითადი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, თუ მას სასამართლოს მიერ დამატებით სასჯელად დანიშნული ჰქონდა გადასახლება, გადასახლების მოხდის ადგილზე იგზავნება ბადრაგით.

როდესაც მსჯავრდებული სასჯელის მოხდის ადგილზე უბადრაგოდ იგზავნება, ამ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოები მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ადგილზე წარსადგენად ჩააბარებენ მიწერილობას გამგზავრების მარშრუტის და ჩასვლის ვადის აღნიშვნით, მგზავრობის მანძილზე უზრუნველყოფენ მას სამგზავრო ხარჯებით, ტანსაცმლით და ფეხსაცმლით სეზონის მიხედვით და კვებით. მსჯავრდებულს განუმარტავენ მის მოვალეობებსა და უფლებებს და პასუხისმგებლობას გადასახლების ადგილიდან ან გზიდან გაქცევისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის შესაბამისად, რის შესახებაც მას ჩამოართმევენ ხელწერილს.

თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს გადასახლების ადგილზე გამგზავრებას, განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოები დააკავებენ მსჯავრდებულს და მასალებს დაუყოვნებლივ გადაგზავნიან რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში მსჯავრდებულის გადასახლების ადგილზე ბადრაგით გაგზავნის შესახებ საკითხის განსახილველად, არა უგვიანეს სამი დღეღამისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის შესაბამისად.

სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ პატიმრობაში ყოფნისა და გადასახლების ადგილამდე ბადრაგით მგზავრობის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში შემდეგი ანგარიშით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმრობაში ან ბადრაგქვეშ ყოფნის ერთი დღე—გადასახლების სამ დღედ; გადასახლების მოხდის ადგილამდე უბადრაგოდ მგზავრობისას გზაში ყოფნის ერთი დღე — გადასახლების ერთ დღედ.

მუხლი 85. გადასახლების მოხდის რეჟიმი

გადასახლებამისჯილი იმყოფება ამ სასჯელის აღსრულების გამგებელი ორგანოების ზედამხედველობაში.

იმ რაიონში ჩასვლისას, რომელიც მსჯავრდებულს მიჩენილი აქვს გადასახლების მოსახდელად, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს რეგისტრაციისათვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, ყოველთვიურად დაწესებულ დროს აღრიცხვისათვის გამოცხადდეს ამ ორგანოში, ხოლო გადასახლებულის მიმართ კონტროლის გაძლიერების აუცილებლობისას, იმ შემთხვევაში, რომელსაც განსაზღვრავს ამ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს ხელმძღვანელი, რეგისტრაციისათვის გამოცხადდეს თვეში არა უმეტეს ოთხჯერ, ამ ორგანოს აცნობოს წინასწარ, არა უგვიანეს სამი დღისა, საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაოს გამოცვლის შესახებ.

სასჯელის მოხდის მანძილზე გადასახლებული ცხოვრობს უპასპორტოდ, რომლის ნაცვლად მას სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანო აძლევს პირადობის მოწმობას.

მსჯავრდებულის გასვლა ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს გარეთ შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ ამ კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

ამ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ გადასახლებულის ყოფნას მისთვის საცხოვრებლად განსაზღვრულ ადგილზე, მის ყოფაქცევას სამუშაო და საცხოვრებელ ადგილას და აუცილებელ შემთხვევაში გამოიძახებენ მას ახსნა-განმარტებისათვის. საპატიო მიზეზის გარეშე ამ სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოში გადასახლებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მსჯავრდებული შეიძლება მოყვანილ იქნეს იძულებით.

მუხლი 86. გადასახლების მოხდის პირობები

გადასახლებულ პირთა გამოსწორება და ხელახალი აღზრდა ხორციელდება მათი შრომისუნარიანობის გათვალისწინებით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში აუცილებლად ჩაბმის საფუძველზე.

სამუშაოზე ადგილისა და სახეობის არჩევა გადასახლებულს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გადასახლებულის სასჯელის მოხდის ადგილას ჩასვლის დღიდან არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა უზრუნველყოფს მას სამუშაოთი მისი შრომისუნარიანობისა და, შეძლებისდაგვარად, სპეციალობის გათვალისწინებით, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობით და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოს დაწყებამდე უწევს მას მატერიალურ დახმარებას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მითითებები გადასახლებულთა შრომითი მოწყობის შესახებ სავალდებულოა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის.

თუ ადგილობრივ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საშუალება არა აქვს გადასახლებული თავისი სპეციალობის მიხედვით მოაწყოს სამუშაოზე, მაშინ ამ სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოს შეუძლია გადასახლებული გადაიყვანოს სხვა ადმინისტრაციულ რაიონში, მაგრამ სასჯელის მოხდისათვის დანიშნული ადგილის ფარგლებში, სადაც არის გადასახლებულის შესაფერის სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობა.

გადასახლებულთა შრომა წესრიგდება შრომის კანონმდებლობით საერთო საფუძველზე.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდების შემთხვევაში გადასახლებულები პასუხს აგებენ საერთო საფუძველზე.

მუხლი 87. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა გადასახლებულებთან

გადასახლებულებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მსჯავრდებულთა სამუშაო ადგილის მიხედვით, აგრეთვე საზოგადოებრიობა — მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადასახლებულებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაში მონაწილეობას იღებენ ამ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს მუშაკები.

მსჯავრდებულთ წაახალისებენ პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, რასაც მხედველობაში იღებენ მათი გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას.

მუხლი 88. გადასახლებულთა სამუშაო ადგილის საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობანი

გადასახლებულთა სამუშაო ადგილის საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციას ევალება:

კონტროლის დაწესება მსჯავრდებულთა ქცევაზე წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჯავრდებულთა შრომითი აღზრდა შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების სულისკვეთებით;

მსჯავრდებულთა მიმართ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებების გამოყენება;

ამ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოებისათვის მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებებისა და მსჯავრდებულის მიერ გადასახლების მოხდის რეჟიმის დარღვევის შეტყობინება.

მუხლი 89. გადასახლებულის დროებით წასვლა მისთვის საცხოვრებლად მიჩენილი ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს გარეთ

გადასახლებულს მისთვის საცხოვრებლად მიჩენილი ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს გარეთ წასვლის ნებართვა შეიძლება მიეცეს შემდეგ შემთხვევებში:

როგორც წახალისება კარგი ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებისათვის — მორიგი შვებულების დროს;

თუ გამოიძახა სასწავლო დაწესებულებამ სასწავლო სესიისათვის, სახელმწიფო გამოცდისათვის, დიპლომის დასაცავად, — გამოძახებაში მითითებული ვადით;

თუ აუცილებელია სპეციალური მკურნალობა, როცა ადგილზე სათანადო სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლებელია, — სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის ვადით;

თუ გარდაიცვალა ან მძიმე ავადმყოფია ახლო ნათესავი, ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში —10 დღე-ღამემდე ვადით;

სასამსახურო მივლინების დროს — მივლინების ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღე-ღამისა.

ამ შემთხვევებში საცხოვრებლად განკუთვნილი ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს გარეთ ყოფნა ჩაითვლება სასჯელის მოხდის ვადაში.

გადასახლებულის დროებითი წასვლის ნებართვა გაიცემა ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით.

გადასახლებული, რომელსაც მიეცა დროებით წასვლის ნებართვა, მოვალეა რეგისტრაციაში გატარდეს თავისი დროებით სამყოფი ადგილის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

საპატიო მიზეზის გარეშე გადასახლებულის დაგვიანებით გამოცხადება სასჯელის მოხდის ადგილზე გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას ამ კოდექსის 91-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 90. გადასახლებულთა წახალისების ღონისძიებანი

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაცია გადასახლებულთა სამუშაო ადგილის მიხედვით, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, იყენებს გადასახლებულთა წახალისების ღონისძიებებს საერთო საფუძვლებზე.

გადასახლების შესახებ განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოს ხელმძღვანელს გადასახლებულთა წასახალისებლად სანიმუშო ყოფაქცევისა და პატიოსანი შრომისათვის შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ღონისძიებანი:

მადლობის გამოცხადება;

ადრე დადებული სასჯელის ვადამდე მოხსნა;

მორიგე შვებულების განმავლობაში გადასახლებულისათვის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს გარეთ წასვლის ნებართვის მიცემა.

ის გადასახლებულნი, რომლებმაც სანიმუშო ყოფაქცევით და პატიოსანი შრომით დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება, შეიძლება კანონით დადგენილი წესით წარდგენილ იქნენ სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისათვის.

მუხლი 91. სასჯელის ღონისძიებანი, რომელთაც იყენებენ გადასახლებულთა მიმართ

სასჯელის ღონისძიებებს გადასახლებულთა მიმართ მათი სამუშაო ადგილის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს საერთო საფუძველზე შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახლების რეჟიმის დარღვევისათვის გადასახლების შესახებ განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანოს ხელმძღვანელს შეუძლია გადასახლებულის მიმართ გამოიყენოს სასჯელის შემდეგი ღონისძიებანი:

გაფრთხილება;

საყვედური;

ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში საცხოვრებელი ადგილის შეზღუდვა ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის საზღვრებით ექვს თვემდე ვადით.

სასჯელის დადების წინ მსჯავრდებულისაგან მოითხოვენ წერილობით ახსნა-განმარტებას, რომელიც უნდა შემოწმდეს.

სასჯელი არ შეიძლება დადებულ იქნეს გადაცდომის გამოვლინებიდან ერთი თვის და შემოწმების დამთავრების დღიდან ორი კვირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასვლის შემდეგ, დადგენილება სასჯელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემდგომ თანამდებობის პირთან. საჩივრის შეტანა სასჯელის აღსრულებას ვერ შეაჩერებს.

თუ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ დაედება ახალი სასჯელი, ის ითვლება სასჯელის არმქონედ.

კარი V

გასახლების სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

თავი მეჩვიდმეტე
გასახლების სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

მუხლი 92. საცხოვრებელი ადგილიდან გასახლებულთა გაძევების წესი

გასახლებამისჯილ მსჯავრდებულთ მათი საცხოვრებელი ადგილიდან აძევებენ ათი დღის ვადაში დღიდან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა ან აღსასრულებლად მისი მიქცევისა. მსჯავრდებულს გამოუძახებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ორგანოში და ჩამოართმევენ პირობას მისთვის საცხოვრებლად აკრძალული ადგილის დადგენილ ვადაში დატოვების შესახებ. ამასთან ერთად გასახლებულს განუმარტავენ მის მოვალეობებსა და უფლებებს; აფრთხილებენ იმის შესახებ, რომ საცხოვრებლად აკრძალულ ადგილებში თვითნებურად დაბრუნებისათვის დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის შესაბამისად.

თუ გასახლებული საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოში, ის შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი.

გასახლებამისჯილნი თავიანთ ხარჯზე მიემგზავრებიან მათთვის საცხოვრებლად აკრძალული ადგილიდან. ამ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოები გამონაკლის შემთხვევაში გასახლებულს უწევენ მატერიალურ დახმარებას საცხოვრებლად აკრძალული ადგილიდან წასასვლელად.

თუ გასახლებამისჯილნი თავს აარიდებენ საცხოვრებელი ადგილიდან გამგზავრებას, ისინი შეიძლება გაძევებულ იქნენ იძულებითი წესით ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს მიერ.

მუხლი 93. გასახლების მოხდის პირობები

გასახლებული სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს ირჩევს თავის შეხედულებისამებრ, გარდა მისთვის სასამართლოს განაჩენით საცხოვრებლად აკრძალული ადგილებისა.

საცხოვრებლად ამორჩეულ ადგილზე ჩასვლის შემდეგ გასახლებული მოვალეა ჩასვლის დღიდან არაუგვიანეს სამი დღე-ღამის განმავლობაში აცნობოს თავისი ჩასვლის, ხოლო შემდეგ — მუშაობის დაწყებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც ამ ცნობებს შეატყობინებს მსჯავრდების ადგილის შინაგან საქმეთა ორგანოს.

საცხოვრებლად აკრძალულ ადგილებში გასახლებულის შესვლა შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომელიც დადგენილია ამ კოდექსის 94-ე მუხლით.

გასახლებულ პირთა შრომა წესრიგდება შრომის კანონმდებლობით საერთო საფუძველზე.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები გასახლებულთ უწევენ დახმარებას სამუშაოზე მოწყობასა და საცხოვრებელი ფართობის მიღებაში.

გასახლებულებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ტარდება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც მიმართულია შრომისადმი მათი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის, სოციალისტური საკუთრებისადმი მომჭირნედ დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდისაკენ, მსჯავრდებულთა შეგნებულობისა და კულტურული დონის ამაღლებისაკენ.

მუხლი 94. გადასახლებულის დროებით შესვლა მისთვის საცხოვრებლად აკრძალულ ადგილებში

გასახლებულს შეიძლება მიეცეს მისთვის საცხოვრებლად აკრძალულ ადგილებში დროებით შესვლის ნებართვა შემდეგ. შემთხვევებში:

კარგი ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებისათვის წახალისებისას — მორიგი შვებულების განმავლობაში;

სასწავლო დაწესებულებაში გამოძახებისას სასწავლო სესიისათვის, სახელმწიფო გამოცდისათვის, დიპლომის დასაცავად — გამოძახებაში მითითებული ვადით;

ახლო ნათესავის სიკვდილის ან მძიმე ავადმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფობის, ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში — თხუთმეტ დღემდე ვადით;

იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია სპეციალური მკურნალობა, მაგრამ ადგილზე შეუძლებელია სათანადო სამედიცინო დახმარების მიღება, — სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში.

სასამსახურო მივლინებისას — არაუმეტეს ათი დღე-ღამის ვადით.

ამ შემთხვევაში საცხოვრებლად აკრძალულ ადგილებში ყოფნის დროს ჩაითვლება სასჯელის მოხდის ვადაში.

საცხოვრებლად აკრძალულ ადგილებში გასახლებულის დროებით შესვლის ნებართვას გასცემენ გასახლებულის ადგილსამყოფელის მიხედვით შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე, რასაც შეატყობინებენ მსჯავრდების ადგილის შინაგან საქმეთა ორგანოს.

გასახლებული, რომელსაც დროებით შესვლის ნება დაერთო, მოვალეა რეგისტრაციაში გატარდეს დროებით შესვლის ადგილის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

მუხლი 95. წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებანი, რომლებსაც იყენებენ გასახლებულთა მიმართ

იმ პირთა მიმართ, რომლებიც იხდიან გასახლებას, მათი სამუშაო ადგილის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო საფუძველზე.

გასახლებული პირნი, რომლებმაც სანიმუშო ყოფაქცევითა და პატიოსანი შრომით დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება, კანონით დადგენილი წესით შეიძლება წარდგენილ იქნენ ვადამდე პირობით გასანთავისუფლებლად ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისათვის.

კარი VI

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები

თავი მეთვრამეტე
თავისუფლების აღუკვეთლად, გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის მოხდის წესი და პირობები

მუხლი 96. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახეები

მსჯავრდებულნი გამასწორებელ სამუშაოებს თავისუფლების აღუკვეთლად, სასამართლოს განაჩენის შესაბამისად, იხდიან თავიანთი მუშაობის ადგილას ან სხვა ადგილებში, რომელსაც ადგენენ ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოები, მაგრამ მსჯავრდებულის საცხოვრებელ რაიონში, მისი შრომისუნარიანობისა და, თუ ეს შესაძლებელია, სპეციალობის გათვალისწინებით. არასრულწლოვანთა მიმართ, გარდა ამისა, მხედველობაში იღებენ აუცილებლობას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ზედამხედველობა მათ ყოფაქცევასა და მათ მიერ საწარმოო კვალიფიკაციის მიღებაზე.

მუხლი 97. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის წესი

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების განაჩენი აღსრულდება არაუგვიანეს ათი დღის ვადისა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის ან მისი აღსრულებისათვის მიქცევის დღიდან.

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოებს მსჯავრდებულნი იხდიან სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

პირნი, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მუშაობის ადგილის მიხედვით, სამუშაოდ რჩებიან იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სადაც ისინი მსჯავრდებამდე მუშაობდნენ, უწინდელ თანამდებობასა ან სამუშაოზე. ამ პირთა გადაყვანა სხვა თანამდებობაზე ან სამუშაოზე შეიძლება მხოლოდ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საერთო საფუძვლებზე.

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სხვა ადგილებში მოხდა წარმოებს იმ დასახლებული პუნქტის ფარგლებში, სადაც მსჯავრდებული ცხოვრობს, ან იმ ადგილებში, საიდანაც მას საშუალება აქვს ყოველდღე დაუბრუნდეს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

მუხლი 98. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის აღსრულების ორგანიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირთა გამოსწორება და ხელახალი აღზრდა, რომლებიც გამასწორებელ სამუშაოებს იხდიან თავისუფლების აღუკვეთლად, წარმოებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი მონაწილეობის საფუძველზე. კონტროლს მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე და მათთან პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით ახორციელებენ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივები.

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებული პირნი მოვალენი არიან დაიცვან სასჯელის მოხდისათვის დადგენილი წესები, გამოძახებისთანავე გამოცხადდნენ ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოში. საპატიო მიზეზის გარეშე ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მსჯავრდებული შეიძლება მოყვანილი იქნეს იძულებითი წესით.

განაჩენის გამოტანის შემდეგ მსჯავრდებულთა შრომისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოები სასამართლოს წინაშე აღძრავენ შუამდგომლობას თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ. სასამართლოს მიერ ამ შუამდგომლობის განხილვამდე აღნიშნული პირები გამასწორებელ სამუშაოებს არ იხდიან.

იმ პირს, რომელსაც მიესაჯა გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად სხვა ადგილებში მოხდით, გამოიძახებს ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანო და არა უგვიანეს ათი დღის ვადისა სამუშაოდ გზავნის შესაბამის საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 99. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადა

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადა გამოითვლება იმ თვეებითა და დღეებით, რომელთა განმავლობაში მსჯავრდებული მუშაობდა და მისი ხელფასიდან წარმოებდა დაქვითვა.

მსჯავრდებულის ნამუშევარი დღეების რაოდენობა არ უნდა იყოს იმ სამუშაო დღეების რაოდენობაზე ნაკლები, რომლებიც მოდის სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის კალენდარულ ვადაზე. თუ მსჯავრდებულმა არ გამოიმუშავა სამუშაო დღეების აღნიშნული რაოდენობა და არ არის ამ კოდექსით დადგენილი გამოუმუშავებელი დღეების სასჯელის ვადაში ჩათვლის საფუძველი, გამასწორებელი სამუშაოების მოხდა გრძელდება მანამ, სანამ დაწესებული სამუშაო დღეებს მსჯავრდებული სრულიად გამოიმუშავებს.

სასჯელის მოხდის ვადაში ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში მსჯავრდებული საპატიო მიზეზის გამო არ მუშაობდა და მას კანონის შესაბამისად ეძლეოდა ხელფასი. ამ ვადაში ჩაითვლება ავადმყოფობის დრო, ავადმყოფის მოვლისათვის მიცემული დრო, აგრეთვე ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით შვებულებაში ყოფნის დრო. იმ ავადმყოფობის დრო, რომელიც გამოწვეულია სიმთვრალით, ჯანმრთელობისათვის ზიანის განზრახ მიყენებით, აგრეთვე სხვა მიზეზებით, რომელთა დაკავშირებით დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო არ გაიცემა, არ ჩაითვლება გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადაში.

მსჯავრდებულ კოლმეურნეებს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვლებათ აგრეთვე ის დრო, როდესაც ობიექტური პირობების გამო მაი ვერ მისცემენ სამუშაოს, თუ ნამუშევარი დღეების საერთო რაოდენობა ნაკლები არ არის მეურნეობაში კოლმეურნეებისათვის დაწესებულ წლიურ მინიმუმზე მისი ცალკეული პერიოდების მიხედვით.

თუ გამასწორებელი სამუშაოების მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ახალი სამართალდარღვევისათვის შეეფარდება ადმინისტრაციული სასჯელი პატიმრობის სახით ან დაპატიმრება აღმკვეთი ღონისძიების წესით, მაშინ პატიმრობის ვადა გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადაში არ ჩაითვლება.

მუხლი 100. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის პირობები

იმ პირთა ხელფასიდან, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები, სასჯელის მოხდის ვადის განმავლობაში სახელმწიფოს სასარგებლოდ აწარმოებენ დაქვითვას სასამართლოს განაჩენით დადგენილი ოდენობითა და ამ კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადის განმავლობაში აკრძალულია მსჯავრდებულის დათხოვნა საკუთარი სურვილით ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოების ნებართვის გარეშე. საკუთარი სურვილით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მსჯავრდებულის განცხადების მიღებისას ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოები ამოწმებენ მსჯავრდებულის თხოვნის საფუძვლიანობას, მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციასა და პროფესიულ ორგანიზაციას ეკითხებიან აზრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შესახებ, რის შემდეგ განცხადების გამო გამოაქვთ მოტივირებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის საკუთარი სურვილით სამუშაოდან განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემდგომ თანამდებობის პირთან.

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის დრო მსჯავრდებულს არ ეთვლება შრომის საერთო და უწყვეტ სტაჟში, რის შესახებაც ჩაიწერება მის შრომის წიგნაკში.

თუ სასჯელმოხდილი პირი კეთილსინდისიერად მუშაობდა და სანიმუშოდ იქცეოდა თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის პერიოდში, ეს დრო მას შეიძლება ჩაეთვალოს შრომის საერთო სტაჟში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულ პირთ სასჯელის მოხდის დროს არ ეძლევათ მორიგი შვებულება.

სასჯელის მოხდის დრო არ ითვლება სტაჟში, რომელიც იძლევა შვებულების, შეღავათებისა და ხელფასის დანამატების მიღების უფლებას.

იმ პირთ, რომლებიც იხდიან თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოებს, დახმარება შრომისუუნარობის, ორსულობისა და შობიარობის შემთხვევაში ეანგარიშებათ ხელფასიდან, სასამართლოს განაჩენით დანიშნულ დაქვითვათა გამოკლებით.

მუხლი 101. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულთა ხელფასიდან დაქვითვის წესი

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულთა ხელფასიდან დაქვითვა სახელმწიფოს სასარგებლოდ წარმოებს ხელფასის მთელი თანხიდან, ამ თანხიდან, გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გამოუკლებლივ, აგრეთვე მსჯავრდებულის მიმართ აღმასრულებელი დოკუმენტებით წაყენებული პრეტენზიების მიუხედავად.

დაქვითვას მსჯავრდებულის ხელფასიდან ყოველი ნამუშევარი თვისათვის თვის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემისას ახდენს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს, ხოლო სამუშაოდან დათხოვნისას — თვის ნამუშევარი ნაწილის მიხედვით. შეთავსებით მომუშავე პირთა ხელფასიდან დაქვითვა სასამართლოს განაჩენით დადგენილი ოდენობით წარმოებს მსჯავრდებულის თითოეული სამუშაო ადგილის ხელფასიდან. ხელფასის გაცემის დღეს მსჯავრდებულის ხელფასიდან დაქვითული თანხა დადგენილი წესით გადაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში.

დაქვითვა არ ხდება სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის წესით მიღებული პენსიიდან და დახმარებიდან; ერთდროული ხასიათის გადასახდელებიდან, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ხელფასის სისტემით; მივლინებებთან, გადაყვანასთან, სამუშაოზე ხელახლა მიღებასთან და სხვა ადგილას სამუშაოზე გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის კომპენსაციის სახით გაცემული თანხებიდან და სხვა საკომპენსაციო გადასახდელებიდან.

მსჯავრდებული კოლმეურნეების ხელფასიდან დაქვითვის დროს ხელფასში ჩაითვლება მათი შემოსავლის როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ნაწილი. მსჯავრდებულებისაგან დაქვითული შემოსავლის ნატურალური ნაწილი რჩება კოლმეურნეობის განკარგულებაში, ხოლო მისი ღირებულება სახელმწიფო შესყიდვის ფასებში ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში. დაქვითული ფულადი თანხები ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში ყოველთვიურად გარანტირებული ხელფასის გაცემის დღეს. შემოსავლის ნატურალური ნაწილიდან დაქვითვა წარმოებს მისი შემოსვლისთანავე და საბოლოო ანგარიშსწორების დროს — სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით.

ყველა შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს განაჩენი გამასწორებელი სამუშაოების შესახებ საქმის მოსპობის გამო გაუქმებულია, მსჯავრდებულის ხელფასიდან დაკავებული თანხა მთლიანად უბრუნდება მას.

მუხლი 102. მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ადგილის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობანი

მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ადგილის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას ევალება:

კოლექტივის წევრებს გააცნოს სასამართლოს განაჩენი;

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოლექტივის წევრების მონაწილეობით კონტროლი გაუწიოს მსჯავრდებულის ყოფაქცევას წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში და მსჯავრდებულებთან ჩაატაროს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მათი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის;

აწარმოოს მსჯავრდებულის შრომითი აღზრდა შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების, შრომითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის სულისკვეთებით;

დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოებს მსჯავრდებულზე განაჩენის ასლის მიღების, მის მიმართ გამოყენებული წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებების შესახებ;

სწორად და დროულად დაქვითოს მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ და დროზე გადარიცხოს დადგენილი წესით დაკავებული თანხა;

მკაცრად დაიცვას თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 103. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაობის აღსრულების განმგებელი ორგანოების მოვალეობანი

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების აღსრულების განმგებელ ორგანოებს ევალებათ:

პერსონალურად აღრიცხონ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებული პირები;

სამუშაოზე გაგზავნონ ის პირნი, რომლებიც მსჯავრდებული არიან გამასწორებელი სამუშაოების სხვა ადგილებში მოხდით;

როცა აუცილებელია, სამუშაოზე მოწყობაში დაეხმარონ იმ პირთ, რომლებიც მსჯავრდებული არიან გამასწორებელი სამუშაოების თავის სამუშაო ადგილზე მოხდით;

კონტროლი გაუწიონ მსჯავრდებულთა ხელფასიდან დაქვითების სწორად წარმოებას და ადმინისტრაციის მიერ ამ კოდექსით დადგენილი სასჯელის მოხდის პირობების დაცვას;

მონაწილეობა მიიღონ მსჯავრდებულებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში;

გამოიყენონ მსჯავრდებულების მიმართ ამ კოდექსის 104-ე და 105-ე მუხლებით გათვალისწინებული წახალისებისა და სასჯელის ღონისძიებანი;

შინაგან საქმეთა სხვა ორგანოებთან ერთად მოაწყონ იმ მსჯავრდებულთა ძებნა, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი უცნობია.

მუხლი 104. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულ პირთა წახალისების ღონისძიებანი

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულთა წასახალისებელ ღონისძიებებს სასჯელის მოხდის ადგილის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანო მსჯავრდებულთა წასახალისებლად კარგი ყოფაქცევისა და პატიოსანი შრომისათვის იყენებს შემდეგ ღონისძიებებს:

მადლობის გამოცხადება;

ადრე დადებული სასჯელის ვადამდე მოხსნა.

მსჯავრდებულნი, რომლებმაც სანიმუშო ქცევით, პატიოსანი შრომითა და სწავლით დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება წარდგენილ იქნენ ვადამდე პირობი თგასანთავისუფლებლად ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შესაცვლელად.

მუხლი 105. სასჯელის ღონისძიებანი თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულ პირთა მიმართ

სასჯელის მოხდის ადგილის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მსჯავრდებულ პირთა მიმართ იყენებს სასჯელის ღონისიძებებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

ორგანო, რომელიც აღასრულებს სასჯელს თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით, სასჯელის მოხდის დადგენილი წესის დარღვევისათვის იყენებს სასჯელის შემდეგ ღონისძიებებს:

შენიშვნა;

საყვედური.

თუ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუაშოებით მსჯავრდებული პირი თავს არიდებს სასჯელის მოხდას, ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელმა ორგანომ მას შეიძლება მისცეს გაფრთხილება.

არ შეიძლება სასჯელის დადება გადაცდომის აღმოჩენის დღიდან ერთი თვის და შემოწმების დამთავრების დღიდან ორი კვირის შემდეგ.

დადგენილება სასჯელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემდგომ თანამდებობის პირთან. გასაჩივრება არ შეაჩერებს სასჯელის აღსრულებას.

მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდისაგან ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია სასამართლოში შეიტანოს წარდგინება თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოუხდელი ვადის იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთით შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი VII

სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საფუძვლები, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისადმი დახმარება, მათი მეთვალყურეობა და ზედამხედველობა

თავი მეცხრამეტე
სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საფუძვლები და წესი

მუხლი 106. სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საფუძვლები

მსჯავრდებულნი სასჯელის მოხდისაგან თავისუფლდებიან შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადის მოხდისას;

ამნისტიის აქტის ძალით;

პატიების წესით;

განაჩენის გაუქმებისა და საქმის წარმოებით მოსპობის გამო;

განაჩენის შეცვლისა და დანიშნული სასჯელის მოხდილ ვადამდე შემცირების გამო;

დანიშნული სასჯელის შეცვლისას პირობითი სასჯელით ან ისეთი სასჯელით, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;

სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებისას ან მოუხდელი სასჯელის შეცვლისას უფრო მსუბუქი სასჯელით;

სასამართლოს განჩინებით სასჯელისაგან განთავისუფლებისას მსჯავრდებულის ქრონიკული სულიერი ან სხვა მძიმე ავადმყოფობის გამო, რაც ხელს უშლიდა სასჯელის შემდგომ მოხდას;

კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

მუხლი 107. სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისათვის წარდგენა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებას ან სასჯელის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით აწარმოებს სასამართლო სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოსა და სამეთვალყურეო კომისის ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

წარდგინება უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ მსჯავრდებულის ყოფაქცევას, შრომისა და სწავლებისადმი მის დამოკიდებულებას და ყველა სხვა მონაცემს, რომელიც საფუძვლად დაედო მის წარდგენას სასჯელისაგან ვადამდე პირობით გასანთავისუფლებლად ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შესაცვლელად. წარდგინებასთან ერთად სასამართლოში იგზავნება მსჯავრდებულის პირადი საქმეც. სასამართლოს მიერ ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შემთხვევაში განმეორებითი წარდგინების შეტანა შეიძლება არა უადრეს იმ ვადის გასვლისა, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 357-ე მუხლით.

მუხლი 108. სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება ავადმყოფობის გამო

მსჯავრდებულნი, რომლებიც დაავადდებიან ქრონიკული სულიერი ან სხვა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის შემდგომ მოხდას, სასამართლომ შეიძლება გაანთავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან სსრ კავშირის კანონმდებლობით და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლით დადგენილი წესით.

წარდგინება სასამართლოში საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე შეაქვს სასჯელის აღსრულების განმგებელ ორგანოს უფროსს. წარდგინება უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მის შეტანას. წარდგინებასთან ერთად სასამართლოში იგზავნება საექიმო კომისიის დასკვნა და მსჯავრდებულის პირადი საქმე.

თუ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს უფროსი არ ეთანხმება საექიმო კომისიის დასკვნას, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ავადმყოფობით სასჯელისაგან განთავისუფლებას, იგი სასამართლოს განსახილველად გადასცემს ამ მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ მასალებს, რომელთაც დაურთავს თავის მოტივირებულ საწინააღმდეგო მოსაზრებებს.

მუხლი 109. თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლების წესი

სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლება ხდება სასჯელის ვადის უკანასკნელ დღეს, დილით. თუ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის ვადა მთავრდება გამოსასვლელ ან უქმე დღეს, მსჯავრდებული განთავისუფლდება გამოსასვლელი ან უქმე დღის წინადღით. შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია სამუშაო დღის დამთავრებამდე მიღებულ დოკუმენტებს განთავისუფლების შესახებ აღასრულებს დაუყოვნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივ, ხოლო სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მიღებულთ — მეორე დღეს, დილით.

ამ მუხლით დადგენილი ვადის დარღვევით განთავისუფლების ყველა შემთხვევის შესახებ შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს და ზემდგომ უფროსს.

განთავისუფლებულთან ხდება სრული ანგარიშსწორება, მას ეძლევა მის პირად ანგარიშზე ჩარიცხული ფული, მისი კუთვნილი ძვირფასეულობა და ნივთები, უბრუნდება პირადი საბუთები. განთავისუფლებულს ეძლევა შესაბამისი საბუთები თავისუფლების აღკვეთის ადგილას მიღებული განათლებისა და საწარმოო კვალიფიკაციის შესახებ, აგრეთვე დადგენილი ნიმუშის ცნობა, რომელშიც მითითებულია განთავისუფლების საფუძველი. განთავისუფლებულს მისივე თხოვნით ეძლევა დახასიათება.

შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა სასჯელის ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე გამოარკვიოს განთავისუფლებელის სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობა და წინასწარ მიიღოს ზომები მისი სამუშაოზე მოწყობისათვის.

შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი ან მისი მოადგილე ყოველ განთავისუფლებულთან ატარებს საუბარს და განუმარტავს მის უფლებებსა და მოვალეობებს.

თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან განთავისუფლებულნი იგზავნებიან მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან .იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლებული არასრულწლოვანის გაგზავნა მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან შეუძლებელია, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია განთავისუფლებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კოლონიის ადმინისტრაციის წარდგენით, მიიღებს ზომებს განთავისუფლებულის მოსაწყობად სამუშაოზე მისი სპეციალობის შესაბამისად ან სასაწვლებელში, აგრეთვე მისთვის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანის გაგზავნა კოლონიიდან უწინდელ საცხოვრებელ ადგილას აღმზრდელობითი თვალსაზრისით მიზანშეუწონელია, მას კოლონიის ადმინისტრაციის წარდგენით სხვა ადგილას მოაწყობს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია კოლონიის ადგილმდებარეობის მიხედვით.

განთავისუფლებულნი, რომლებიც თავიანთი ჯანმრთელობის გამო საჭიროებენ მოვლას, აგრეთვე თექვსმეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანნი საცხოვრებელ ადგილას იგზავნებიან შრომა-გასწორების დაწესებულების თანამშრომლის ან განთავისუფლებულის ნათესავების თანხებით, იმ შემთხვევაში თუ ამას თვითონვე ითხოვენ.

მუხლი 110. გადასახლებისა და გასახლებისგან განთავისუფლების წესი

გადასახლებამისჯილი და გასახლებამისჯილი პირნი მსჯავრდებასთან დაკავშირებული უფლებრივი შეზღუდვებისაგან თავისუფლდებიან სასჯელის ვადის გასვლის დღეს, ხოლო სასჯელისაგან სხვა საფუძვლით განთავისუფლებისას — იმ დღეს, როდესაც შესაბამის საბუთებს მიიღებს ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანო, რომელიც მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მსჯავრდებულს.

განთავისუფლებულს ეძლევა დადგენილი ნიმუშის ცნობა, რომელშიც აღინიშნება განთავისუფლების საფუძველი, ხოლო გადასახლების მოხდისაგან განთავისუფლებულს უბრუნდება პასპორტი.

მუხლი 111. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდისაგან განთავისუფლების წესი

თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების ვადის გასვლის დღეს, რაც გამოთვლილია ამ კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდება დაქვითვები მსჯავრდებულის ხელფასიდან, რის შესახებაც ამ სახის სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანო მოვალეა ერთი დღე-ღამის განმავლობაში აცნობოს განთავისუფლებულს და იმავე დროს იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაციას, სადაც მსჯავრდებული იხდიდა თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოებს.

განთავისუფლებულს ეძლევა დადგენილი ნიმუშის ცნობა, რომელშიც აღინიშნება განთავისუფლების საფუძველი.

თავი მეოცე
სასჯელისაგან განთავისუფლებული პირებისათვის დახმარების აღმოჩენა და მათი შრომითი მოწყობა

მუხლი 112. მატერიალური დახმარების აღმოჩენა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისათვის

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლებული პირნი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ უფასო მგზავრობით საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილამდე, აგრეთვე მგზავრობის დროს კვების პროდუქტებით ან ფულით, დადგენილი ნორმის მიხედვით.

თუ განთავისუფლებულ პირთ არა აქვთ სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და მათი შესაძენი სახსრები, ისინი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ტანსაცმლით და ფეხსაცმლით უფასოდ. მათ შეიძლება მიეცეთ ერთდრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ფულადი დახმარება სპეციალური ფონდიდან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებს, მგზავრობის ღირებულებით, კვებით, ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, აგრეთვე ერთდროული ფულადი დახმარებით უზრუნველყოფენ შრომა-გასწორების დაწესებულებები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 11. სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობა

სასჯელისაგან განთავისუფლებული პირნი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სამუშაოთი, შეძლებისდაგვარად მათი სპეციალობის გათვალისწინებით, შრომითი მოწყობაში დახმარებისათვის მიმართვიდან არაუგვიანეს თხუთმეტი დღის ვადაში. საჭირო შემთხვევებში სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირთ ეძლევათ საცხოვრებელი ფართობი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიწერილობა სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირთა შრომითი მოწყობის შესახებ სავალდებულოა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის.

ინვალიდები და ღრმად მოხუცებულნი, მათი თხოვნით, მოთავსებულ უნდა იქნენ ინვალიდებისა და ღრმად მოხუცებულთა სახლებში. არასრულწლოვანთ, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საჭიროების შემთხვევაში გზავნის ინტერნატებში ან გადასცემს სამეურვეოდ.

თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი შრომა-გასწორების დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგ შეუზღუდავად უნდა იქნენ ჩაწერილი მშობლების ან მათი შემცვლელი პირების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მათი არყოლის შემთხვევაში — ახლო ნათესავების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შრომა-გასწორების დაწესებულებიდან განთავისუფლებული სხვა პირების მიმართ შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსს სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმებით შეუძლია აღძრას შუამდგომლობა განთავისუფლებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეუზღუდავად ჩაწერის შესახებ. ასეთი შუამდგომლობა უნდა განიხილოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩაწერის ადგილის მიხედვით.

თავი ოცდამეერთე
მეთვალყურეობა სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირებზე

მუხლი 114. ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირებზე მეთვალყურეობის დაწესების მიზანი და ვადები

სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირებზე სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში წესდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მეთვალყურეობა და ამ პირებთან ტარდება აღმზრდელობითი მუშაობა.

ამ პირებზე მეთვალყურეობა და მათთან აღმზრდელობითი მუშაობა ტარდება მათი გამოსწორების განმტკიცებისა და პატიოსან შრომაში ჩაბმის მიზნით.

მუხლი 115. ორგანიზაციები და პირები, რომლებიც ახორციელებენ მეთვალყურეობას ვადამდე პირობით განთავისუფლებულებზე

სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირებზე მეთვალყურეობას ახორციელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები მათი მუშაობის, სწავლის ადგილის მიხედვით, აგრეთვე საზოგადოებრიობა ამ პირთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამეთვალყურეო კომისიებს ,არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს შეუძლიათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად გამოყონ საზოგადოებრივი აღმზრდელები და დაავალონ მათ, მათი თანხმობით, სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირებთან აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატური ჩატარება და მათ ყოფაქცევაზე მეთვალყურეობა.

სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირთა აღრიცხვა და მათდამი მეთვალყურეობის ორგანიზაცია ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 116. სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირებზე საზოგადოებრივი მეთვალყურეობის დაწესების და მათთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების წესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები თავიანთ კრებებზე ან თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოების სხდომებზე პერიოდულად ისმენენ ვადამდე პირობით ნთავისუფლებულთა ანგარიშს მათი მუშაობის, სწავლის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და ყოფაქცევის. შესახებ, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ხელმძღვანელობას უწევენ საზოგადოებრივ აღმზრდელთა მუშაობას.

საზოგადოებრივი აღმზრდელნი ვადამდე პირობით განთავისუფლებულებთან რეგულარულად ეწევიან აღმზრდელობით მუშაობას, აკონტროლობენ შრომისადმი, სწავლისადმი მათ დამოკიდებულებას და ქცევას ყოფაცხოვრებაში, უწევენ მათ აუცილებელ დახმარებას.

სამეთვალყურეო კომისიები და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულ პირებზე მეთვალყურეობის დარგში თავიანთი მუშაობას წარმართავენ ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებული პირის მიმართ, თუ იგი არ იცავს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს და ეწევა ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას, მშრომელთა კოლექტივის კრებას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

იმ პირის მიმართ, რომელიც ადრე იხდიდა თავისუფლების აღკვეთას მძიმე დანაშაულისათვის ან თავისუფლების აღკვეთა რომელიმე განზრახი დანაშაულისათვის მისჯილი ჰქონდა ორზე მეტჯერ, და ამ სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლდა, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა უშედეგობის შემთხვევაში მშრომელთა კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია მილიციის ორგანოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა იმ ზომების გამოყენების თაობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებისადმი ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ.

თავი ოცდამეორე
თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირზე ადმინისტრაციული ზედამხედველობა

მუხლი 117. ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესება თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებზე

თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებსა და იმ პირებზე, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი მძიმე დანაშაულისათვის ან რომლებსაც ორზე მეტჯერ ჰქონდათ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა რომელიმე განზრახი დანაშაულისათვის, თუ მათი ყოფაქცევა სასჯელის მოხდის დროს მოწმობს, რომ ჯიუტად არ სურთ დაადგნენ გამოსწორების გზას და ეზიარონ პატიოსან შრომით ცხოვრებას, წესდება მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობა.

მუხლი 118. ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების საფუძველი

ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების საფუძველს წარმოადგენს:

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ — კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან სასამართლოს განჩინება, რომლის მიხედვით ეს პირი აღიარებულია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად;

სხვა პირების მიმართ, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი მძიმე დანაშაულისათვის ან რომლებიც რომელიმე განზრახი დანაშაულისათვის ორზე მეტჯერ იყვნენ ნასამართლევი თავისუფლების აღკვეთით, — შრომა-გასწორების კოლონიის ან საპყრობილის ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო კომისიის დასკვნა ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების აუცილებლობის შესახებ.

მუხლი 119. თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გასანთავისუფლებელ პირებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის დასაწესებლად საბუთების მომზადება და გაფორმება

შრომა-გასწორების კოლონიის ან საპყრობილის ადმინისტრაცია სასჯელის ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე დაადგენს იმ პირთ, რომელთა მიმართ აუცილებელია განთავისუფლების შემდეგ მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესება, და მათზე გააფორმებს ამ კოდექსის 118-ე მუხლში მითითებულ საბუთებს.

დასკვნა ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების აუცილებლობის შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და შეიცავდეს იმის დამადასტურებელ კონკრეტულ მონაცემებს, რომ სასჯელმოხდილ პირს ჯიუტად არ სურს დაადგეს გამოსწორების გზას და ეზიაროს პატიოსან შრომით ცხოვრებას.

სათანადოდ გაფორმებულ საბუთებს შრომა-გასწორების კოლონიის ან საპყრობილის ადმინისტრაცია მსჯავრდებულის განთავისუფლებისთანავე დაუყოვნებლივ გზავნის მილიციის ორგანოებში სასჯელმოხდილი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 120. თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებელი წესი

თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

კარი VIII

საზოგადოებრიობის მონაწილეობა იმ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები

თავი ოცდამესამე

საზოგადოებრიობის მონაწილეობა იმ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები

მუხლი 121. სამეთვალყურეო კომისიების მონაწილეობა მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში

იმ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზდაში, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება დათავისუფლების აღუკვეთლად გამოსწორებელი სამუშაოები, აგრეთვე ამ სახის სასჯელებზე სასამართლოთა განაჩენების აღმსრულებელი დაწესებულებებისა და ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობენ სამეთვალყურეო კომისიები, რომლებიც მოქმედებენ ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული სამეთვალყურეო კომისიების დებულების საფუძველზე.

მუხლი 122. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მონაწილეობა მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში

იმ მსჯავრდებულის გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში, რომელიც სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში იხდის, და არასრულწლოვანისა, რომელიც იხდის სასჯელს თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სახით, აგრეთვე ამ სახის სასჯელებზე სასამართლოების განაჩენების აღმასრულებელი დაწესებულებებისა და ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, რომლებიც მოქმედებენ ამ კოდექსის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების საფუძველზე.

მუხლი 123. საზოგადოებრიობის საბჭოების მონაწილეობა მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში

იმ მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში, რომლებიც მოთავსებული არიან შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, მონაწილეობენ საზოგადოებრიობის საბჭოები, რომლებიც მოქმედებენ ამ კოდექსის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საზოგადოებრიობის საბჭოების დებულების საფუძველზე.

მუხლი 124. მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფობა შრომა-გასწორების დაწესებულებებზე

მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის სამუშაოში მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმის მიზნით შრომა-გასწორების დაწესებულებებს შეფობას უწევენ სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სასწავლებლების კოლექტივები, აგრეთვე პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში საშეფო მუშაობის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ქმნიან საშეფო კომისიებს.

მუხლი 125. საშეფო მუშაობის ამოცანები

საშეფო მუშაობის ამოცანაა ხელი შეუწყოს შრომა-გასწორების დაწესებულებას მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში, აგრეთვე დახმარება გაუწიოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულთ შრომითსა და საყოფაცხოვრებო მოწყობაში.

მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც შეფობას უწევენ შრომა-გასწორებითს დაწესებულებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხმარებიან მათ საწარმოო ბაზის შექმნაში და წარმოების განვითარებაში, პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში, პროფესიულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების ორგანიზაციაში, მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობაში, ბიბლიოთეკების დაკომპლექტებაში.

მუხლი 126. მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის სხვა ფორმები

მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდისათვის წარმოებულ მუშაობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრიობის მონაწილეობის სხვა ფორმებიც, რომლებიც ამ კოდექსით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ შეესაბამება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობით დადგენილ სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულების ზოგად დებულებებსა და პრინციპებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1971 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწინავე, სარედაქციო და საიუბილეო სტატიები, მისალმებები

კომუნისტური პარტიის ზრუნვა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლებისათვის, № 6, გვ. 3-7.

ლენინური პარტიის XXIV ყრილობა, № 2, გვ. 3-6.

საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის ორმოცდაათი წლისთავისათვის:

ა) საბჭოთა საქართველოს კანონიერების სათავეებთან, № 1, გვ. 3-14.

ბ) საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტები, № 2, გვ. 7-17.

გ) საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტები, № 3, გვ. 21-40.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში:

სამართალდარღვევის თავიდან აცილება და პროფილაქტიკა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური ხაზია, № 4, გვ. 3-10.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ორგანოების მუშაკებს, № 4, გვ. 10.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ორგანოთა ორმოცდაათი წლისთავი, № 4, გვ. 13.

სახელოვანი იუბილე, № 3, გვ. 5-8.

დ. სტურუა — ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა, № 3, გვ. 21-40.

ქართული საბჭოთა მილიციის მუშაკებს, № 4, გვ. 11.

ქართული საბჭოთა მილიციის ორმოცდაათი წლისთავი, № 4, გვ. 14.

ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის 13 ივნისის არჩევნების შედეგების შესახებ, № 5, გვ. 3-4.

ე. შევარდნაძე — ორმოცდაათი წელი ხალხის სამსახურში, № 4, გვ. 16-28.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საერთაშორისო სამართალი

ვ. ბენიძე — სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ბრძოლა მექრთამეობისა და თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ 1921—1924 წ.წ., № 4, გვ. 29-33.

ა. გობრონიძე — მუდმივი კომისიების როლი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაში, № 3, გვ. 41-45.

დ. დავითულიანი — მეფე ალექსანდრე დიდის ერთი განაჩენი თავისუფალი სვანეთის შესახებ, № 1, გვ. 66-75.

ვ. ელინიჩევი, ა. დემუროვი — ოქტომბერი და ახალი საერთაშორისო სამართალი, № 6, გვ. 8-12.

გრ. ერემოვი — კიდევ უფრო ავამაღლოთ საბჭოების როლი და მნიშვნელობა, № 2, გვ. 32-39.

ს. ზავადსკი — სოციალისტური სახელმწიფოს სოციალური ბუნება, № 1, გვ. 38-47.

ნ. მაჭარაშვილი — ლადო კეცხოველი მეტეხის ციხეში, № 1, გვ. 62-65.

გ. ნადარეიშვილი — ერთი ძველ-აღმოსავლური იურიდიული კლაუზულა ქართული ნასყიდობის დოკუმენტებში, № 6, გვ. 70-78.

ი. ფუტკარაძე — ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება, № 2, გვ. 17-25.

გ. ყორანაშვილი — ფრიდრიხ ენგელსი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა გზების შესახებ, № 5, გვ. 3-11.

პ. ხვიჩია — საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში (1921—1925 წ.წ.), № 1, გვ. 55-62.

პარიზის კომუნა — მშრომელთა პირველი სახელმწიფო, № 2, გვ. 26-31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. პეტროვი — მოქალაქე და თანამდებობის პირი საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში, № 3, გვ. 50-59.

ჩვენი პუბლიკაცია — სიტყვა წარმოთქმული დუშეთის ყოფილი მოსამართლის თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის პატივსაცემად, № 3, გვ. 83-84.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი

გ. დევდარიანი — კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინების და დადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, № 5, გვ. 35-38.

გ. იოსავა, გ. დევდარიანი — კოლმეურნეობათა სარჩელებით აღძრულ საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა, № 3, გვ. 46-49.

ო. კიკვიძე — რეგრესის ცნების განსაზღვრის საკითხისათვის, № 4, გვ. 34-37.

თ. ლილუაშვილი — დაუქორწინებელ პირთა ბავშვის წარმოშობის დადგენა სასამართლო წესით, № 2, გვ. 44-48.

ვ. უვანია — მამობის დადგენის დროს ექსპერტიზის გამოყენების საკითხისათვის, № 2, გვ. 49-50.

ე. რეხვიაშვილი, მ. მაისურაძე — მამადცნობის საკითხისათვის, № 5, გვ. 50-51.

ვ. შარაშენიძე — მუშაობის უწყვეტი სტაჟის შენარჩუნების წესი, № 3, გვ. 78-82.

რ. შენგელია — მოქალაქეებისაგან საბანკო სესხის იძულებითი ამოღების წესი, № 1, გვ. 27-31.

შემოსავლის სახეები, რომლიდანაც ხდება ალიმენტის დაკავება, № 5, გვ. 85-87.

რ. ცინცაძე — მხარეთა პასუხისმგებლობა საავტომობილო გადაზიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, № 5, გვ. 28-34.

ნ. წერეთელი — იურიდიული სამსახური ახალი ამოცანების დონეზე, № 2, გვ. 40-44.

ა. ხოჭოლავა — წარმომადგენლობის რეგამენტაციის პირობები სამოქალაქო საქმეებზე, № 5, გვ. 12-27.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა

ი. ანდრეევი — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, № 2, გვ. 59-67.

ა. ბარაბაძე — რეალურად უზრუნველყოთ ბრალდებული დაცვის უფლებით წინასწარი გამოძიების სტადიაში, № 2, გვ. 51-53.

ა. ბაქრაძე — საპროკურორო ზედამხედველობის საზღვრები მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაში, № 2, გვ. 54-58.

ო. გამყრელიძე — ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, № 4, გვ. 47-55.

ნ. ერქომაიშვილი — სასამართლო პრაქტიკის განზოგადების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი, № 5, გვ. 39-43.

მ. კომახიძე, გ. ექვთიმიშვილი — წინასწარ გამოძიებაში სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი, № 1, გვ. 32-37.

ო. კოლუაშვილი — პირობითი მსჯავრის ახალი სახე, № 1, გვ. 23-26.

ა. მიქაძე — განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის ზოგიერთი საკითხი, № 3, გვ. 60-70.

გ. მოსესიანი — მოსამართლეთა წარდგინებების საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის, № 4, გვ. 74-79.

ი. ჟორდანია — ბრალდებულის პიროვნების მონაცემების არაპირდაპირ მტკიცებულებად გამოყენების საკითხისათვის, № 1, გვ. 15-22.

მ. უგრეხელიძე — წინდახედულების ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დელიქტებში, № 4, გვ. 52-62.

ნ. უგრეხელიძე — სიტუაციის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, № 4, გვ. 63-66.

ა. ფალიაშვილი — ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისა და ექსპერტ-ფსიქიატრის კომპეტენციის ფარგლების შესახებ, № 4, გვ. 67-73.

ნ. ქებაძე — ბრძოლა სოციალისტური ქონების გატაცების წინააღმდეგ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, № 4, გვ. 80-85.

გ. ქველიძე — თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების ზოგიერთი საკითხი, № 6, გვ. 13-20.

მ. ქურდაძე — წინასწარი გამოძიების დამამთავრებელი სტადიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, № 5, გვ. 44-49.

თ. შავგულიძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლის გამოყენების ფსიქოლოგიური კრიტერიუმი, № 4, გვ. 38-46.

ზ. წულაია — საფეიქრო მრეწველობის საწარმოებიდან პროდუქციის გატაცების ხერხები და მათი დადგენის მეთოდების შესახებ, № 3, გვ. 71-77.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР